

HANS VOGT

STRUCTURE PHONÉMIQUE
DU GÉORGIEN

ETUDE SUR LE CLASSEMENT DES PHONÈMES ET DES
GROUPES DE PHONÈMES

NOBSK TIDSSKRIFT FOR SPRAGVIDENSKAP
BIND XVIII
OSLO 1958

ჰანს ფოგტი

ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა

ნარკვევი ფონემებისა და ფონემათა
ჯგუფების კლასიფიკაციისა

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბამოცველობა

თარგმნა ლ. შადურმა
პროფ. გ. ახვლედიანის
რედაქციით

თარგმანი ავტორიზებულია

ჩემ ნაშრომში „ახალი ქართული ენის ესკიზი“¹ მე რამდენიმე სტრიქონი ვუძღვენი კონსონანტური ჯგუფების სტრუქტურას, სადაც, სხვათა შორის, შევეცადე ჩამომეყალიბებინა ზოგადი კანონი დისტრიბუციის (განაწილების) ზოგიერთი ფაქტის შესახებ. მართალია, ეს მოკლე მითითებანი არ კმარა რთულ ფაქტებში მართებულად გარკვევისათვის, მაგრამ მათი მნიშვნელობა იმაშია, რომ მათში აღძრულია ქართული ენისათვის პრობლემა, რომელმაც, ამის შემდეგ, მიიპყრო გაზოჩენილი ლინგვისტების ყურადღება. ცნობილია, რომ ფონემები შეიძლება დაჯგუფდნენ მათი ფიზიკური, არტიკულაციური ან აკუსტიკური თვისებების მიხედვით, მაგრამ შეიძლება აგრეთვე, ზოგ ენაში მაინც, მათი დაჯგუფება ფონემათა ფუნქციების ან, თუ გნებავთ, მათი დისტრიბუციის (განაწილების) მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდა მეტნაკლებად მჭიდრო კორელაციის დადგენა ამ ორი ტიპის კლასს შორის. Mlle Eli Fischer-Jørgensen-ის² ახლახან გამოქვეყნებული ყურადსაღები სტატია³ წარმოადგენს კვლევის ისტორიულ მიმოხილვას ამ დარგში: ამ სტატიაში მოცემულია, ფონემების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ზოგად თეორიასთან ერთად, გამჭრიახი კრიტიკა გამოყენებული მეთოდებისა და მიღებული შედეგებისა. ზე თავს ნებას ვაძლევ ერთხელ კიდევ მივუთითო ამ სტატიაზე საკითხის ბიბლიოგრაფიისათვის.

თუ წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახე წარმომედგინა ქართული ენის ანალიზი იმის შემდეგ, როცა გამოქვეყნებულია

¹ *Esquisse d'une grammaire du géorgien moderne. Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap*, t. 9—10, Oslo, 1936.

² *On the Definition of Phoneme Categories on a Distributional Basis, Acta Linguistica VII*, f. 1—2, Copenhagen 1952.

ანალიზი ინგლისურისა, ძვ. ბერძნულისა, პოლონურისა, ნორვეგიულისა და ამერიკის რამდენიმე ინდიური ენისა, ამისათვის გვაქვს რამდენიმე საფუძველი. ფონემებისაგან შექმნილი კომბინაციების შესწავლა აუცილებელი დამატებითი საშუალებაა ქართული ენის ფონემობრივი შედგენილობის დასადგენად, რაც არც თუ ისე ძნელია. ჩემი რწმენით, ამგვარ გამოკვლევას მნიშვნელობა ექნება ენის როგორც ისტორიული. ასევე შედარებითი შესწავლისათვის. ეს ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, იწერება ქართული ენის სპეციალისტებისათვის; ამით აიხსნება მითითებანი ქართულის ძველსა და ახალ ტექსტებზე, აგრეთვე შენიშვნათა ნაწილი და ფილოლოგიური მსჯელობანი.

მაგრამ ფონემატური ანალიზი ისეთი ენისა, როგორცაა ქართული, საინტერესოა აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერებისათვის თვით იმ მასალის თავისებურებებით, რომელსაც ქართული ენა აწოდებს მას; ამ მასალისაგან მიღებული დასკვნების მნიშვნელობა, ჩემი აზრით, სცილდება კავკასიოლოგიის ფარგლებს. მართლაც, იმ ენათა უმრავლესობაში, რომელნიც უკვე შესწავლილია ფონემების ფუნქციონალური კლასიფიკაციის თვალსაზრისით, დამოწმებული კონსონანტური ჯგუფები რიცხობრივად შეზღუდულია. თავკიდურა ჯგუფების წევრთა რიცხვი იშვიათად სცილდება სამს; ორწევრიანი ჯგუფები კი უფრო ხშირია, საერთოდ, ვიდრე სამწევრიანი. ქართულში ასეთი ჯგუფების რიცხვი თავკიდურსა, ხმოვნებს შუა და ბოლოკიდურ პოზიციებში მეტად დიდია. მხოლოდ თავკიდურა პოზიციამი შესაძლოა გვეკონდეს ფონემატური თვალსაზრისით განსხვავებული 700-ზე მეტი ჯგუფი. თავკიდურა ჯგუფის წევრთა რიცხვი შეიძლება აღწევდეს 5-ს და 6-საც; სამწევრიანი ჯგუფები კი ორწევრიან ჯგუფებზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია. 4-დან 6-მდე წევრიანი ჯგუფები შეადგენენ თავკიდურა ჯგუფების საერთო რიცხვის მეოთხედს. ცხადია, რომ თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტები ანიჭებენ ქართულ ენას განსაკუთრებულ ადგილს და რომ ისინი მეტად მკაფიოდ აყენებენ ზოგიერთ ისეთ პრობლემას, რომელიც თითქმის სრულიად არ იხმება ან იხმება მეტად მარტივად ისეთ ენებში, როგორცაა ინგლისური და ნორვეგიული; მაგ., პრობლემა განსხვავებისა სტრუქტურის კანონებსა და შემთხვევითობათა შორის.

ქვემოთ ჩემთვის ამოსავალს წარმოადგენს ფონემების ფონეტიკური (ამ ტერმინის ტრადიციული მნიშვნელობით) კლასიფიკაცია. ჩემი ანალიზის მიზანი იყო შეძლებისდაგვარად დამეზუსტე-

ბინა ფონემების დისტრიბუციის (განაწილების) წესები ფონემურ კლასებში. ბოლო თავში შე შევეცადე მეჩვენებინა, თუ რა ფარგლებშია შესაძლებელი ერთი და იმავე კლასის წმინდა ფუნქციონალურ განსაზღვრათა მოცემა—მიუხედავად ფონეტიკური რაობისა— და გამეთავებინა რამდენიმე შენიშვნით იმის შესახებ, თუ რა განსხვავების შესაძლებლობაა სტრუქტურით განპირობებულ ფაქტებსა და წმინდა, უბრალო შემთხვევითობიდან გამომდინარე ფაქტებს შორის.

VV

შესავალი

✓ 1. ქართული ენის ფონემატური სისტემა ერთსა და იმავე დროს ძალიან მარტივიცაა და ძალიან რთულიც. მარტივია იმ გაგებით, რომ ერთეულები, რომლებსაგანაც ის შედგება, ადვილად გამოიყოფიან, რაც მიეწერება ტრადიციული ორთოგრაფიის უპირატესობას ფონემური თვალსაზრისით. მაგრამ იგი რთულია იმიტომ, რომ ფონემების ნაწილი ერთმანეთს შორის ქმნის კომბინაციათა არაჩვეულებრივ ნაირსახეობებს.↓

ფონემატური თვალსაზრისით, ქართულმა განიცადა მხოლოდ შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები თავისი ისტორიის ცნობილი პერიოდის განმავლობაში, ე. ი. არა ნაკლებ ათასი წლის მანძილზე მაინც. ფონემების რიცხვი შემცირდა სამი ერთეულით: ნახევრადხმოვანი λ (y) დაიკარგა, ბილაბიალური სპირანტი χ (w) წარმოადგენს მხოლოდ ლაბიო-დენტალური სპირანტის g (v) სპორადულ ნაირსახეობას, ხოლო ფონემა ζ (q), თავდაპირველად განსხვავებული ყრუ ველარული χ (x) სპირანტისაგან, საბოლოოდ შეერწყა ამ უკანასკნელს) წინამდებარე შრომაში ჩვენ სატყვას „გდორგიენ“ (ქართული) ვანიტებთ ფართო მნიშვნელობას, რათა, საქიროების შემთხვევაში, აღგვედგინა შემჩნეული განსხვავებანი ენის ძველსა და ახალ მდგომარეობებს შორის. ასეთი მიდგომა მით უფრო აუცილებელია, რომ თანამედროვე ქართული, რომელმაც როგორც ლიტერატურულმა ენამ, შესცვალა კლასიკური თუ ფსევდო-კლასიკური ქართული გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ისევ სრულ მოქმედებაშია. ის არ უქმნის არავითარ დაბრკოლებებს არც დიალექტობრივ ნასესხობებს, რომლებსაც უხვად იყენებენ საუკეთესო მწერლები, და არც წინა საუკუნის სამეცნიერო ქართულის ლექსიკური სიმდიდრის თავისუფალ გამოყენებას. ქართული ენის ყველა ამ ფორმის ერთიანობა უდავოა და ძლიერ საგრძნობი ქართველებისათვის. ჩემ მიერ გამოყენებული მასალა ამოღებულია ჩემს განკარგულებაში არსებული ტექსტებიდან, ზოგ შემთხვევაში კი სიტყვები ამოკრებილია ცნობილი ლექსიკონებიდან.

✓ 2. ქართული ენის ბგერები. ჯერ მოკლეუ გაეხსენოთ ამ ბგერების წინათ მოცემული აღწერილობა¹. ცალკე აღებულ სიტყვაში მახვილებსა და ტონს არ გააჩნიათ განმასხვავებელი ფუნქციები². ხმოვანთა სისტემაში შედის რაოდენობრივად განუსხვავებელი ხუთი ხმოვანი: ი ე ა ო უ. ისინი არ ქმნიან დიფთონგებს. თანხმოვანთა სისტემა უფრო მდიდარია; გვაქვს ხმულთა სამი სერია: ლაბიალური, დენტალური და პოსტ-პალატალური. ყოველი მათგანი შეიცავს სამ წევრს: მელერს, ყრუ ფმინვიერსა და ყრუ ყელ-ხმულს (გლოტალიზებულს): ბ ფ ვ, ღ თ ტ, გ ქ კ. დენტალურთა გვერდით გვაქვს ნახევრად-ხმულების (აფრიკატების) ორი სერია: პოსტ-დენტალურ სისინათა და პრე-ალვეოლალურ მიშინათა სერია— იმავე სამმაგი დაპირისპირებით: ძ ც წ, ჯ ჩ ჰ. ცალკე დგას ველარული ყრუ გლოტალიზებული ხმული (ყ); იგი უპირისპირდება არა ორ სხვა ველარულ ხმულს, არამედ ორ ველარულ ნაპარალოვანს (ფრიკატივს): მელერ ღ-სა და ყრუ ხ-ს. თანამედროვე დიალექტებში, სადაც ძვ. ქართული: ფონემა ჳ შეზონახულია, იგი წარმოითქმის როგორც ყრუ ველარული ფმინვიერი ხმული, რომლის ასპირაცია აშკარად ფრიკატიული ხასიათისაა³.

აღნიშნულ ნახევრად-ხმულებს (აფრიკატებს) წევსატყვისება სიბილანტების ორი სერია, სახელდობრ: ორი პოსტ-დენტალური სისინა—მელერი ჳ და ყრუ ხ—და ორი პრე-ალვეოლარული მიშინა—მელერი ჟ და ყრუ შ. ორივე ცხვირისმიერი (შ და ნ) ხშირად ყრუედება ყრუ თანხმოვანთა წინ; ცხვირისმიერი ნ გვაძლევს აგრეთვე უკანა ვარიანტებს პოსტ-პალატალურისა ან ველარული ხმულების წინ, მაგრამ ველარული ფრიკატივის წინ მისი

¹ უფრო დაწვრილებით აღწერისათვის იხილეთ R. H. Robison and Natalie Waterson, Notes on the Phonetics of the Georgian Word, Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, XIV, 1 და გვ. 7—28 ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ I ტომიდან.

² Hans Vogt, Alternances vocaliques en géorgien, NTS. IX, Oslo, 1939, განსაკუთრებით გვ. 118—122.

³ ეს დაალექტები ჩამოთვლილია ა. შანიძის შრომაში: „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I. გვ. 17. იგივე ფონემა არსებობს აგრეთვე სვანურშიც, იხ. ს. ჟღენტის „სვანურ ხმოვანთა პალატოგრაფები“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 47. იმავე კრებულში (1—17) გ. როგავა სტატიაში, რომლის სათაურია „ფარინგალურ ხმულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში“, არკვევს ფონემატურ პოზიციუმებს, რომლებსაც აყენებს ძვ. ქართულში ყ—ქ-ს და ღ—ხ-ს ერთდროული არსებობა.

დენტალურად წარმოთქმა სავალდებულოა. ლიკვიდებია ლ და რ (აპიკალურები), ხოლო ერთადერთი ლაბიო-დენტალური სპირანტი არის მეღერი ვ (v) სპორადიული ჯ (w) ვარიანტით. ამ ფონემებს უნდა დაემატოს აგრეთვე ყრუ ფშვინვა (ასპირაცია) ჰ.

ცხრილი

	ბშულები და ნახევრად-ბშულები	✓	სპირანტები და ფრიკატივები	სონანტები
ლაბიალურნი.....	ბ	ფ	პ	მ
დენტალურნი	დ	თ	ტ	ნ რ ლ
პოსტ-დენტალურნი.....	ძ	ც	წ	ზ ს
პრე-ალვეოლარულნი...	ჯ	ჩ	ჭ	ყ შ
პოსტ-პალატალურნი...	გ	ქ	კ	
ველარულნი ..	(ჰ)	ყ		ლ ხ
ლარინგალურნი.....			—	ჰ

ხმოვანთა სისტემის სტრუქტურა

3. ენათა უმრავლესობაში ფონემები იყოფა ორ ძირითად კლასად—ფონეტიკური ხმოვნებისა და თანხმოვნების შესატყვისად. ეს დაყოფა ადვილი დასადგენია ისეთ ენებში, სადაც მარცვლი შეიძლება განისაზღვროს სუპრა-სეგმენტური ფონემებით (პროსოდემებით), როგორცაა: მახვილი ტონი, რაოდობრივი განსხვავება და ა. შ. ამ სახის პროსოდემები ქართულისათვის უცხოა. ფონეტიკური თვალსაზრისით, მარცვლის არსებობა ქართულში ექვეს არ იწვევს. ქართული მეტრიკა, ისევე როგორც ფრანგულისა, ემყარება მარცვლების, ე. ი. ხმოვნების, შექანიკურ სათვალავს. მაგრამ, თუ მას განვიხილავთ მკაცრ ფონემატურ საფუძველზე, ცხადი გახდება, რომ განსხვავება ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის შეიძლება იყოს დამყარებული მხოლოდ დისტრიბუციის (განაწილების) კრიტერიუმზე, ე. ი. ენაში დადასტურებული კომბინაციების შესწავლაზე. მარცვლი განისაზღვრება ხმოვნით, რომელიც აუცილებელი დასაყრდენია მისთვის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ხმოვნებისა და თანხმოვნების კლასები ქართულისათვის დადგენილია ამ მეთოდებით¹.

¹ იხ. Mlle Fischer-Jørgensen, გვ. 21, და J. D. O'Connor and J. L. M. Trim, Vowel, Consonant, and Syllable—a Phonological Definition (Word, Vol. 9, No. 2, 1953, გვ. 103—122).

ხმოვანთა კლასის წევრები განსხვავდებიან თავისი დამოუკიდებლობით. წინამავალ თუ მომდევნო ფონემებთან დაპირისპირებისას, ფუნქციათა თითქმის სრული იდენტურობით. ხმოვნები შეიძლება მაქსიმალურად ცვალებადი იყოს.

ქართულში არ მოიპოვება მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან შედგენილი სიტყვა. ყოველი ქართული სიტყვა შეიცავს სულ მცირე ორ ფონემას, რომელთაგან ერთი აუცილებლად და არსებითად მიეკუთვნება ხმოვანთა კლასს. სიტყვა ია არის ერთ-ერთი უმნიშვნელო გამონაკლისი: იგი შეიცავს მხოლოდ ხმოვნებს, რომლებიც განაწილებულია ორ მარცვლად. შეიძლება წარმოვიდგინოთ უქონლობის აღმნიშვნელი ნაწარმოები სიტყვა უიო (სანი მარცვალი), შედგენილი სამი ხმოვნისაგან.

ქართულისათვის უცხოა დიდფონემები, მაგრამ ხმოვანთა ყველა ჰეტეროსილაბიკური კომბინაცია დასაშვებია. მხოლოდ ხმოვნები σ და ψ ემორჩილებიან განაწილების ზოგიერთ შეზღუდვას სილაბიკურ სტრუქტურასთან მიმართებაში¹. ყოველი ხმოვანი შეიძლება მოსდევდეს ყოველ თანხმოვანს და პირიქით—ზოგიერთი გამონაკლისით: თანხმოვანი ξ -ს არსებობა პრაქტიკულად შეზღუდულია ხმოვნის წინ პოზიციით; ζ და ψ/σ -ს კომბინაციები დასაშვებია უმთავრესად განსაზღვრულ მორფოლოგიურ პირობებში, ორი მორფემის საზღვარზე².

¹ მოვიხსენიოთ რამდენიმე ნათვანი. ხმოვანი ψ დამოწმებულია ერთმარცვლიანი სიტყვების ბოლოიდურ პოზიციაში (ბუ, რუ, ყრუ, თუ და ზოგიერთი სხვა), მაგრამ იგი გამონაკლისია მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლოში. შეიძლება ჩამოვეთვალა ისეთი სიტყვები, როგორცაა აბრუ, ნასესხები ირანულიდან; აბრუ, ფეძეგაორკეცებულია სიტყვა ძეძუ და დიალექტური სიტყვები, როგორცაა ფულუ და მულუ (ხმოვნური ქარმონიით), იხ. ვ. ბერძე და ნ. ლორთქიფანიძე „უილაქნოჲ“, გვ. 104. თბილისი, 1934. ხმოვანი σ აბსოლუტურ ბოლოკიდურად ეთმარცვლიან სიტყვებში გვხვდება მხოლოდ დასტერის ნაწილაკში კი. თუ: გამოვრიცხაუთ ვინ?-ის ფორმებს, ერთმარცვლიანი სიტყვის ხმოვანი σ ეკუთვნის ყოველთვის მაწარმოებელ სუფიქსს ან ფლექსიას. ამგვარად, სიტყვაში დიხ—ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა და, ბჟიხ—ნათესაობითი ბოუნვა სიტყვისა ბჟე, ხმოვანი ეკუთვნის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს -იხ: ფორმაში ვ-ჰრ- σ ხმოვანი არის თენატური სუფიქსი (ფეძე ჰერ-). M-სთან მოკეშული სიტყვა ხხრტი ვარიანტი სიტყვისა ხხარტი, რასაკვირველია, შევტოვება (არეულია სიტყვაში ხხრტე, ან ბეკდური შეტდოვა).

² კომბინაცია -ოვ დამოწმებულია ხმნურ სუფიქსში -ოვ, სახელის სუფიქსში -ოვანი და რამდენიმე სიტყვაში, როგორცაა: თოვლი (ფეძე თოვ-). პირველ პირში გვაქვს თავისუფალი მონაცვლეობა ვ-უ-სა და უ-ს შორის; მაგ., ვ-უყვარ-ვარ და უ-უყვარ-ვარ. უ-სა და ხმოვანს შორის სონანტი ვ ასრულებს გარდამავალი ბგერის როლს (ბუილი~ბუვილი. იხ. სულხან-საბა).

საერთოდ ხმოვნები არ იძლევიან ფუნქციონალური კლასიფიკაციის საშუალებას ფონემატური თვალსაზრისით—ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. მაგრამ თუ მივმართავთ მორფოლოგიას, შეიძლება დადგინდეს ზოგიერთი ხმოვანთმონაცვლეობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მორფო-ფონემატური კლასიფიკაცია¹. ამგვარად ხმოვნები *ი* და *ჟ* თავისი სტაბილურობით უპირისპირდებიან სამ სხვა ხმოვანს, — ისინი არასდროს არ განიცდიან სინკოპირებას². საშუალო ლიაობის ორ ხმოვანს *ე*-სა და *ო*-ს შეუძლია ორმაგი მონაცვლეობა: *ე* მონაცვლეობს ნულთან და *-ი*-სთან, *ო* მონაცვლეობს ნულთან და *ვ*-სთან. მაქსიმალური ლიაობის ხმოვანი *ა* მონაცვლეობს მხოლოდ ნულთან. ხმოვანი *ე*, ამის გარდა, ემორჩილება უმლაუტის ერთ-ერთ სახეს მომდევნო მარცვლის *უ*-ს გავლენით *-უნი*-თ ნაწარმოებ ექსპრესიულ ინფინიტივებში, მაგ.: *კრეჭა* > *კრაჭუნი*. ასეთი ინფინიტივი ჩვენ ორმოცდაათამდე ამოვკრიფეთ თანამედროვე ტექსტებიდან.

მაშასადამე, ხმოვანთა სისტემის სტრუქტურა უაღრესად მარტივია. ამდენად ხმოვნები წარმოგვიდგებიან როგორც განცალკევებული ფონემები დანიშნულ კორელაციათა და დაპირისპირებათა გარეშე. ფუნქციონალურად განსხვავდებიან ისინი არსებითად მხოლოდ მორფო-ფონემატურ კრილში. ამ ნიშნებით ხმოვნები მეტად განსხვავდებიან თანხმოვნებისაგან, რომელთა მიმართებანი მეტად რთულია და რომლებიც, მაშასადამე, უკეთ ექვემდებარებიან კლასიფიკაციას თავიანთი ფუნქციების ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, თავიანთი დისტრიბუციის მიხედვით.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

4. თანხმოვანი ³ სრულიად განცალკევებით დგას ძველი და ახალი ქართულის სისტემაში. საკვირველია ³-ს მდგომარეობა ძველ ქართულში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ იშვიათ ნასესხობას, ფონემა ³ ძვ. ქართულ (არა ხანმეტ) ტექსტთა უმრავლესობაში გვევლინება მხოლოდ ფლექსიურ ელემენტად (პრონომი-

¹ იხ. ძე-7-ე გვ. შენიშვნა მე-2-ეში მოხსენებული სტატია.

² ამას აქვს ღირებულება მხოლოდ ისტორიული პერიოდისათვის. ლიტერატურულ ტრადიციებზე ადრე რომ იყო *ი*-სა და *ჟ*-ს სინკოპის შემთხვევები, ეს აშკარად გამომდინარეობს გარკვეული ეტიმოლოგიური სიახლოვიდან სიტყვებისა მცირე — უმცროსი, ყურა ყრუ. იხ. ვ. თოფურაძის „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“, იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 75.

ნალური სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და, ზოგიერთ პირობებში, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი). თანამედროვე ენაში ეს პრეფიქსები შემონახულია რამდენიმე დიალექტში, მაგარამ ლიტერატურულ ენაში, ისევე როგორც თბილისის თქმაში, ეს პრეფიქსი, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს, თუ იგი არ შემონახულა ს-ს სახით¹. ფონემა **შ** დღეს გვევლინება მეტად შეზღუდულად, ცოცხალი ლექსიკონის სიტყვების მეტად მცირე რიცხვში. ქართული წარმოშობისა ჩანს მხოლოდ დასტურის ნაწილაკი **შო** (რომელიც მონაცვლეობს **ხო-სთან**). შეიძლებოდა აღგვენიშნა ძე. ირან. **შანგი** და **შავა**. დახვეწილ მეტყველებაში და არქაული სტილის მქონე ავტორებთან, როგორიცაა ბარნოვი, არაბული ან სპარსული წარმოშობის სიტყვები **შ**-თი უფრო ხშირია. ასეთ სიტყვებში **შ** ყველგან თავკიდურია და თითქმის ყოველთვის წინ უძღვის ხმოვან ა-ს. ინტერვოკალური **შ**-ს მაგალითები გამონაკლისია, მაგ., **გოშარხ** (ძვირფასი ქვა). განსხვავებით ყველა სხვა თანხმოვანისაგან, ფონემა **შ** არასდროს არ შედის კონსონანტურ ჯგუფში.

კონსონანტური ჯგუფები

5. იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც ზემოთ ითქვა **გ-ს** შესახებ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი თანხმოვანი, გარდა **შ-სი**, შეიძლება² წინ უძღოდეს ან მოსდევდეს რაგინდ ხმოვანს, და ყველა თანხმოვანს შეუძლია იმყოფებოდეს თავკიდურში, ხმოვნებს შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში. ყოველ თანხმოვანს შეუძლია აგრეთვე ერთ ან რამდენიმე თანხმოვანთან ერთად შეადგინოს კონსონანტური ჯგუფი იმავე პოზიციებში. ჯგუფის შემადგენელ თანხმოვნებს ვუწოდებთ ამ ჯგუფის წევრებს. თუ ჯგუფი შედგება სამი ან სამზე მეტი თანხმოვნისაგან, შეიძლება მისი დაყოფა სეგმენტებად. ჯგუფის სეგმენტების უმრავლესობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დამოუკიდებელი ჯგუფის სახით, მაგრამ ამ ემპირიულ წესს ქართულში ღირებულება აქვს მხოლოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვებით, რომელთა აღნიშვნის საშუალება ჩვენ კიდევ გვექნება.

¹ ენის ძველი მდგომარეობის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომია აკ. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში“. თბილისი, 1920. იხ. კიდევ Gerhard Deeters „Das kharthwelische Verbum“. გვ. 27—33, Leipzig, 1930. ენის თანამედროვე მდგომარეობისათვის იხილეთ აკ. შანიძე გვ. 168—9, და უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის, იხ. Esquisse, გვ. 121.

6. მომდევნო აღწერაში ჩვენ განვიხილავთ თანხმობიანთა სამ ძირითად კლასს. პირველია სონანტების კლასი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: რ ღ მ ნ და ვ. მეორე—სიბილანტების კლასი. ეს ნებისმიერი ტერმინი ფარავს ისინა და შიშინა სპირანტებს ზ ხ ჟ შ-ს. მესამე კლასი შეიცავს ხ შულებს სამი ქვეკლასით—ბაგისმიერებს, დენტალურებსა და პოსტერიულებს. დენტალურ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ ისინა და შიშინა ნახევრად-ხშულებსაც (აფრიკატებს)—ტერმინოლოგია გამართლებულია ფუნქციების შესწავლით. პოსტერიულ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ სამ პოსტ-პალატალურ ხშულს და ველარულ ხშულ ყ-ს. მაგრამ ვინაიდან ორ ფრიკატივს ღ—ხ-ს პრაქტიკულად იგივე ფუნქციები აქვს, რაც ხშულებს, ჩვენ შეგვიძლია ისინი განვიხილოთ, თითქოს ისინი იყვნენ ხშულები, რომლებიც ყ-სთან ერთად შეადგენენ სრულ ველარულ სერიას სამი წევრით და რომლებიც ფუნქციონალურად პოსტ-პალატალური სერიის თანაბარია. როცა ვლაპარაკობთ დენტალურ ხშულებზე, ამ ტერმინში ჩვენ, მაშასადამე, ვგულისხმობთ ნახევრად-ხშულებსაც; და როცა ვლაპარაკობთ პოსტერიულ ხშულებზე ან მეტადრე ველარულ ხშულებზე, ჩვენ ვგულისხმობთ ამ ტერმინში არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ აგრეთვე ველარულ ფრიკატივებს ღ-ს და ხ-ს.

7. კონსონანტურ ჯგუფებს შორის თავიიდურა ჯგუფები ყველაზე უფრო მრავალნაირია; ამ ჯგუფების გამოკვლევა შეადგენს ჩვენი შრომის ცენტრალურ ნაწილს. ბოლოკიდურა ჯგუფები ნაკლებად დამახასიათებელია¹. ისინი მოინახება მეტადრე სიტყვების რამდენიმე განააზღვრულ კლასში: ზოგიერთი ძირეული ზმნის აწმყო დროში და თანხმობიანი ფუძის სახელთა მიცემითში. ბოლოკიდურა ჯგუფის წევრების რიცხვი იშვიათად აღემატება სამს, ხოლო თავიიდურა ჯგუფებში არაა იშვიათი ოთხი, ხუთი და ექვსი წევრიც კი.

რადგან პრეფიქსაცია, სუფიქსაცია და თხზვა (კომპოზიცია) წარმოადგენს წარმოქმნის (დერივაციის) მეტად ცოცხალ ხერხებს, ყველა ჯგუფი თავიიდურსა და ბოლოკიდურ პოზიციაში შეიძლება

¹ იხ. Mlle Fischer-Jørgensen-ის ხსენებული სტატია, გვ. 25, რომელიც მიუთითებს Kurylowicz-ის სტატიაზე „Contribution à la théorie de la syllabe“ (Bulletin de la Société Polonaise de Linguistique, 1948, გვ. 107), რომლის მიხედვით თანხმობიანთა ყოველგვარი კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს თანხმობიანთა განაწილებას თავიიდურა ჯგუფებში, ხოლო ბოლოკიდურა ჯგუფებში იგი მხოლოდ შედეგია.

აღმოჩნდეს სიტყვის შიდა პოზიციაშიც. ყველა შემთხვევაში შიდა ჯგუფი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბოლოკიდურა და თავ-კიდურა ჯგუფების ჯამი¹.

თავკიდურა კონსონანტური ჯგუფები

8. წინასწარი შენიშვნები. თავკიდურა ჯგუფებს შორის არის გარკვეული რაოდენობა, რომელთაც განზრახ ჩამოვიცილებთ. ეს ყველა ის ჯგუფია, რომელთა პირველი სეგმენტი არის ფლექსიური ელემენტი, ე. ი. ნაცვალსახელოვანი პრეფიქსი ზმნის პირიან ფორმაში: გ-მ-გვ-და გ-; მაგ.: ზმნისაგან ტეხა ჩვენ გვაქვს გ-ტეხ (გ-ხ-ტეხ-ის გვერდით), მ-ტეხ, გვ-ტეხ და გ-ტეხ. ჯგუფები ვტ-გვტ- და ვტ- გვხვდება მხოლოდ ამ სახის ფორმებში, და მათი არსებობა ნაკარნახევაია მხოლოდ ენის მორფოლოგიით და არ არის დამოკიდებული არც ერთ ფონემატურ ფაქტორზე. მაგრამ ჯგუფი მტ-, პირიქით, გვხვდება ფორმების სხვა ტიპებში—ნაწილობრივ იმიტომ, რომ მ არის მიმღეობის პრეფიქსი, ხოლო ნაწილობრივ იმიტომ, რომ რამდენიმე სიტყვაში თავკიდურა კონსონანტური ჯგუფი შეიძლება იწყებოდეს ან არ იწყებოდეს მ-თი—განსხვავების გარეშე. მაგ., ჩვენ გვაქვს ერთმანეთის გვერდით ღოგვი და მღოგვი, თხლე და მთხლე, კალია და მკალია. როგორც არ უნდა იყოს ამ მ-ს წარმოშობა და პირველადი ფუნქცია, ამის შედეგად მიღებული ჯგუფები არ იქნება აქ განხილული, ვინაიდან ყოველ ჯგუფს მართლაც შეიძლება წინ უძღოდეს ზმნური პრეფიქსი მ².

9. ჩვენ მოგვიხდება ჩვენს სიაში ისეთი ჯგუფების შეტანა, რომლებიც არ არიან უშუალოდ დადასტურებული, მაგრამ რომელთა არსებობის დადგენა შეიძლება სხვა დამოწმებული ფორმებით. ასე, მაგალითად: ძველი ტექსტები შეიცავენ ზმნის კრება პირველადი პასივის ბევრ მაგალითს ნულოვანი ვოკალიზმით, მაგრამ ფორმები ყოველთვის დასტურდება ზმნისწინით როგორც აწმყოში, ისე აორისტში. ვინაიდან ზმნისწინების ქონა თუ არქონა არაა დამოკიდებული ფონემატური ფაქტორებისაგან, ჩვენ ვიბილავთ მოსალოდნელი ფორმების კრბ-უბის, კრბ-ა და ა. შ. უქონლობას როგორც შემთხვევით და, მაშასადამე; ვადგენთ დადასტურებული ყრბ- ჯგუფის პარალელურად თავკიდურა ჯგუფ ყრბ-ს.

¹ იხ. იქვე, გვ. 21.

² დ. ჩუბინაშვილთან მოინახება ასო მ-ზე 145 ასეთი ჯგუფი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მ-ს შეუძლია წინ უძღოდეს ყოველ თანამოვანა, ვ-ს გარდა.

აგრეთვე არ გავითვალისწინეთ თავკიდურა ჯგუფები ბოლო-კიდურა წვერით -ნ, სადაც -ნ არის პირდაპირი დამატების მრავლობითობის სუფიქსი ძლიერი უღლების აორისტებში, მაგ., კლ-ნ-ა, ვნ-ნ-ა. ეს ფორმები სრულებით უცნობია თანამედროვე ქართულში.

10. თავკიდურა ჯგუფების კლასიფიკაცია. ყველა ჯგუფების მთლიანობაში განხილვა ჩვენ გვაპირისპირებინებს ხშულებსა და სიბილანტებს სონანტებთან. პირველთა მიერ შექმნილი სეგმენტი საერთოდ წინ უძღვის სონანტთა მიერ შექმნილ სეგმენტს ამა თუ იმ მოცულობის ჯგუფებში.

• ჩვენ განვიხილავთ დადასტურებულ ჯგუფებს შემდეგი თანმიმდევრობით:

სონანტი+სონანტი.

ხშული ან სიბილანტი+სონანტ(ებ)ი.

ხშული+სიბილანტი ან სიბილანტი+ხშული, რომელსაც მოსდევს ან არ მოსდევს სონანტ(ებ)ი.

სიბილანტი+სიბილანტი ან ხშული+ხშული, რომელსაც მოსდევს ან არ მოსდევს სონანტ(ებ)ი. ჯგუფები, სადაც სიბილანტის ან ხშულის ადგილი უკავია იმას, რასაც ჩვენ ვარქმევთ რთულ ხშულს ან რთულ სიბილანტს (იხ. 58 და შემდეგ და 72).

მეტისმეტად იშვიათია ისეთი ჯგუფები, რომლებიც არ შედის არც ერთ ხსენებულ ტიპთაგანში.

სონანტი+სონანტი

11. აბსოლუტურ თავკიდურაში სონანტთა ჯგუფები არაა ხშირი: ლ- ლვ-, რვ-, ვნ- ვრ- (რომლებსაც შეიძლება დაემატოს არადისტინქტური მ-თი დაწყებული ჯგუფები: მნ- მლ- მრ). შეიძინევა, რომ გვაკლია ჯგუფები, რომლებსაც პირველ წვერად აქვთ ნ¹. მხოლოდ ჯგუფები რვ- ლვ- და -ვნ გვხვდება დღევანდელ სიტყვებში. ასეთებია: რვა, ლვილ• (მონაცვლეობს რვილი-სთან, როგორც დისიმილირებულ ფორმასთან), ვნება. სხვა ჯგუფები დადასტურებულია მხოლოდ ძვ. ქართულის სიტყვებში, როგორცაა: ლშობა, ვლენა და ვლინება (ხშირად გვხვდება თანამედროვე წარმოებებში), ვრაქია (აშკარად ნასესხებია ბერძნულიდან— $\nu\rho\acute{\alpha}\chi\epsilon\alpha$).

¹ საბასთან, მართალია, ეძოვლობთ სიტყვას წგანი (ნიშნავს ძალიან მოკლე წამს), მაგრამ აქ, უაპველია, საქმე ეხება უფრო ბერძნული ყრყ-ის მეცნიერულ ტრანსკრიფციას, ვიდრე ნამდვილ ნასესხობას.

12. თუ ეს ჯგუფები ნაკლებად საყურადღებოა, როგორც თავიკიდურა ჯგუფები, სამაგიეროდ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეტი მოცულობის ჯგუფების შედგენაში, სადაც ისინი ქმნიან, თუ მათ წინ უძღვით ხშული ან სიბილანტი, ბოლოკიდურა სეგმენტს. ამ პოზიციაში აგრეთვე დადასტურებულია სონანტების სხვა კომბინაციები, გარდა ზემოთ მოყვანილისა, სახელდობრ: -ჩმ-ჩნ და ძე. ქართულში -ნვ. ზოგიერთი კომბინაცია, როგორც დამოწმებულია როგორც თავიკიდურა ჯგუფები, თანაზედროვე ქართულში განიცდის მეტათეზისს, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც ჯგუფის ბოლოკიდურა სეგმენტი: მაგ., ძე. ქართულის -ლვ-, -ჩვ- და -ნვ- კანონზომიერად გარდაიქმნენ თანაზედროვე ქართულის -ვლ-, -ვჩ- და -ვნ-დ: ძე. ქართულის ზმნის საწყისი კლვა < *კალავ-ა ახალ ქართულშია კვლ-ა; ასევე კომპოზიტი ათ-ჩვა-მეტი თავიკიდურა ხმოვნის შეკვეციით ახალ ქართულში გახდა თვრამეტი, მაშინ როცა რიცხვა ჩვა-მ შეინარჩუნა თავდაპირველი ჯგუფი.

სეგმენტი -მჩ- იწინს იმავე ზიდრეკილებას მეტათეზისისადმი. ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ქმჩ-ის და ძმჩ-ის < ქმჩარი და ძმჩარი აქეთ დუბლეტები ქჩმის და ძჩმის—ნამდვილად იმიტომ, რომ ფუძის ხმოვნის ამოვარდნით წარმოქმნილი -მჩ- სეგმენტი სხვაგან უცნობია, მაშინ როცა მეტათეზისით წარმოქმნილი სეგმენტი (-ჩმ-) დამოწმებულია ისეთ ხმარებულ სიტყვებში, როგორიცაა: ბრმა და ღრმა. ასეთივეა სეგმენტი -მლ-: ნათეს. ბრ. ხმლ-ის < ხმალი; ყაზბეგი ხმარობს ხლმის, მოქმედებითი ბრუნვა ხლმით < ხმლით ან ხმალით, რაც მოცემული აქვს დ. ჩუბინაშვილს.

-ჩნ- სეგმენტი ცნობილია ჩემთვის მხოლოდ ი. კყონიას ლექსიკონიდან სიტყვაში (და)ღრნობა. სეგმენტი -ვმ- (-ჟმ-) ჩანს ძე. ქართულის სვმა (სუმა)-ში, დღეს სმა- ვ-ის აბსორფციით ნაზალის მიერ. ერთადერთ ფორმაში ჩვენ ვიპოვეთ სამი სონანტისაგან შედგენილი სეგმენტი, სახელდობრ: ნათესაობითი ხრმლ-ის < ხრმალ-ი (დღეს ხმალი): შოთას აქვს ხრმლისა (456,2) და ხრმლითა (95,3) და ჩუბინაშვილთან—ნაწარმოები ვრმლოხანო.

13. თუ გავითვალისწინებთ, რომ სონანტების ყველა ეს კომბინაცია გვევლინება როგორც თავიკიდურა ჯგუფები ან თავიკიდურა ჯგუფების ბოლოკიდურა სეგმენტი, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:

როცა მეორე წევრად გვაქვს

როცა პირველ წევრად
გვაქვს

	-მ	ნ-	-ლ	-რ	-ვ
მ-		მნ	მლ	მრ	—
ნ-	—		—	—	—
ლ-	ლმ	—		—	ლვ
რ-	რმ	რნ	—		რვ
ვ-	—	ვნ	ვლ	ვრ	

დისტრიბუციის ეს ფაქტები ახლავს გვაძლევს საშუალებას კლასიფიკაცია ვუყოთ თანამედროვე ქართული ენის სონანტებს ფუნქციების მიხედვით შემდეგნაირად: ერთი მხრივ, რ და ლ სონანტები: და, მეორე მხრივ, ვ და მ ქვნიან ორ აშკარად განსხვავებულ კლასს. თითოეული კლასის წევრები ერთმანეთს არ უერთდებიან, მაგრამ სამაგიეროდ ისინი უერთდებიან სხვა კლასის წევრებს. სონანტი ნ ქვნიის ცალკე კლასს, უერთდება რა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში რ-სა და ლ-ს, უფრო ხშირად კი მ-სა და ვ-ს. სონანტი ვ განსხვავდება ყველა სხვა სონანტებისაგან სხვა ფუნქციებით, რასაც ჩვენ განვიხილავთ ქვემოთ, და ამ ფუნქციებით იგი უახლოვდება ხშულებს (იხ. 19, 33).

ხ შ უ ლ ი ა ნ ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი + ს ო ნ ა ნ ტ (ე ბ) ი

14. ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემულია ხშული + სონანტ(ებ)-ის ჯგუფები. ამ ცხრილში არ შეგვიტანია ისეთი ჯგუფები, რომელთა ორსონანტიან ბოლოკიდურა სეგმენტს არ განუცდია მეტათეზისი — მხოლოდ ამ ჯგუფებისათვის არის მოცემული თანამედროვე ფორმები:

ბრ-	ბლ-	ბმ-	ბნ-				
ფრ-	ფლ-	—	—				
პრ-	პლ-	—	—				
დრ-	დლ-	დმ-	დნ-	დვ-	დვრ-	—	—
თრ-	თლ-	თმ-	თნ-	თვ-	თვრ-	თვლ-	—
ტრ-	ტლ-	ტმ-	ტნ-	ტვ-	ტვრ-	—	—
ძრ-	ძლ-	ძმ-	ძნ-	ძვ-	ძვრ-	ძვლ-	—
ცრ-	ცლ-	ცმ-	ცნ-	ცვ-	ცვრ-	ცვლ-	—
წრ-	წლ-	წმ-	წნ-	წვ-	წვრ-	წვლ-	წვნ-
ჯრ-	ჯლ-	ჯმ-	—	ჯვ-	ჯვრ-	—	—
ჩრ-	ჩლ-	ჩმ-	ჩნ-	ჩვ-	ჩვრ-	—	—
კრ-	კლ-	კმ-	კნ-	კვ-	კვრ-	—	—

გრ-	გლ-	გმ-	გნ-	გვ-	გვრ-	გვლ-	გვნ-
ქრ-	ქლ-	ქმ-	ქნ-	ქვ-	ქვრ-	ქვლ-	—
კრ-	კლ-	კმ-	კნ-	კვ-	კვრ-	კვლ-	კვნ-
ღრ-	ღლ-	ღმ-	ღნ-	ღვ-	ღვრ-	ღვლ-	—
ხრ-	ხლ-	ხმ-	ხნ-	ხვ-	ხვრ-	ხვლ-	ხვნ-
ყრ-	ყლ-	ყმ-	ყნ-	ყვ-	ყვრ-	ყვლ-	—

[წყაროები ზოგიერთი ჯგუფებისა, რომლებიც არაა უშუალოდ დადასტურებული ცნობილ ლექსიკონებში: ძვრ (პირველადს) პასივში ძვრ-ება < ძრ-მბ-ა < ძვერ- ძირისაგან; ძვლ- ნათესაობითი ძვლ-ის < ძვალ-ის; ჩვრ- ნათესაობითი ჩვრ-ის < ჩვარის); კვნ—სიტყვაში გა-კვნობა (დ. ჩუბინაშვილი); გვნ- სიტყვაში ამო-გვნეშება (დ. შენგელაია, ბათა, 62), ყვრ- სიტყვაში ყვრიმალ-ი (ვ. ბარნოვი, ვარდ., გვ. 79), გაღმო-ყვრიალება (გ. წერეთელი, I. 446)].

15. ამ ჯგუფებს უნდა დაემატოს უფრო სპორადული ჯგუფები ზემოაღნიშნული სონანტებიანი სეგმენტებით:

- სეგმენტით -მნ : ჯმნ- კმნ-
 -მრ- : ძმრ- კმრ-
 -რმ- : ბრმ- ძრმ- კრმ- ღრმ- ხრმ- ყრმ-
 (სიტყვაში ყრმა, ახ. ქართ. ყმა)
 -რნ- : ღრნ-
 -მლ- : ხმლ-
 -ლმ- : ხლმ-

როგორც ვხედავთ, ცხრილში არ შედის ხშული+სონანტ(ებ)-ის ყველა შესაძლებელი კომბინაცია. ამ ასიმეტრიულობათა ინტერპრეტაცია სინამდვილეში ეხება სტრუქტურალური ფონემიკის (ფონოლოგიის) ძირითად პრობლემას. აშკარაა, რომ ცხრილის ყველა ხარვეზს („ცარიელ უჯრედს“) არ შეიძლება მიენიჭოს ერთნაირი მნიშვნელობა. ბვ- ფვ- პვ-ს უქონლობა, ნამდვილად, სტრუქტურის ფაქტია და არა შემთხვევის გაულენა. იგი ზემოაღნიშნული ვმ- და მვ-ს უქონლობის პარალელურია. სწორედ ბ ფ პ-ს ეს შეუთავსებლობაა ვ-სთან, რომ შეგვაძლებინებდა მოგვეცა ლაბიალური ხშულების ფუნქციონალური განსაზღვრა სხვა ხშულებთან დაპირისპირებით¹.

¹ ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს მეცნ. ტრანსლიტერა იოა ბერძნული სიტყვებისა, როგორცაა სიტყვები პვიომენა < πσιμηνεα, ფვინიქხი < φωνιχη, რომლე-

ფშ-სა და პშ-ს უქონლობა შეიძლება აგრეთვე მნიშვნელობის მატარებელი ყოფილიყო, მაგრამ სიძნელეს ქმნის ბშ-ს არსებობა ინფინიტივში ბშა < *ბაშ-ა და სიტყვაში ბშო-. შესაძლებელია, რომ ანალოგია *აშ-ა-ზე დაბოლოებული სხვა ზმნებისა იცავს ბშა-ს (თითქმის ყოველთვის დადასტურებულია, მართალია, ზმნისწინებით) წინააღმდეგ თავკიდურა ჯგუფისა. ფშ-სა და პშ-ს სრული უქონლობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ჯგუფი ბშ-ოდნავ სისტემის გარეთაა, უპირისპირდება რა ზოგიერთ ფონემიკურ ტენდენციას, მაგრამ დაკულია მორფოლოგიური სისტემის ძალით.

16. სხვა ცარიელი უჯრედების უმრავლესობა, შეიძლება ყველა, უნდა წარმოადგენდეს წმინდად შემთხვევითს ხარვეზებს. ისინი შეიძლება გამოწვეული იყვნენ ჩვენი მასალების ნაკლებობით, ანდა იმ ფაქტით, რომ ენამ არ გამოიყენა ყველა კომბინაციური შესაძლებლობა, რომელსაც სისტემა გვაწვდის. მაგალითად, ძნელია დიდი მნიშვნელობის მიცემა იმ ფაქტისათვის, რომ ჩვენ ვერ აღვადგინეთ თავკიდურა ჯგუფი ჯწ-, მაშინ როცა ყველა სხვა დენტალურ ხშულებს შეიძლება ახლდეს -წ. ყწ-ს უქონლობა თითქმის არ არის უფრო მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ გვაქვს ტყწ-თავკიდურა ჯგუფი (იხ. 20).

ფწ-სა და პწ-ს უქონლობა ბწ ს არსებობისას უფრო ძნელი ასახსნელია. ის გვაგონებს ფშ- და პშ-ს უქონლობას ბშ-ს არსებობის საპირისპიროდ. ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, სადაც ყოველი დასკვნა ნებისმიერი ჩანს.

ბიკ არასდროს არ გყუთნოდა, ალბათ, საკუთრივ ქართული ენის ლექსიკას. შემთხვევა ზმნისა 'ვ-ფლ-ავ. ძე. ქართული ვ-შ-ფლ-ავ < *ვ-შფალ-ავ კარგი მაგალითია ამ შეუთავსებლობისა. კანონზომიერი ინფინიტივი ძე. ქართულში არის ფლვა < *ფალ-ავ-ა და თანამედროვე ქართულში იმ მეტათეზისით, რომელიც გარდაქმნის კლვა-ს—კვლა-დ, მოსალოდნელი იყო *ფვლა. ამ ერთადერთ ზმნაში თანამედროვე ქართულმა შეინარჩუნა ინფინიტივის ძველი ფორმა სეგმენტით -ლვ-. რომელიც ყველგან სხვაგან დაკარგულია. მიზეზი თვალსაჩინოა; მეტათეზისმა, ალბათ, გამოიწვია კონტაქტი ფ-სა და ვ-ს შორის. ჯგუფს ფლვ-, რომელიც ნაკლებად შეესაბამება სისტემის § გარკვეულ ტენდენციებს, არჩიეს ჯგუფი ფვლ, რომელიც ეწინააღმდეგება იმავე სისტემის სხვა უფრო იმპერატიულ ტენდენციებს. არათავკიდურა პოზიციამ მორფოლოგიური ანალოგიის ძალით შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს სონანტი ვ ლაბიალური ხშულების შემდეგ. ზმნიდან ვ-ულაპ-ავ ინფინიტივი არის ულაპავ (რომელიც, სხვათა შორის, მონაცვლეობს ულაპა-სთან, იხ. დ. ჩუბინაშვილი).

სიბილანტი+სონანტ(ებ)ის აღდგენილი ჯგუფები შემდეგია:

ზრ-	ზლ-	ზმ-	ზნ-	ზე-	ზერ-	ზელ-	—
სრ-	სლ-	სმ-	სნ-	სე-	სერ-	სელ-	სენ-
ერ-	ელ-	ემ-	—	ენ-	—	—	—
მრ-	მლ-	მმ-	მნ-	მე-	მერ-	მელ-	მენ-

-მნ- სემენტთან ჩვენ გვაქვს ზმნ- ჯგუფი სიტყვაში ზმნა < ზამ-ძირის ძელი ინფინიტივი, დადასტურებული სიტყვაში ვ-ი- ზამ, და ჯგუფი სმნ- სიტყვაში სმნიერი (სამი წლისა, საბა), რომლის ეტიმოლოგიური მიმართება სიტყვასთან ხამ-ი თვალსაჩინოა, თუმცა წარმოშობა ბუნდოვანია.

[წყაროები: ზვრ- სიტყვაში ზვრები, სიტყვა ზვარ-ის მრავლობითი (ვაეა, IV. 68. 14); ხგნ- სიტყვაში ხგნიკ-ი (ფსგნიკ-ი), ვ. ბერიძესთან სვლიკი].

ჟ-თი დაწყებული ჯგუფის შედარებითი სიიშვიათე, უქვევლია, აიხსნება ქართულ ლექსიკონში ფონემა ჟ-ს იშვიათობით (იხ. სტატისტიკური ცხრილები 89).

18. ხშული+სონანტ(ებ)იან ჯგუფს, განსხვავებით სიბილანტი+სონანტიანისაგან, შეიძლება წინ უძღოდეს სონანტი რ. ლაბიალთან გვაქვს მხოლოდ რბ- სიტყვებში რბ-ოლა, რბ-ენა, მაგრამ დენტალებთან და პოსტერიულებთან გვაქვს:

რთ- (იხ. საბასთან შერთო) რთლ- რთმ- რთვ- რთვლ-, რტ- რტლ-, რტმ-, რწ- რწმ- რჯ-, რჩ- რჩვ-, რქ- რქმ-, რგ- რგვ- რგვლ-, რქ- რქმ- რქვ-, რკ- რკვ-, რლ- რლმ- რლვ- რლვნ-, რზ-, რყ- რყვ- რყვნ-.

ალინიშნება რლ-ს უქონლობა, რაც მოგვაგონებს დრლ-ს უქონლობას (იხ. ქვემოთ 25) და რყვნ-ს არსებობას, რომელიც ამაგრებს ჩვენს ინტერპრეტაციას იმის შესახებ, რომ *ყვნ-ს უქონლობა წმინდად შემთხვევითია.

ზმნების მცირე რიცხვში არის ლ- სონანტიანი ანალოგიისეული ჯგუფები რ- სონანტის მაგივრად, სახელდობრ ზმნებში: ლზობა, ლპობა, ლტობა, ლზობა ან ლლობა (დ. შენგ., ბათა 177), აწმყოს ფორმებით ლზვება და ლღვება (თოელი). ამ ზმნების სემანტიკური ნათესაობა თვალში გვხვდება: თავკიდურა სონანტ ლ-ს უნდა ჰქონდეს ექსპრესიული მნიშვნელობა, რომელიც გადმოგვეცემს დარბილების, გადნობის აზრს, რაც არ გააჩნიათ შესატყვის რ-ს შემკველ ჯგუფებს.

ამ ჯგუფებს შეიძლება დაემატოს რანდენიმე განცალკევებული ჯგუფი ნ- თავკიდურით: ნდ-, ნთ-, ნძრ-, ნქრ-, რომლებიც აყენებენ განსაკუთრებულ ეტიმოლოგიურ პრობლემებს.

აღსანიშნავია სრული უქონლობა რ-ს შემცველი ჯგუფისა, რო.ზელთაც ნოსდევს სიზილანტი, როგორც, მაგ., *რს-*რზ- და სხვა; ამით დიდად განსხვავდება ნეგრულისაგან, სადაც ეს ჯგუფები ხმარებაშია (იხ. 74).

რ-ს შემცველი ჯგუფები, სადაც რ-ს მოსდევს ხშული (+სონანტი), საკმაოდ იშვიათია, ე. ი. ისინი დადასტურებულია სიტყვების მცირე რაოდენობაში და დადასტურებული ჯგუფები წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობათა უმცირესობას, მაგრამ სისტემაში მათ აქვთ მტკიცედ განკუთვნილი ადგილი. ეს აშკარად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ამ ჯგუფებს შორის მრავალია სხვა ტიპის უფრო ძველი ჯგუფების ახალი გარდაქმნები (იხ. ქვემოთ 33—34).

ხშული + სიბილანტი (+ სონანტი)

19. ამ ტიპში საკითხი ეხება მხოლოდ ლაბიალურსა და პოსტერიულ ხშულებს. ლაბიალურიანი ჯგუფები საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი:

ბზ-	ბზრ-	—	ბზმ-	ბზნ-	—	—
ფს-	—	ფსლ-	ფსმ-	—	ფსვ-	ფსვნ-
ბე-	ბერ-	—	—	—	—	—
ფშ-	ფშრ-	—	ფშმ-	—	ფშვ-	ფშვნ-

ს-სა და შ-ს შემცველ ჯგუფებში ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ თავიდან ბ-სა და ფ- შორის გარკვეული მერყეობა, მონაცვლეობა, რომლის განხილვის საშუალება ჩვენ კიდევ გვექნება (იხ. 50—51).

ჯგუფი ბრჟ-, რომელიც შეიცავს სხვაგან არარსებულ -რჟ-სეგმენტს, დადასტურებულია სიტყვაში ბრჟენი, ბრჟენი-სა და პრჟენის დუბლეტში (საბა, ხახ voce ბრჟენი)¹. ამ ჯგუფებს უნდა დაემატოს იზოლირებული ჯგუფი ვს- სიტყვაში ვსება, ზოგიერთ სხვა -ვ- იან ჯგუფებთან ერთად, რომლებშიც სონანტი ვ განსხვავდება ყველა სხვა სონანტისაგან.

[წყაროები: ბზმ- სიტყვაში ბზმული (არაგვისპირელი. გვ. 74), ფშმ- სიტყვაში წა-ფშმულიება (იქვე 20)].

პოსტერიული ხშულის შესაძლებლობათაგან მხოლოდ ნაწილია დადასტურებული:

¹ საბასთან არაა ბრჟენი.—რედ. შენიშვნა.

გზ- გზნ-, კს- კსნ- (ი. ჯავახიშვილი, 6) ქსვ (საბა, ასს voce განქსვა) ქშ- ქს- ხს- ხსნ- ხშ- ხშვ- ყს-.

სიტყვაში ხზედი (საბა) ჩვენ ვხედებით მცდარ ჯგუფს. 'მუძღვე-ბელია აეხსნათ ეს ჯგუფი, როგორც ფონემატური ღზ-ს რეალიზაცია, რადგან თხზ და ღღზ-ს შორის დაპირისპირება აშკარაა (იხ. 67).

ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი - ბ შ უ ლ ი (+ ს ო ნ ა ნ ტ ი)

20. ლაბიალურ თავკიდურებიანი ჯგუფებია სფ- სპ- შფ- შპ- ბოლოკიდური სონანტის ნიმუშის გარეშე (რადგან ყრუ ლაბიალებს არასდროს არ მოსდევს ვ, მ და ნ, საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ სონანტებს ლ-სა და რ-ს). სისინა ბგერიათი ჯგუფები უნდა იყოს ჩნდებიან ნასესებებ სიტყვებში, როგორც: სპა, სფერო და გაურკვეველი წარმოშობის სიტყვა სპილენძი, რომლისთვისაც გვაქვს ვარიანტი პილენძი. შიშინა ბგერიათი ჯგუფები დადასტურებულია, როგორც ჩანს, უნდა იყოს და დიალექტობრივ სიტყვებში. ლიტერატურულ ახალ ქართულში ეს ჯგუფები პრაქტიკულად არ არსებობენ.

ჯგუფები დენტალური თავკიდურით ჯგუფთა წარმოდგენილი:

სთ-	—	სთვ-	სთელ-	—
სტ-	სტრ-	სტვ-	—	—
შთ-	—	შთვ-	—	—
შტ-	შტრ-	შტვ-	—	შტნ-

მეღერი ზდ- ჯგუფისათვის იხ. 22. ამ ჯგუფების უმრავლესობას შეიძლება წინ უძღოდეს „არაორგანული“ ფ- (იხ. 63): ფსტვირი—სტვირი, რაც დიალექტობრივი მოვლენაა.

ამ ჯგუფებიდან ბევრი არაა სტაბილური. ძველი ქართულის სთ- გადადის თანამედროვე ქართულის რთ-ში, და ჯგუფებში შთ- განიცდის მეტათეზის¹. სტ-იანი ჯგუფები უფრო სტაბილურნი ჩანან, ისინი დადასტურებულია რამდენიმე უდავოდ ქართული წარმოშობის სიტყვებში: სტვირი, სტვენა, სტვინ-

¹ ძველ ქართულში გვაქვს ხნა სთვა ახალ ქართულში რთვა (ჯურულ დიალექტში სტვა), სთველი—ახალ ქართულში რთველი, ნათ. ბრუნვაში რთველიხ. პრევერბმა შთა>ჩა შეინარჩუნა ძველი ფორმა სწავლულთა სიტყვებში, მაგ.: ჩაბერვა, მაგრამ შთაბერვა. ხნა შთომა>ჩომა. შთა-ს და შთომა-ს განახევებული ცვლილება უნდა მდგომარეობდეს აქცენტუაციის პირობებში.

ვა; ძვ. ქართ. მსტუარი, მსტოვარი და *მსტურობა-დან წარმოებული მსტრობა. ჯგუფი შტნ- დადასტურებულია ზმნაში დაშტნობა (მარკ., 5.25) და ჯგუფი შტრ- სიტყვაში შტრინგი (ვ. ბერიძე), რომელსაც უახლოვებენ გერმ. streng-ს. სიტყვაში შტო თავკიდურა ჯგუფი მონაცვლეობს რტ-სთან. სიტყვაში სტერი~შტერი შეიძინევა მონაცვლეობა სისინა და შიშინას შორის, რაც, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს მეგრულის გზით ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვასთან (στερειν, 'რაიმეს წართმევა' მოკლება'). იგივე მონაცვლეობა შეიძლება არსებულებო სიტყვაში შტო (ბერძ. στή), რომელიც თარგმნილია „ქარიბქე“-დ გამოცემლის მიერ (ცხოვრება... სერაფიონ ზარზმელისაჲ, ფეოდალური ტექსტები, გამოც. კ. კეკელიძის მიერ, თბილისი, 1935).

21. ჯგუფები, სადაც ნახევრად-ხშულები ჩაენაცვლა წმინდა დენტალურ ხშულებს, შემდეგია: ბწ- სწრ- სძ- სჩ- ხჯ- სქვ- შჯ- და შჩ. ახალ ქართულში იხმარება მხოლოდ ორი პირველი (სწავლა, სწრაფება). სხვა ჯგუფებში რ სონანტმა შეცვალა სიბილანტი ახალ ქართულში: სძალი > რძალი, სძე > რძე, ვ-სჯი > ვ-რჯ-ი, ხჯული (წარმოებული იმავე ძირისაგან) > რჯული ან რჩული (უკანასკნელი ჯგუფის არასტაბილურობა ჩანს იოანე XIX, 7 ტექსტიდან, სადაც აღიშისა და ოპიზის ხელნაწერებში არის შჯული, ხოლო ტბეთისაში შჩული- —ძირია ხაჯ-). ძირი სქვ- ძვ. ქართულის სიტყვაში სასქვალი მოიპოვება ახალი ქართულის ზმნებში: რქმა და რქობა.)

22. ზოგიერთ საკმაოდ იშვიათ შემთხვევებში სიბილანტი და ხშული გაყოფილია სონანტით: ჩვენ გვაქვს ჯგუფი ხრბ- სიტყვაში ხრბოლა (სადაც ხ- წარმოადგენს ძველ აოფიქსს რბ- ძირთან, როგორც ეს ჩანს ზმნის პირიანი ფორმებიდან), სლბ- აორისტიში შეგ-სლბი (საბა), რომელიც გულისხმობს აწმყო დროს ფორმას ვ-სლბ-ები, და შნდ- სიტყვაში შნდო. შრტ- ჯგუფი დადასტურებულია ძვ. ქართულის პირველადს პასივში ვ-შრტ-ები, ახალი ქართულის ექსპარესიულ ზმნაში შრტიალი. ჯგუფი ზრდ- სიტყვაში ზრდა (აწმყო ვ-ზრდ-ი, აორისტი ვ-ზარდ-ე) მონაცვლეობს თანამედროვე ქართულში ზდ-სთან, —თუ ვინსჯელებთ მეგრულ-ქანურის მიხედვით, სიბილანტი არ მიეკუთვნება ძირს¹.

საკვირველია ყველა ამ ჯგუფის შედარებითი იშვიათობა და არასტაბილურობა: მათ, საერთოდ, როგორც ჩანს, ქართული ნაკლებად სწყალობს. ეს ფაქტი უფრო მეტად გაგვაკვირებს, თუ ქართულს შევადარებთ ინდოევროპულ ენებს, სადაც სწორედ ეს ჯგუ-

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა. ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 308—2. რედ. შენ.

ფებია ზეტად ხშირი და სადაც მხოლოდ სამწევრიანი თავიდურა ჯგუფები ეკუთვნიან ხშირად ამ ტიპს.

23. ჯგუფები პოსტერიული ხშულით სრულიად სხვაგვარადაა წარმოდგენილი:

პოსტ-პალატალურით გვაქვს:

ზგ-	—	—	—	—	—	—	—	—
სკ-	—	—	—	—	—	—	—	—
სკ-	სკრ-	სკლ-	სკმ-	სკნ-	სკვ-	—	—	სკვნ-
შგ:	—	შგლ-	—	—	—	—	—	—
შკ-	—	—	შკმ-	—	—	—	—	—
შკ:	—	—	შკმ-	—	შკვ-	—	—	—

და ველარულით:

ზლ-	ზლრ-	—	ზლმ-	ზლნ-	ზლვ-	ზლვრ-	ზლვლ-	ზლვნ-
სზ-	სზრ-	სზლ-	სზმ-	—	სზვ-	სზვრ-	სზვლ-	—
სყ-	—	—	—	—	—	—	—	—
ულ-	ულრ-	ულლ-	ულმ-	ულნ-	ულვ-	—	ულვლ-	—
შზ-	შზრ-	—	—	შზნ-	შზვ-	—	—	შზვნ-

უნიმუზოა შყ- ჯგუფი.

[წყაროები: ჯგუფი ზლვნ- არის სიტყვაში ზლვენო, ლიტერატურული ქართ. ძღვენო, რომლის გენეტივია ძღვნის (ეაფა. III.81); ჯგუფი სზრ- სიტყვაში ფსზრისი (ვ. ბერიძე, ფ არაორგანულია). ჯგუფი შზვნ- ნაცნობია ჩემთვის მხოლოდ სიტყვაში შზვნავი (M.), რომელიც მეფეკება, რომ შეცდომაა შზნავი-ის ნაცვლად (დ. გურაძიშვილი, 7.11)].

ცხრილიდან ჩანს პოსტ-პალატალურიანი ჯგუფების შედარებითი სიიშვიათე. შევხვით მათ ოდნავ. ჯგუფი ზგ- დადასტურებულია მხოლოდ სიტყვაში მზგავსი, იწერება მზგავსი. ჯგუფი სკ- (სკვ- და სკვნ-) დადასტურებულია ქართული წარმოშობის სიტყვებში, რომლებიც ახლაც იხზარება, მაგრამ ჯგუფი სკრ- მეცნობა მხოლოდ ადგილის სახელით სკრის ხეობა (ი. ქავჭავაძე, I. 304), და ჯგუფი სკლ- თავს იჩენს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში. ჯგუფი სკ- ხშირია ნასესხებ სიტყვებში (მაგ., სკესი); ნაძღვილ ქართულ სიტყვათაგან შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ სკელი, წარმოქმნილი ძველი ქართული სიტყვისაგან ზრქელი; ჯგუფები შიშინა+ პოსტ-პალატალურით იშვიათია. ჩვენ გვაქვს ჯგუფი შკ- ხის სახელში შკერი (საბა) და შკმ- ადგილის სახელში შკმერი (ი. ქავჭავაძე, I. 152); ჯგუფი შკ- არის სიტყვაში შკიჟი-, რომელიც მონაცვლეობს სიტყვებთან სკიჟი და

სკიჯი (ყურძნის სახეობა), და ზმნა შკმა-ს ფორმებში (საბა, იხ. აშკმა).. ზოგიერთი სიტყვა ფგ- ჯგუფით სავსებით დიალექტალურია. პირიქით, ჯგუფები ველარული ხშულით ქარგადაა წარმოდგენილი ლექსიკონში. ისინი სტაბილურია და არ ჩანს ის მონაცვლეობები და მერყეობანი, რაც ჩვენ შევნიშნეთ პოსტ-პალატალურიან ჯგუფებში.

(ყრუ ჯგუფებს ზოგჯერ უსწრებს წინ ლაბიალური, ე. ი. ფშენივიერი ფ, რაიმე ეტიმოლოგიური ღირებულების გარეშე. ეს უექველად ის ფორმაა, რომელსაც ყრუ სიბილანტის წინ იღებს ლაბიალური შ-, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ამგვარად, ზმნას სკვნა აქვს დასაველურ დიალექტებში ცორობა ფსკვნა. ერთადერთი სიტყვაა ფსკერო, რომლისგანაც უქონლობის აღმნიშვნელი წარმოებული უფსკრული არსებობს თანამედროვე ქართულში; აქ სტაბილური ჩანს ლაბიალური—არაა არც ერთი ფორმა ფ-ს გარეშე. ზემოაღნიშნული ძვ. ქართული სიტყვა ზრქელი ერთადერთია, სადაც ხშული და სიბილანტი გაყოფილია სონანტით.)

ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი + ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი (+ ს ო ნ ა ნ ტ ი)

24. თუ ჯგუფი შეიცავს ორ სიბილანტს, ისინი არიან ერთი და იმავე სახის. ისინი, მაშასადამე, არიან ორივე სისინა ან შიშინა, ყრუ ან მელერი.

დადასტურებულია ჯგუფები სრსგ- (ძვ. ქართ.), ზრზ- ზრზნ- (ვ. ბარნოვი, გვ. 73) და ჟრჟ-. მიმღეობითი ზედსართავი და-მ-შრშ-ალ-ი (შუშ. XII.13) უნდა გულისხმობდეს პირველადს პასიურ ფორმას *ვ-შრშ-ები თავკიდურა ჯგუფით შრშ-, სრსგ-ს არსებობა. სიტყვაში სრსვილი ვარაუდობს, რომ ჯგუფი სრს- აგრეთვე შესაძლებელია.

ხ შ უ ლ ი + ხ შ უ ლ ი + ს ო ნ ა ნ ტ ი

I. ე. წ. გაორმაგებული ჯგუფები

25. ხშულების ჯგუფებიდან ჩვენ გამოვყოფთ ისეთებს, სადაც ხშულები იდენტურია. ჩვენ მიერ გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: რომლებსაც ვუწოდებთ გაორმაგებულ ჯგუფებს:

ბრბ-	ფრფ-	პრპ-			
—	თრთ-	—	თრთვ-		
—	ცრც-	წრწ-	ცრცვ-	წრწვ-	ცრცნ-
—	ჩრჩ-	ჭრჭ-	—	—	ჩრჩნ-
გრგ-	ქრქ-	კრკ-	გრგვ-	გრგლ-	—
ღრღ-	—	—	—	—	ღრღნ-

[წყაროები: ცრცვ- ზნაში ცრცვა (გა-ცრცვილი, ნ. ლორთქიფანიძე. უილქნოდ, გვ. 66, თბილისი, 1934), ცრცნ- სიტყვაში ცრცნა (იცრცნებოდა, რაც იხმარებოდა სიტყვის გაცვაუბოდა-ს მაგიერად (ვ. ბარნოვი, ტფილისის აჩრდილები, გვ. 73)—ძირია, როგორც ჩანს, ცრცვა; წრწ- სიტყვაში წრწოლა (ვაეა, IV. 270)—დუბლეტია სიტყვისა ძრწოლა)].

შეინიშნება ზეღერი დენტალური ჯგუფების უქონლობა. აქ უნდა დაინახოთ სტრუქტურული რიგის ფაქტი, რადგანაც, როგორც ჩანს, ძვ. ქართულში არაა სეგმენტები რდ რძ რჯ როგორც დამოუკიდებელი ჯგუფები. რდ- ჯგუფი არ არსებობს ახალ ქართულში, მაშინ როცა რძ-, რჯ- წარმოადგენენ უფრო ძველი 'ჯგუფების მეორეულ ცვლილებას' (იხ. ზემოთ 21). აქლია აგრეთვე ხრხ- და ყრყ- ჯგუფები, თუმცა ჯგუფები რხ- და რყ- დადასტურებულია. ამ ასიმეტრიულობის მიზეზებია ივენთვის მიუწყვლობა.

26. გლოტალიზებულ ჯგუფებს ახასიათებს ის თავისებურება, რომ მრავალ სიტყვაში გლოტალიზებული თავკიდური თავისუფლად მონაცვლეობს შესაბამის მელერთან. ჩვენ გვაქვს დუბლეტები პრპენი და პრპენი, წრწნა, წრწოლა და ძრწოლა, კრკალი და გრკალი, კრკინვა და გრკინვა. ეს მერყეობა დამახასიათებელია და შეგვხვდება ორხშულიან სხვა ჯგუფებში. ჩვენ ვხსნით ჯგუფებს მელერი+გლოტალიზებული, როგორც გლოტალიზებული+გლოტალიზებულის თავისუფალ ვარიანტებს—არსად არ არის ამ ფორმებს შორის ფონემატური დაპირისპირება (ყველა ამ საკითხის შესახებ იხ. 50—51). თუ, მაშასადამე, ძვ. ქართულში ვხედავთ ინფინიტივს დრტვინვა, ჩვენ რეალურად მიგვაჩნია თავკიდურა |ტრტვ-| ჯგუფი, რომელიც, რამდენადაც ვიცით, არ არის დამოწმებული ტექსტებში. თუ ეს ჯგუფი არსებობდა, შეიძლება, რასაკვირველია, ვივარაუდოთ რომ შეიძლებოდა არსებულიყო ტრტ- ჯგუფი¹.

ჯგუფი გრგლ- დამოწმებულია ზედსართავში მგრგლო-ვანი. თავკიდურა ჯგუფი წარმოშობილი უნდა იყოს *გრგვლ-საგან, თუ გამოვალთ იმავე ძირიდან წარმოებული სახელის სიმგრგვლეს (საბა) არსებობიდან.

¹ შესაძლებელია ეს ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაში შევამატოთ ეტიმოლოგიით. ჩვენ გვეჩვენება, რომ ძნელია დავამოროთ დრტვინვა < *ტრტვინვა სომხურ თრთუმ-ს მოწყენილი, მოწყენა' და თრთხელ 'ბუბუნნი', რომლის ძირი შეესატყვისება ბგერობრივად ქართულ ტრტვ- (შეად. სომხური და ქართული ტექსტები: იოანე XI. 41 და 61). რადგანაც სიტყვა შეიცავს ინდოევროპულ ეტიმოლოგიას (იხ. Lidon, Armonische Studien, et Ačarean, Harinatucau Bararan VI, გვ. 1016—20, სადაც აღნიშნულია ქართული ტრტვინვა, რაც ჩემთვის არ არის ცნობილი), ნახსობობას ადგილი უნდა ჰქონოდა სომხურიდან ქართულში, ამ ეტიმოლოგიას არ ემბრობა ფ. ნაისერი ნაშრომში: Studien zur georgischen Wortbildung (Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes XXXI, 2, გვ. 67) ისეთი არგუმენტებით, რომლებიც ვადამწყვეტად არ გვეჩვენება.

ჯგუფი ძრც- სიტყვაში ძრცვა ეკუთვნის განკერძოებულ ტიპს. ჩვენ უკვე დავადგინეთ გლოტალიზებულ ჯგუფებში მონაცვლეობა მელერი+გლოტალიზებული; აქ, ვფიქრობთ, ასპირატთა ჯგუფებში უნდა გვეკონდეს მონაცვლეობა მელერი+ასპირატი, რადგანაც ძრცვა-ს გვერდით არსებობს ფორმა ცრცვა. მაშასადამე. შესაძლებელია აიხსნას ძრც- ჯგუფი როგორც [ცრც-]¹. ჩვენ დავუბრუნდებით მთლიანად ამ საკითხს ე. წ. არაპოზიტიური ჯგუფების შესახებ მსჯელობისას (იხ. 59).

ყველა აღნიშნული ჯგუფი ორ ხშულს შუა შეიცავს რ სონანტს. ძვ. ქართულში გვაქვს ორი ჯგუფი, რომელიც არ შეიცავს მელერს: თთგ- სიტყვათი თთგე (ახალ ქართულში გამარტივებულია—თვე) და ჩჩგ- ჩჩგილი (ახალ ქართულში ჩგილი). ამას უნდა დაემატოს ძწ- ჯგუფი სიტყვაში ძწოლა (აკ. შანიძე, გვ. 17.7) — სიტყვა ძწწოლა-ს ვარიანტი; ჩვენი გაგებით, ორივე უდრის [წწ]-ს და [წრწ]-ს².

II. არაგაორმაგებული ჯგუფები

27. კლასიფიკაციის პრინციპები. ჯგუფები, რომლებსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, შეიძლება წარმოადგენდნენ ქართული კონსონანტიზმის ყველაზე უფრო თავისებურ ნიშანს. ჯგუფებში მემავალი ხ ჰულები შეიძლება იყვნენ ლაბიალური, დენტალური ან პოსტერიული, მელერნი, ასპირატნი ან გლოტალიზებულნი. ისინი შეიძლება იყვნენ გაყოფილნი (უფრო ხშირად რ-თი); ასე რომ თეორიულად შესაძლებელ კომბინაციათა რიცხვი მეტად დიდია. დადასტურებული ჯგუფები წარმოგვიდგენენ მხოლოდ მათ ნაწილს. წარმოადგენენ და-

¹ ამ ფორმების ქრონოლოგიის საკითხი ძნელია. ყველაზე უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს ძრცვა ფორმა, რომელიც შენარჩუნებულია სრული ვოკალიზმით ახალ ქართულში ძარცვა. ფორმა ცრცვა უფრო ახალი ჩანს და აქ მასში შეიძლება დაგვენახა ასიმილაციის შედეგი. კანურ-მეგრული გულისხმობს ამ ზმნისათვის ფუძეს ცვ-; ეს ფორმა გაამაგრებდა ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით ქართული ზმნა თუძეგაორკეცებული უნდა იყოს. თავის კანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში (თბილისი, 1938, გვ. 372) ა. ჩიქობავა გულისხმობს ზმნაში ძარცვა პრეფიქსს ძა-; ასე რომ ძველ ფორმებს ნულოვანი ვოკალიზმით არ განიხილავს.

² ტერმინი გაორმაგებული ჯგუფებისა გამართლებული ჩანს ეტიმოლოგიური ანალიზით. დამოკიდებულება მქრქალი-სა და წქრქალი-ს შორის (ქრ-ობა-დან) და მგრგლავანი-ხა და მგრგვალი-ს შორის აშკარაა და ისინი პარალელურია ზემოაღნიშნული მშრშალი-ხა და მშრალი-ხა. სიტყვა ბრბო უეჭველად ახლოს უნდა იყოს ძირთან ბარ, რომელიც დამოწმებულია ბრ-უნვა-ში და სიტყვაში ბორბალი < ბორ-ბარ-ი (შეად. ბერძნ. ჯრჯლიც); ბევრ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ გაორმაგებული ფორმა, ასე მაგ., მოავალი ზმნა, რომლებიც აღნიშნავენ კანკალს, თრთოლას როგორიცაა:—თრთოლა, კრკოლა, ზრზოლა, ურუოლა (ძწწოლა), რომელთა ექსპრესიული ხასიათი აშკარაა.

დასტურებული ჯგუფები სრულიად თვითნებურ არჩევას ამ შესაძლებლობათა შორის, თუ წარმოადგენენ ისინი განსაზღვრული სტრუქტურის ტიპების შეზღუდულ ერთობლიობას?—აი ძირითადი პრობლემა.

ჯგუფების კლასიფიკაციის დროს ჩვენ გავითვალისწინებთ ორ ფაქტორს:

1. ორი წევრის საარტიკულაციო ადგილებს (ლაბიალური, დენტალური, პოსტერიული) და მათი თანამიმდევრობის რიგს. ჯგუფში.

2. ორი წევრის არტიკულაციის რაგვარობას (მეღერი, ასპირატი ან გლოტალიზებული) და მათ რიგს განხილულ სეგმენტში. ჩვენ ერთგამიერად განვიხილავთ ორბშულიან ჯგუფებს მათ შუა ჩართული სონანტით და სონანტჩაურთველად. სონანტის საკითხს განვიხილავთ სპეციალურ პარაგრაფში.

28. 1. საარტიკულაციო ადგილები. თუ ორი წევრის თანამიმდევრობაა ლაბიალური+დენტალური, ლაბიალური+პოსტერიული ან დენტალური+პოსტერიული, ჯგუფი ინტროვერტიულია (introverti): ჯგუფის არტიკულაციის განმავლობაში ენის მაგარ სასასთან შეხების წერტილები გადაადგილდებიან ფილტვებიდან ამოდენილი საფონაციო ჰაერნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ ისინი ერთმანეთს მისდევენ საწინააღმდეგო (პოსტერიული+დენტალური, პოსტერიული+ლაბიალური ან დენტალური+ლაბიალური) თანამიმდევრობით. ჯგუფი ექსტროვერტიულია (extroverti)¹.

ქვემომოცემული ცხრილი წარმოგიდგენს ექვს შესაძლებელ კომბინაციას ორი განსხვავებული ხშული თანხმონის შემცველ ჯგუფში:

A—ინტროვერტიული

B—ექსტროვერტიული

I დენტალური+პოსტერიული

პოსტერიული+დენტალური

II ლაბიალური+დენტალური

დენტალური+ლაბიალური

III ლაბიალური+პოსტერიული

პოსტერიული+ლაბიალური

A სვეტის ყოველი ჯგუფი შეესაბამება B სვეტის ჯგუფს რომელიც შეიცავს იმავე წევრებს საწინააღმდეგო თანამიმდევრობით. ამ ექვს ტიპს ემატება მეშვიდე; სადაც ნახევრად-

¹ ნაცვლად ამ ტერმინებისა, რომლებსაც ჩვენ გავეცანით მხოლოდ ამ შრომაში, ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში კარგა ბანია იხმარება იმავე ნიშნულობით შესაბამისი ტერმინები: დეცესიური (=introverti) და აქცესიური (=extroverti). (რედ.)

ბშულს (აფრიკატს) მოსდევს წმინდა დენტალური ხშული—ეს ჯგუფები შეადგენენ ერთ-ერთ შემთხვევას, სადაც საჭიროა განსხვავდეს ორი ქვეკლასი ხშული დენტალის კლასისა. რადგან ნახევრად-ხშულებს თავიანთი საარტიკულაციო ადგილები აქვთ წმინდა ხშულების საარტიკულაციო ადგილის უკან, აშკარად საჭიროა ამ ტიპის დაჯგუფება ექსტროვერტიულ ჯგუფებთან. ჩვენ გვექნება კიდევ მეოთხე წყება, სადაც უჯრედი Δ ცარიელია (არ არსებობს კომბინაციები წმინდა დენტალური ხშულები+ნახევრად-ხშულები):

IV --ნახევრად-ხშული+წმინდა ხშული დენტალური.

I—III ტიპებში არ არის განსხვავება წმინდა დენტალურ ხშულებსა და დენტალურ ნახევრად-ხშულებს შორის. მეორე მხრივ, ჩვენ ვერ შემოვიტანთ რთულ ტიპს პოსტერიული პოსტ-პალატალური ხშული+პოსტერიული ველარული ხშული, რადგან ეს ტიპი არ არის დადასტურებული, გარდა ერთადერთი ექსპრესიული სიტყვისა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ. I—III ტიპებში პოსტ-პალატალებსა და ველარებს ერთი და იგივე ფუნქციები აქვთ.

2. არტიკულაციის რაგვარობა

29. თუ ორ წევრს აქვს არტიკულაციის ერთი და იგივე რაგვარობა, ე. ი. თუ ორივე არის ან მელერი, ან ასპირატი, ან გლოტალიზებული,—ჯგუფი ჰომოგენურია, სხვა ჯგუფები—არაჰომოგენურია.

ჩვენ, მაშასადამე, გვექნება ჰომოგენური ჯგუფების სამი ძირითადი ტიპი, რომელთაგან ზოგიერთებს მაინც აქვთ არაჰომოგენური ვარიანტები (როგორც ჩვენს მიერ ხსენებული პრპ-ბრპ ვარიანტები გაორმაგებული ჯგუფებისათვის). არაჰომოგენური ჯგუფები ექვსი სხვადასხვა ტიპისაა. თუ ორი წევრი ერთმანეთს მოსდევს ასეთი თანამიმდევრობით: მელერი+ასპირატი, მელერი+გლოტალიზებული ან ასპირატი+გლოტალიზებული, ვამბობთ, რომ ჯგუფი არის ძლიერ მზარდი ან უბრალოდ მზარდი (croissant). თუ საწინააღმდეგო თანამიმდევრობა აქვთ (გლოტალიზებული+ასპირატი, გლოტალიზებული+მელერი ან ასპირატი+მელერი), ვამბობთ, რომ ჯგუფი ძლიერ კლებადია ან უბრალოდ კლებადი (décroissant). შემდეგში ვნახავთ, რომ ყველა არაჰომოგენურ ჯგუფს არა აქვს ერთნაირი ფონემიკური წესები—რამდენიმე მათგანი განხილული გვაქვს, როგორც ჰომოგენური ჯგუფების არადისტინქტური ვარიანტები.

ქვემოთცემული ცხრილი წარმოადგენს ექვს შესაძლებელ ტიპს:

ა—შხარდნი

ბ—კლებადნი

- | | |
|---------------------------|------------------------|
| 1. მეღერი+ასპირატი | ასპირატი+მეღერი |
| 2. მეღერი+გლოტალიზებული | გლოტალიზებული+მეღერი |
| 3. ასპირატი+გლოტალიზებული | გლოტალიზებული+ასპირატი |

კლასიფიკაციის ორი პრინციპის—საარტიკულაციო ადგილებისა და საარტიკულაციო რაგვარობის—შეერთებით ვაღწევთ ჰომოგენური ჯგუფების მაქსიმუმს—21 ტიპს, რომელთაგან ყველა დადასტურებულია, და არაჰომოგენური ჯგუფების მაქსიმუმს—42 ტიპს, რომელთაგან ყველა არ არის დადასტურებული.

ჰომოგენური ჯგუფები

ინტროვერტიული ტიპი A I: დენტალური+პოსტერიული.

30. ჩვენ მიერ შემჩნეულია შემდეგი ჯგუფები:

დგ.	დგრ.	—	დგმ.	დგნ.	დგვ.	დგვრ.	დგვლ.	—
დღ.	დღრ.	დღლ.	—	დღნ.	დღვ.	—	—	—
თქ.	თქრ.	თქლ.	თქმ.	თქნ.	თქვ.	—	თქვლ.	—
თხ.	თხრ.	თხლ.	თხმ.	—	თხვ.	—	—	—
ტა.	ტარ.	ტაჟ.	—	ტან.	ტავ.	—	ტავლ.	—
ტა.	ტარ.	ტაჟ.	—	ტან.	ტავ.	ტავრ.	—	ტავნ
ძგ.	ძგრ.	—	—	ძგნ.	ძგვ.	—	—	ძგვნ
ძღ.	—	—	—	ძღნ.	ძღვ.	ძღვრ.	ძღვლ.	ძღვნ
ცქ.	ცქრ.	—	ცქმ.	ცქნ.	ცქვ.	ცქვრ.	—	—
ცხ.	ცხრ.	—	—	—	ცხვ.	ცხვრ.	—	—
წა.	წარ.	წაჟ.	წამ.	წან.	წავ.	წავრ.	—	—
წყ.	წყრ.	წყლ.	წყმ.	წყნ.	წყვ.	—	წყვლ.	—
ჯგ.	ჯგრ.	ჯგლ.	—	—	ჯგვ.	—	ჯგვლ.	—
ჯღ.	ჯღრ.	—	—	—	—	—	—	—
ჩქ.	ჩქრ.	ჩქლ.	ჩქმ.	—	ჩქვ.	—	—	—
ჩხ.	ჩხრ.	ჩხლ.	ჩხმ.	—	ჩხვ.	—	ჩხვლ.	—
ჰა.	ჰარ.	—	ჰამ.	ჰან.	ჰავ.	—	—	—
ჰა.	—	ჰაჟ.	—	—	ჰავ.	—	ჰავლ.	—

[წყაროები: ჯგუფები დგვრ-და დღნ- გვაქვს სოფლების სახელებში: დგვრისი (ი. ჰაეჰაეაიე, I. 40) და დღნორისა (ჩრდ. იმერეთში), დღვრ-: მოდღვრებული (საბა), ტაჟ-: ტაჟაჯუნი, ტავრ: ტავრებოდა (ვაეა, I. 228), ძგნ- სიტყვაში დაძგნობა (იგიეე, 111, 137), ძგრ-: ძგრიალი (იხ. წკრიალი, დ. ჩუბინაშვილი), ძღვრ-—

მძღვრად < მძღვარი (გამოსვლათა 23. 23), ძღვლ- — ძღვლამი (ივ. ჯავახიშვილი, II. 295), წკლ- — წკლაპუნი (ა. ჭუმბაძე, 80), ჰკნ- — ჰკნავილი (გ. წერეთელი, 105), წკვ- — გა-წკვერტილი (ი. ჭავჭავაძე, I, 229), ჯგრ- — ჯგრო- (გ. წერეთელი, I, 405), ჯღვნ- ჯღვნა (? M), ჰკრ- — გა-ცა-მ-ჰკრალი (შოთა, 1274, 2)].

ცხრილის ცარიელი ადგილები წარმოადგენს შემთხვევით ხარვეზებს.

31. ამ ჯგუფებს, როგორც ჯგუფებს მარტივი დენტალური ხშულით, შეიძლება წინ უძლოდეს სონანტი რ:

რთხმ-	რცხ-	რცხვ-	რჩვ-
რტყმ-	რწყ-	რწყმ-	რწყვ-
რძღვ-	რძღვლ-		

ორი უკანასკნელი დადასტურებულია სიტყვაში რძღვამლი, რძღვლამი—ძღვლამი და გრძღვამლი ვარიანტებით (ივ. ჯავახიშვილი, II, 295). ამ ტიპის ყველა რ- თავიკიდურიან ჯგუფში პოსტერიული წევრი არის ველარული და არასდროს პოსტ-პალატალური. ეს იშვიათი ფაქტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ფუნქციონალურად განვასხვაოთ პოსტ-პალატალური ხშულები ველარული ხშულებისაგან. ამ ჯგუფებს უნდა დაემატოს ნ- თავიკიდურიანი ჯგუფები: ნჯღრ- და ნჩკრ- სიტყვებში ნჯღრევა, ნჩკრევა, ნ-იანი ჯგუფების პარალელური (§ 18).

ჰომოგენურ ჯგუფებში დენტალური+პოსტერიული—ორხშულიანი ჯგუფების ყველა სხვა ტიპისაგან განსხვავებით—საყურადღებოა ის, რომ ორხშულიანი წევრი არასდროს არ არის გათიწული სონანტით. ეს უტყუარი ფაქტია, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს შემთხვევითობას, და ჩვენ მას დაეუბრუნდებით ე. წ. კომპლექსური სამხშულიანი ჯგუფების განხილვისას (იხ. 58—59)¹.

¹ დ. ჩუბინაშვილის და M-ს ლექსიკონები იძლევიან სიტყვას შე-დრგინება, რომელიც ვარიანტია სიტყვისა შედგინება. სიტყვა, უეჭველია, ამოღებული უნდა იყოს საბადან, რომელიც, მართლაც, იძლევა სიტყვას შედრგინება და ხსნის სიტყვით შედგინება; მისი ძირია დეგ-/ღგ-. ეს სიტყვა, რომლის დამოწმებაც ჩვენ ვერ შევძელით, ერთადერთია ჯგუფით ღრგ-. F. Neisser-ს თავის შრომაში, რომელიც დასახელებულია მე-25 გვერდზე (იხ. შენიშენა), აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ რ-ს, რომელიც იწოდება Wucherlaut, შეუძლია ჰომოგენურ ჯგუფებში წმინდა დენტალური ხშული გაყოს პოსტერიულისაგან, მაგრამ რომ იგი არ არსებობს ხოლმე ჯგუფში ნახევრად-ხშული+პოსტერიული. ეს დასკვნა მე ნაჩქარევად მეჩვენება იმ მხრივ, რომ ამით იფარება სრული პარალელიზმი, რომელიც შეიძლება შეინიშნოს დენტალური+პოსტერიული ჯგუფების ამ ორ ტიპში. იგი დამყარებულია ერთადერთ შემთხვევაზე, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურ გამონაკლისს.

ინტროვერტიული ტიპი A II: ლაბიალური +
დენტალური

32. შენიშნულია შემდეგი ჯგუფები:

—	ბრღვ-	—	—	—
ბრძ-	ბრძვ-	ბრძმ-	ბრძნ-	—
ბრჯ-	—	—	ბრჯნ-	—
ფრთ-	ფრთვ-	—	—	—
ფრც-	—	—	—	—
—	ფრჩვ-	—	—	ფრჩვნ-

[წყაროები: ფრთვ- სიტყვაში ფრთვინჯა (ი. ქავკავაძე, I, 61),
ფრც- ადგილის სახელში ფრცა- (ივ. ჯავახიშვილი, I, 12)].

გლოტალიზებული ჯგუფი პტ- მოიპოვება სომხურიდან ნასესხებ სიტყვაში პტული, ხოლო სონანტით ადგილის სახელში პრტენა.

ცხრილის ჯგუფებში სონანტის მყოფობა, როგორც ჩანს, ფაქულტატიურია, — ჩვენ აღენიშნეთ დუბლეტები ბღვ- ბძ- ბძნ- ბჯ- ფთ- და ფჩვ(ნ). ფჩ- ჯგუფისათვის ზმნაში და ფჩენა (დაბჩენა) (დ. შენგელაია) ერთადერთი ჩემთვის ცნობილი უსონანტო ფორმაა. მაგრამ ვარიანტი რ-ს გარეშე სავალდებულოა, თუ სიტყვა შეიცავს ხმოვნის შემდეგ რ-ს¹. ნ- სონანტით ჩვენ გვაქვს ჯგუფი ბნღ- პირველადს პასივში ვ-ბნღ-ები < ბნედა. მოჩვენებითია გლოტალიზებული ჯგუფების თითქმის სრული უქონლობა — ეს ჯგუფები თავს იჩენენ არაპოზოგენური ზოგიერთი ჯგუფების რეინტერპრეტაციისას (იხ. 42).

33. აქ მოვიგონოთ ჯგუფების განსაზღვრული რიცხვი, რომელშიც ლაბიალური ხშულის ადგილს იკავებს სონანტი ვ. რადგანაც ეს ფონემა ინდიფერენტულია მჟღერის, ასპირატისა და გლოტალიზებულის განსხვავებისათვის, ამიტომ ეს ჯგუფები სინამდვილეში არც პოზოგენურია და არც არაპოზოგენური. ეს ჯგუფებია ვრღ- ვრც- ვრცლ- ვლღ- ვლთ (იხ. საბასთან ვან-ე-ვლთა) და ვლტ-. მხოლოდ ჯგუფები ვრც- და ვრცლ- ეკუთვნიან ახალ ქართულს: სიტყვა ვრცელ — ზმნიზედა ვრცლად.

ინტროვერტიული ტიპი A III: ლაბიალური +
პოსტერიული

34. შენიშნულია ჯგუფები:

ბ(რ)გ-	—	—	—	—	ბრგვ-	—	ბრგვნ-
ბღ-	—	ბღლ-	ბღმ-	ბღნ-	ბღვ-	ბღვრ-	—

¹ ერთადერთი საწინააღმდეგო მაგალითი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის ზმნა ბრძარვა (ბეს. გაბაშვილი, 103, 17), რომლის ნორმალური ფორმაა, ბძარვა (ან ბზარვა).

ფქ- — — — ფქნ- ფ(რ)ქვ- ფქვრ- —
 ფ(რ)ხ- ფხრ- ფხლ- — — — ფხვ- ფხვრ- ფხვნ-

როპელთაც უნდა დაემატოს გლოტალიზებული ჯგუფები ჰკ- და ჰყრ- და, შეიძლება, ჰკვრ-, მოცემული მეკელაინის მიერ ზმნაში ჰკვრევა (ჰკურება-ს სინონიმი)¹.

ჰყ-ს უქონლობა ტიპური მაგალითია მორფოლოგიური შემთხვევითობით გამოწვეული ხარვეზებისა. ზმნური ძირი ჰყარ- გვხვდება ნულოვანი ვოკალიზმით ინფინიტივში ჰყრ-ობა და სრული ვოკალიზმით ძლიერი აორისტის ფორმებში, მაგრამ ამ უკანასკნელს აქვს ყოველთვის ვოკალური პრეფიქსი (ვერსიისა) **o e ან უ**. ამგვარად, ჩვენ გვაქვს ვ-ი-ჰყარ, ვ-ე-ჰყარ, რომელიც თეორიულად შეიცავს საშუალო ვერსიის აორისტს *ვ-ჰყარ, რომელიც სემანტიკური მიზეზებით ჩვენს ტექსტებში არასდროს არ ყოფილა დადასტურებული და რომელიც შეიძლება არც არსებობდა. ფონემიკური თვალსაზრისით არაფერი არ ეწინააღმდეგება თავკიდური ჰყ- ჯგუფის არსებობას, მაგრამ შემთხვევით ისე მოხდა, რომ არც ერთი სიტყვა ზუსტად არ შეიცავს ამ თავკიდურიან ჯგუფს.

ფრჩხილებში მოცემული (რ) ნიშნავს, რომ დადასტურებულია ჯგუფი, როგორც რ-თი; ისე მის გარეშეც, მაგრამ, ზემოთ (32) განხილული ჯგუფებისაგან განსხვავებით, აქ არ არის თავისუფალი მონაცვლეობა რ-იან ფორმებსა და უმისო ფორმებს შორის: განსახილველი სიტყვები დადასტურებულია ან ერთ ან მეორე ფორმაში. ამგვარად, სიტყვებში ბრგე, ბრგუ, ბრგვილი და ბრგვნილი თავკიდურა ჯგუფი ყოველთვის შეიცავს, ჩემის აზრით, სონანტს; სიტყვა ბგერა კი (ფონეტიკური), პირიქით, ყოველთვის დადასტურებულია სონანტის გარეშე, მაგრამ აქ რ-ს უქონლობა შეიძლება იყოს გამოწვეული რ-ს არსებობით ხმოვნის შემდეგ, ისევე როგორც სიტყვაში ჰკურება. მართალია, ჩვენ გვაქვს უფრო მკაფიო დაპირისპირება ფქვ- და ფრქვ- ჯგუფებს შორის, მაგრამ ეს შემთხვევა არ არის საცესებით სარწმუნო, რადგან ჯგუფი ფრქვ- უნდა იყოს ფქვრ-ის შემთხვევითი ვარიანტი. იგი დადასტურებუ-

¹ თუ ჯგუფი ფქვ- იშირია, ჯგუფი ფქ- ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ეპისკოპოს კირიონის ლექსიკონით, სადაც ეპოულობთ სიტყვას ფქილი, ეს არის ლიტერატურული სიტყვის ფქვილი-ს დუბლეტი (ზმნისაგან ფქვა). ჯგუფი ფქნ- ჩანს სიტყვაში ფქნარება (საბა), — ეს არის ვარიანტი სიტყვისა მოქნარება. ჯგუფი ფრხვ- მოცემულია მეკელაინთან ზმნაში ფრხვა 'შეშინება', რომელიც ექვს იწვევს. — ეკვია, რომ ეს უნდა იყოს ბეჭდური შეცდომა, ან არეული უნდა იყოს ზმნის ფრთხობა ფორმასთან.

ლია ზმნაში ფრქვევა < ფქვრევა. ეს ზმნა უნდა იყოს კაუზატიური წარმოებისა -ევ-ით, ნაწარმოები -ერ-ით ფქვა სიტყვის ფქვ- ძირისაგან (შდრ. ფქვილი): *ფქვ-ერ-ევ-ა > ფქვრ-ევ-ა > ფრქვ-ევ-ა.

ჯგუფი ფრხ- დადასტურებულია სიტყვაში ფრხივ, რომელიც წარმოებულია ივ-ით სიტყვისაგან ფერჯი (ძვ. ქართ.). ახალ ქართულში არის მხოლოდ ფეხ-ი და სვანურში ბჰხ, რომელიც მიუთითებს, რომ ძველ ქართულში სონანტი რ მეორეულია. რ-ის ზუსტი მნიშვნელოვნობა—ფონეტიკური თუ ფონემატური—ვერ განისაზღვრება მხოლოდ ამ ჯგუფების დახმარებით.

ასპირატიან ჯგუფებში, სადაც არ არის რ, შეინიშნება ხშირი მონაცვლეობა თავკიდურა ბ-სა და ფ-ს შორის. შეიძლება მიეუთითოთ საბას ლექსიკონზე: დააბხანინა, რომლის ძირია ფხან-, და დააბქვევინა და წააბქვაია, რომელთა ძირია ფქვევა.

ჰო მ ო გ ე ნ უ რ ი ე ქ ს ტ რ ო ვ ე რ ტ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი

ექსტროვერტიული ტიპი B I: პოსტერიული+დენტალური.

35. მეღერთა ჯგუფებია:

გ(რ)დ- — გ(რ)ძ- — გ(რ)ნ; გ(რ)ძლ- გრჯ- —
 ღ(ვ)დ- — ღრძ- — — — ღ(რ)ჯ- ღრჯნ-

გრჯ- ჯგუფისათვის სიტყვაში გრჯოიხ. დ. ჩუბინაშვილი sub voce გრქო. გჯ- ჯგუფი დადასტურებულია გლეჯა- ზმნის პასივში გჯება (აკ. შანიძე, 292) < * გლეჯება. ჯგუფი ღდ- განსაკუთრებულია, შემჩნეულია ერთადერთ სიტყვაში ღდინი (დ. შენგელაია), მაგრამ ძვ. ქართულში იგი კანონზომიერია სიტყვაში მღღელი. ახალ ქართულში ამ უკანასკნელს აქვს ფორმა მღვდელი ნულოვანი ვოკალიზმით გენეტივში მღვდლის, რომელიც ჩვენ გვაძლევს თავკიდურა ჯგუფს (მ)ღვდლ-¹.

ზმნაში გდება რ-ის უქონლობა აუცილებელია, მაშინ როცა სიტყვა გრდემლი, ჩვენი ვაგებით, დადასტურებულია მხოლოდ სონანტით. ვფიქრობთ, აქ გვაქვს მკაფიო დაპირისპირება გდ-სა და გრდ-ს შორის, ასე რომ ამ ჯგუფში რ სონანტს ექნებოდა რეალურად ფონემიკური ღირებულება. სხვა ჯგუფებში რ-ს შემცველი უმისო ფორმები თავისუფლად მონაცვლეობენ: გრძელი—გძელი, გრძნობა—გძნობა და ა. შ.—ეს, უეჭველად, სტილისა და წარმოთქმის სისწრაფის საკმეა.

¹ რადგანაც სიტყვა ღდინი-ხ წყარო აშკარად არაბული ძეგლ არის, შეიძლება დაგვბადოს კითხვა, ხომ არ მომდინარეობს თავკიდურა გლეჯარული ხშული (მ)ღვდელი-ს ასოციაციიდან.

ჯგუფში გნდ- გეაქვს სონანტი ნ სიტყვაში გნდე. განსაკუთრებული ჯგუფი გვრდ- მოცემულია საბას მიერ -გვ -ით წარმოებულ სიტყვაში გვრდივ<გვერდ-ი.

36. ასპირატთა ჯგუფებია:

ქ(რ)თ-	ქ(რ)ც-	ქ(რ)ცვ-
ხთ-	ხც-	ხ(რ)ჩ-

სონანტი ფაკულტატურია ისეთ სიტყვებში, როგორცაა ქრთამი, ქრთილი, მაგრამ ჯგუფს ქც- სიტყვაში ქცევა<ძირისაგან ქეც- არასდროს არა აქვს რ და ამგვარად უპირისპირდება ქრც- ჯგუფს სიტყვაში ქრცუნე. ჯგუფი ხთ- მოიპოვება მხოლოდ ერთ ფორმაში ხთის (ან ხვთიხ, იწერება უფრო ხშირად ლთიხ ან ლვთიხ ეტიმოლოგიური მოსაზრებებით) სიტყვა ლმერთ-ი-ს უწესიერო გენეტივი. ჯგუფი ხც- დადასტურებულია შვცე-ში; ესაა ჯგუფი, რომელმაც ახალ ქართულში განიცადა მეტათეზისი წარმოებულ სიტყვაში მცხოვანი. ჯგუფი ხჩ- თავისუფლად მონაცვლეობს ხრჩ-(ღრჩ)-სთან ზმნაში ხჩოხა, სადაც სონანტი მეორეულია¹.

გლოტალიზებულ ჯგუფებს კრწ-, კრტ- და კრტნ-, პირიქით, ყოველთვის აქვთ სონანტი².

¹ ძველ ქართულში ამ ზმნას აქვს ფორმა შთოხა სიტყვიდან შდოხა<შვდოხა, როგორც ამას ვხედავთ წარმოქმნილ სიტყვაში შიშვდილი (მთ. 25,5) (ვაჩიანტი შიშოჯილი) სიტყვიდან *სი-შვდ-ილი. თუ ჩვენ შევადარებთ შვდ- ჯგუფის განვითარებას ხ(რ)ჩ-დ და შთ-ს განვითარებას (რ)ჩ-დ, დავინახავთ, რომ მეტათეზისი შთ > თშ > ჩ საერთოა ორივესთვის. განსხვავებას (ველარული ფორმაციების ხ-ს გაჩენას) შეიძლება მიზეზად ქონდეს მხოლოდ უ სპირანტი შვდ-ში, — სპირანტი, რომელიც ამ გარემოცვაში დაყრუვდა, დელაბიალიზაცია განიცადა და ველარული გახდა. ორივე შემთხვევაში სონანტი რ მეორეულია — განსხვავებას არც ხრჩ- და ხჩ-ს შორის, არც ხრჩ- და ღრჩ-ს შორის არ აქვს ფონემიკური ღირებულება. უკანასკნელი მონაცვლეობა მელერი+ასპირატი ასპირატთა ჯგუფში კარგადაა ცნობილი (იხ. 50).

² ორი პირველი თავს იჩენს მხოლოდ ზმნაში ვ-კრტნ-ი, აორისტი ვკრტენ და სიტყვაში კრტომლა (საბა), რომელიც, უძველესი, იმავე ფუძიდანაა. უკანასკნელი ჯგუფი კრწ- დამოწმებულია სიტყვაში კრწანისიხ (ველი). ეს ჯგუფები შეიცავენ სონანტ რ-ხ. ჯგუფი კტ- არის მოცემული მეკელიანთან სიტყვაში კტკელი. რომელიც განსაზღვრებაა სიტყვისა ქერა. ეს სიტყვა, უძველესი, ამოღებული არის G. Goldenstädt, Reisen durch Russland und in Caucasischen Gebirge (გამოქვეყნ. Pallas, Petersburg, 1787), I, გვ. 399, და შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ტრანსკრიფციული შეცდომა ზედსართავისა პტყელი (იმერული ფორმა სიტყვისა ბრტყელი), როგორც ეს დაინახა ივ. ჯავახიშვილმა. მას იყენებენ სწორედ ქერა-ს ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნავად, ანდა ის არის ბეჭდური შეცდომა, რაც მრავლად არის ამ შესანიშნავ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა საკმაოდ არაკომპეტენტურად ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1781.

ექსტროვერტიული ტიპი B II: დენტალური+ლაბიალური.

37. დადასტურებული ჯგუფებია მხოლოდ დბ- ადგილის საბელწოდებაში დბანისი (ახალი ფორმა დმანისი) და კპ- სიტყვაში კპანვა- დიალექტალური ტრანსფორმაცია სიტყვისა კპანვა (იხ. ვ. ბერიძე).

ექსტროვერტიული ტიპი B III: პოსტერიული+ლაბიალური.

38. ერთადერთი ჯგუფია გბ- და გბრ- ძე. ქართულ ზმნაში გბოღვა, გბოზა მიმღეობითი წარმოებულთ მგზარი, გენეტივში მგზრის (დაბადება 25.30). საბას მოცემული აქვს იგივე სიტყვა მეტათეზისით გბოღვა (ტიპი A III). ვინაიდან სიტყვა გამოსულია ხმარებიდან, გბ(რ)- ჯგუფი აღარ არსებობს ახალ ქართულში.

ექსტროვერტიული ტიპი IV: ნახევრად-ხშული დენტალური+წმინდა დენტალური ხშული.

39. ერთადერთი ჯგუფი თანამედროვე ქართულში არის ჯდ-სიტყვაში ჯდომა. ძე. ქართულს ამას გარდა კქოადა ნ-სონანტიანი ჯგუფი ძნდ-სიტყვაში (შე-უ)ძნდა და ასპირატთა ჯგუფები ცთ- და ცვთ-სიტყვაში ცთომა და პირველადი პასივი ვ-ცვთები სიტყვისა ცვეთა. ეს ორი ჯგუფი ახალ ქართულში უფრო ხშირად არის შეცვლილი არაპოპოგენურ ჯგუფებად: ვ-ცდები და ვ-ცვდები (იხ. 47)¹. ჩართული მეღვრით ჩვენ გვაქვს ჩრთ- კრტ- და წრტ- (იხ. საბა: ჩრთინება, კრტინება და კრტინვა და წრტიალი). ჯგუფი (მ)კრტნ-სიტყვაში მკრტნავი (მეკელანინი) უთუოდ მცდარი უნდა იყოს (იხ. საბა, მკრტინავი).

40. დასკვნა: ინტროვერტიული ჯგუფებისათვის ყველა შესაძლებლობანი რეალიზებულია სამ ტიპში: I—III. ექსტროვერტიული ჯგუფებისათვის დადასტურებულია ასეთი თუ ისეთი სიბშირით (B I) მხოლოდ ისინი, რომლებსაც აქვთ ბოლოწევრად დენტალური. B II და B III ჯგუფები პრაქტიკულად არ არსებობენ, ხოლო B IV ტიპის ჯგუფები წარმოდგენილია ერთადერთი ჯგუფით ხშირად ხმარებულ სიტყვაში და რამდენიმე წმინდა ექსპრესიული ხასიათის ჯგუფებით.

¹ F. Neissor ვარაუდობს (ხსენებულ შრომაში, გვ. 17), რომ ცთომა არის შედეგი ცდომა-ს ასიმილაციისა. მაგრამ ცთომა არის ძველი ფორმა (აორისტი ხ-ცვთ ქართულ სინაქსარში, გამოცემა ნ. მარისა, Patrologia Orientalis, ტ. 19, 5, გვ. 69, 1. 9), მაშინ როდესაც ცდომა არის ახალი, მეორეული ფორმა; მოულოდნელი ევოლუცია, რომელმაც შეაძლებელია გამოიწვიოთ ცად-ძირთან შე-რევა, მაგრამ რომელიც შესაძლოა აიხსნას სიტემის ფარგლებში.

რაც შეეხება რ სონანტის განაწილებას, შეინიშნება, რომ იგი, ყოფს რა ორ ხშულს, სრულიად არ არის A I ტიპში, მისი არსებობა A II ტიპში ფაქულტატურია, მაშინ როცა მას, ალბათ, დისტინქტური ღირებულება აქვს A III ტიპში. ექსტროვერტიულ ჯგუფებში ფაქტების ახსნა უფრო ძნელია, რადგან ეს ჯგუფები უფრო იშვიათია, მაგრამ სონანტი ზოგიერთ შემთხვევებში დისტინქტური ჩანს ნახევრად-ხშულის წინ.

ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემულია ხშულთა ყველა კომბინაციები ჰომოგენურ ჯგუფებში, მიუხედავად იმისა, ახლავთ მათ სონანტები თუ არა. გარდა A I ჯგუფებისა, სადაც არც ერთი სონანტი არ ყოფს ორ ხშულს, ჩვენ აღვნიშნეთ ყოველ უჯრედში უსონანტო ჯგუფები მარცხენა სვეტში, ხოლო სონანტიანი—მარჯვენა სვეტში.

ჰომოგენური ჯგუფების ცხრილები (თაქვიდურა სეგმენტი)

	მელერი		ასპირატნი			გლოტალიზებული			
	ღგ-	ძგ-	ჯგ-	თქ-	ცქ-	ჩქ-	ტქ-	წქ-	ჭქ-
	ღღ-	ძღ-	ჯღ-	თხ-	ცხ-	ჩხ-	ტუ-	წუ-	ჭუ-
A I		ბღ-	ბრღ-	ფთ-	ფრთ-		პტ-		პრტ-
II		ბძ-	ბრძ-	—	ფრც-	—	—	—	—
		ბჯ-	ბრჯ-	ფჩ-	ფრჩ-	—	—	—	—
III		ბგ-	ბრგ-	ფქ-	ფრქ-		პკ-		—
		ბღ-	—	ფხ-	ფრხ-		პუ		—
		გღ-	გრღ-	ქთ-	ქრთ-		—		კრტ-
		გძ-	გრძ-	ქც-	ქრც-		—		კრწ-
B I		ბჯ-	—	—	—	—	—	—	—
		ღღ-	—	ხთ-	—	—	—	—	—
		ღძ-	ღრძ-	ხც-	—	—	—	—	—
		ღჯ-	ღრჯ-	ხჩ-	ხრჩ-	—	—	—	—
II		ღბ-	—	—	—	—	პკ-	—	—
III		გბ-	—	—	—	—	—	—	—
IV		—	(ძნღ-)	ცთ	—	—	—	—	წრტ-
	ჯღ-	—	—	—	ჩრთ-	—	—	—	პრტ-

გლოტალიზებული ჯგუფები იხ. § 55-ის შესწორებულ ცხრილში.

არაპომოგენური ჯგუფები.

ინტროვერტიული ჯგუფები, შზარდი ტიპი.

41. მეღერი+ასპირატი (α I). ერთადერთი ჯგუფები, რომელთა აღდგენა ჩვენ შეეძლებოდა, ეს არის ბრჩგ (A II) და ბქგ-ბხ-, (A III). ორი უკანასკნელი არ იწვევს არავითარ ექვს: საკმე ეხება ფქგ-სა და ვხ-ს შემთხვევით ვარიანტებს, როგორც მას ვხედავთ საბას მიერ ზემომოყვანილ მაგალითებში (34). ეს ზონაცვლეობაა, რომელიც ხშირად გვხვდება ასპირაციულ ჯგუფებში. ჯგუფი ბრჩგ- დადასტურებულია სიტყვაში და-ბრჩგილება (საბა). ვინაიდან ჩვენ ეს სიტყვა ვერ აღმოვაჩინეთ სხვაგან, ძნელია მტკიცება, რომ საკითხი ეხება პომოგენური ფრჩგ- (დადასტურებული) ჯგუფის ვარიანტს. თუმცა ეს ახსნა მეტიმეტად სარწმუნო უნდა იყოს.

42. მეღერი+გლოტალიზებული (α 2). ჩვენ მიერ შემჩნეულია შემდეგი ჯგუფები:

▲ I: დრკ- დრყ-

A II: ბრწ- ბრწმ- ბრკ- ბრკვ- ბრკლ-

A III: ბრკ- ბრყ- ბრყვ-

ყველა ეს ჯგუფი მოითხოვს უფრო დეტალურ განხილვას.

A I-ის ორი ჯგუფი დამოწმებულია დრეკ- ძირის ნულოვან ეოკალიზმიან ზოგიერთ ფორმაში, მაგალითად: პირველადს პასიევი ვ-დრკ-ები, ზედსართავში დრკ-უ და სიტყვაში დრყილი. ამასთანავე შესაძლებელია, რომ ეს უკანასკნელი სიტყვა წარმოებული იყოს იმავე დრეკ- ძირისაგან, აუხსნელი მონაცვლეობით კ-ყ (შესაძლებელია, სპორადულით). ეს მონაცვლეობა დადასტურებულია ზოგიერთ სხვა სარწმუნო შემთხვევაში (ბრკ-ბრყ, ტკმ-ტყმ, იბ. ამ პარაგრაფის დასასრული და ქვემოთ ნნ). ვინაიდან პირველადი პასიევი ახალ ქართულში შეცვლილია მეორეული პასიევით ვ-ი-დრეკ-ები და რადგან დრკ-უ- და დრყილი- უფრო ძველ ქართულს ეკუთვნის, ჩანს, I ტიპი თითქმის უცნობია ახალი ქართულისათვის.

A II ჯგუფები, დამოწმებულ სიტყვებში ბრწამლი, ბრწმალი, ბრწმული, ბ(რ)კე, ბ(რ)კალი მოქმედებითში ბრკლითა ან ბრკალითა (შოთა, 725, 3 და 791,3) და ბ(რ)კვალი—დაწერილია ყველა თავკიდურა მეღერით, გარდა ორი უკანასკნელისა, რომელთათვის ჩვენ შევნიშნეთ პ(რ)კყალი და პ(რ)კვალი.

A III ჯგუფებში დაუდასტურებელი მნიშვნელოვანი მერყეობა ბ-სა და ფ-ს შორის დაწერილობაში. შეიძლება მოვიგონოთ ბრკე ანუ

პრკე; ბორკ-ძირისაგან, ერთი მხრივ, გვაქვს ბრკმა, ბრკენა, ბრკო-
ლება, ბორკილი; მეორე მხრივ, პრკოლება (წმ. იოანე, V, 61,
ტბეთის ხელნაწ.). ორივე სახელი—პრკენა და ბრყენა (საბა და
ჩუბინაშვილი) უაუოდ აღნიშნავენ ერთსა და იმავე ხეს (შეიმჩნევა—
კ~ყ მონაცვლეობა).

43. ასპირატი + გლოტალიზებული (ა 3). ჩვენს მიერ შენიშ-
ნულია ლექსიკონებში მხოლოდ ორი სიტყვა: ფრტიალი და ფრტვინ-
ვა (ორივე საბასთან).

ინტროვერტიული ჯგუფები, კლებადი ტიპი.

შეგვიძლია მიეუთითოთ მხოლოდ რამდენიმე განცალკევებულ
ჯგუფი: ტიპი ასპირატი + მელერი და დასტურებულია ზმნაში
თრგ-უნვა (AI, პ1) და სიტყვაში ფრდა (AII, პ1); ახალი ქართ-
ულისათვის ეს სიტყვები უცხოა. ტიპი გლოტალიზებული + მელერი
(პ 2) სრულებით არ არის წარმოდგენილი, და უკანასკნელი ტიპი
გლოტალიზებული + ასპირატი წარმოდგენილია მხოლოდ ექსპრე-
სიული ზმნის კრხიალი-ს თავიიდურა ჯგუფით (AI, პ3) (საბა).

ექსტროვერტიული ჯგუფები, მზარდი ტიპი

44. ტიპი მელერი + ასპირატი (ა 1) წარმოდგენილია ღვთ- და
ღრჩ ჯგუფებით (სოფრ. მაგალობლიშვილი. II, 72), რომლებიც ჩვენ
განვიხილეთ უკვე, როგორც ხვთ- ხრჩ- ჰომოგენური ჯგუფების
ფონეტიკური ვარიანტები (BI). ძვ. ქართულისათვის უნდა და-
ვმატოს ღმრთ- ჯგუფი ღმრთის-ში—გენეტივი სიტყვისა ღმერთ-
ი (ახ. ქართ. ხვთის).

45. მელერი + გლოტალიზებული (ა 2) ტიპი წარმოდგენილია
ჯგუფით გრჭ- სიტყვაში გრჭო¹, ჯგუფით ღრჭ- სიტყვებში ღრჭენა,
ღრჭიალი, ჯგუფით ღწ- სიტყვებში ღწოლა (ძვ. ქართული) < ღწოლა

¹ ეს სიტყვა ეკუთვნის პრობლემებს. სიტყვისათვის გრჭო (საბა) ჩვენ გვაქვს დ. ჩუ-
ბინაშვილთან დუბლეტი გრჯო. ეს უკანასკნელი განუყოფელია სიტყვისაგან გრჯლა
(საბა). იმავე სტრუქტურის და პრაქტიკულად იმავე წინშეწელობის ფუძე, მაგრამ
განსხვავებული თანხმოვნური სისტემით, დამოწმებულია სიტყვაში კრჩხა (საბა,
და დ. ჩუბინაშვილი). ბორჯლი-სა (საბა და დ. ჩუბინაშვილი) და ბორჯლიდე-ს
შედაჩეაისას (ისევ 8.29, რომელიც თარგმნის ბერძნულ სიტყვებს $\xi\rho\lambda\sigma\upsilon$
 $\rho\epsilon\tau\rho\upsilon\lambda\sigma\upsilon$, ვულგატაში იკითხება *patibulum*) ვასკენით, რომ ფუძე რჯლ-
რჩხ- პრეფიქსთან ზო-, რომელსაც ვითვლობთ სხვა სიტყვებში (იხ. ივ. ჯავახი-
შვილი, ქართული და ქართველური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესა-
ობა, თბილისი, 1937, გვ. გვ. 176, 199, 212) და ჩემი მიმოხილვითი მოხსენება სათა-

და იმავე მნიშვნელობის ღვწა- — ორივე წარმოებულია ღვწა-ფუძი-საგან. ყველა ეს ჯგუფი ეკუთვნის B I-ს.

46. სამაგიეროდ ტიპი ასპირატი+გლოტალიზებული (α 3) დადასტურებულია ცოცხალი მეტყველების რამდენიმე სიტყვაში: **ხტომა-** ძე. **ხლდომა-**ს სახეცვლილება. ზმნის ფორმა **ხლტომა** შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც კომპარომისული სალიტერატურო **ხლდომა-**ს და ხალხური **ხტომა-**სი. სონანტით გვაქვს **ხრტილი** და **ხრტიალი**, **ხრტინვა**. ჯგუფი **ხრწ-** დადასტურებულია ზმნაში **ვ-ხრწნ-ი**—ძლიერი აორისტით **ვ-ხრწნ**. ყველა ეს ჯგუფი მიეკუთვნება B I ტიპს, რადგან B II—B IV ტიპები არ არიან წარმოდგენილი.

ექსტროვერტიული ჯგუფები, კლებადი ტიპი

47. სწორედ ამ ტიპში ვხვდებით ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც დადასტურებულია თანამედროვე ენის სიტყვებში.

ასპირატი+მეღერი (β1). პოსტერიული+დენტალურით (BI) გვაქვს **ხდ** და **ხდლ-** (ეს უკანასკნელი სიტყვაში **მხდლობა**) და სონანტით **ხრდ-** და **ხრდლ-** (ეს უკანასკნელი **მხდლობა-**ს დუბლეტში **მხრდლობა**), **ხლდ-** **ხვდ-** **ხმდ-** **ხნდ-**. შეიმჩნევა დაპირისპირება, ერთი მხრივ, **ხდ-** ჯგუფსა სიტყვებში **ხდა**, **ხდომა** და, მეორე მხრივ, **ხდ** ჯგუფს მორის, რომელიც განუსხვავებლად მონაცვლეობს **ხრდ-** ჯგუფთან სიტყვაში **მხ(რ)დალი**. ამას შეიძლება დაემატოს მეკელაინის მიერ მოცემული უჩვეულო ჯგუფი **ქვრდემლი**, ნორმალური სიტყვის **გრდემლი-**ს დუბლეტი. რაც შეეხება საბას, რომლისაგანაც, მეკელაინს, უეჭველად, აუღია ეს ფორმა, მას აქვს **ქვირდემლი**, **ქვირდემლი** (**გრდემლი**, **გურდემლი**) და არა **ქვრდემლი**, რომელიც უბრალო შეცდომა უნდა იყოს.

დენტალური+ლაბიალურით (BII) მრავალ წარმოებულ სიტყვაში გვაქვს ჯგუფი **თბ-** სიტყვებში **თბობა**, **თბილი** **თბ-** ძირისაგან, საიდანაც წარმოიჭვა **თბილისი** (ასე დაერქვა ცხელი გოგირდიანი

ურით „კავკასიურ ენათა ნათესაობა“ (NTA. XI, 1940, მეტადრე გვ. 253—255). სხვა შემთხვევაში თავს იჩენს პოსტ-პალატალური თავიკიდური, რომლის ფუნქცია უცნობია. ამ შემთხვევაში ფორმა **გრკო** უნდა იყოს შეორეული **გრჯო-**სთან (**გრჯლა**) შედარებით. მას აბოლავს მონაცვლეობა მეღერი+გლოტალიზებული მეღერი ჯგუფის ბოლო წევრში—ეს არის არაჩვეულებრივი მონაცვლეობა. ზომ ათაა **ჯღრდ** (იხ. 63) იმავე სიტყვის დიალექტობრივი ტრანსფორმაცია?

წყაროების გამო, რომლებიც ძველი ქალაქის ტერიტორიაზე და-
დღესაც ამარაგებენ სახალხო აბანოებს), და ჯგუფები ცბ- და ჩბ-
სიტყვებში ცბიერი, ჩბუნვა.

პოსტერიული+ლაბიალურით (B III) გვაქვს ჯგუფი ხბ-სიტყვა-
ში ხბო და ნახევრად-ხშული+წმინდა დენტალური (B IV) გვაქვს ცდ-
და ცვდ- (სოფრ. მგალობლიშვილი, II, გვ. 6), უფრო ძველი ჰომოგენ-
ური ჯგუფების ცთ- და ცვთ-ს მეორეული ცვლილება (იხ. ზემოთ-
39). ჩრდ- ჩანს სიტყვაში ჩრდილი და ჯგუფები ცნდ- და ჩნდ-
არქაულ სიტყვებში (საბა).

გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი + მ ე ლ ე რ ი (β 2)

48. პოსტერიული+დენტალურით (B I) გვაქვს კდ- ძვ. ქართ-
ულში (კდჟა) და ყდ- ახალ ქართულში (ყდა). საინტერესოა თავ-
კიდურა ჯგუფი კდნ- სიტყვაში მკდნარი (საბა), რადგან იგი უეჭვე-
ლად ტკნ ჯგუფის (სიტყვიდან მტკნარი) მეტათეზისის შედეგია.
ჰომოგენური ინტროვერტიული ჯგუფის ამ მეტათეზისის არ მოუცია
შესაფერისი ჰომოგენური ექსტროვერტიული ჯგუფი, როგორც ეს
მოსალოდნელი იყო, მაგრამ მოგვცა კლებადი არაჰომოგენური
ექსტროვერტიული ჯგუფი; ამ ფაქტს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით.

მელერით გვაქვს კ(რ)ძ-სიტყვაში კ(რ)ძალვა და ძვ. ქართულში
კრდ-სიტყვაში მკრდისა, სიტყვა მკერდი-ს გენეტივი (ამგამად—
მკერდის). სხვა მელერებით გვაქვს კლდ-სიტყვაში კლდე-, კვდ-
და კვდრ-სიტყვებში ვ-კვდ-ები, მკვდრ-ის—გენეტივი სიტყვისა.
მკვდარი; ველარული თავკიდურით ყრდნ-სიტყვაში ყრდნობა.

დენტალურ+ლაბიალურით (B II) გვაქვს ჯგუფი ტბ-სიტყვაში
ტბა, წბ-სიტყვებში წბოლა და წბილი და მელერით ტრბ-სიტყვაში
ტრბუ (ძვ. ქართული).

პოსტერიულ+ლაბიალურით (B III) გამოყენებულია ყველა შე-
საძლებლობა:

კბ- და კრბ-სიტყვებში კბილი, კრბა—სიტყვა კრება-ს აორისტი-
(იხ. 9), ყბ- და ყრბ-სიტყვებში ყბა და ყრბეული. ყველა ამ ჯგუფ-
ში სონანტს თითქოს აქვს წმინდა ფონემატური ღირებულება.

ნახევრად-ხშული+წმინდა დენტალური ხშულით (B IV) გვაქვს
ჯგუფი წდ- და წვდ-სიტყვაში წდომა < *წვდომა აწყუთი ვ-წვდ-
ები და ჯგუფი კდ-სიტყვაში კდე- (სოფრ. მგალობლიშვილი, II,
138), რომელსაც შეიძლებოდა დამატებოდა ჯგუფი ჰვდ-სიტყვაში
ჰვდა ამას მეკელაინი იძლევა მნიშვნელობით einhacken 'ჩხელეტა'
(?). ● სონანტით გვაქვს წმდ-სიტყვაში (გარდ-უ-) წმდა—აორისტი-
სიტყვისა ვ-წმდ-ები—სიტყვა წმედა-ს პირველადი პასივი.

გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი + ა ს პ ი რ ა ტ ი (β 3)

49. პოსტერიული+დენტალური (B I) გვაქვს კც- და ყც- ექსპრესიულ სიტყვებში კცენა და ყცოლა და კთ- სიტყვაში მკთოლფარე (მეკელაინის ვარიანტი სიტყვისა მკრთოლფარე, საბასი?). ჯგუფები ჩართული სონანტით უკეთაა წარმოდგენილი: კრთ- სიტყვაში კრთომა, მიმღობით მკრთალი, რომლის ზმნიზედას მკრთლად აქვს თავკიდურა ჯგუფი კრთლ; კლთ- სიტყვაში კლთოლა (საბა); და ყრჩ- სიტყვაში ყრჩოლა.

ლაბიალური+დენტალურით (BII) ძვ. ქართულში გვაქვს ჯგუფი ტფ- ზმნაში ტფობა მრავალრიცხოვანი წარმოებითურთ (მათ შორის დედაქალაქის სახელწოდება ტფილისი, რომელიც უკანასკნელ წლებამდე შემოინახა სამეგრელოზო ენაში, ამგვამდ კი შეცვლილია ფორმით თბილისი); ტფ- ახალ ქართულში გარდაქმნილია თბ-დ (ქI), და ტრფ- სიტყვაში ტრფობა. ჯგუფი წფ- ჩემთვის ცნობილია მხოლოდ სიტყვით წფობა (მეკელაინი) — სონანტიანი ჯგუფი გვხვდება სიტყვაში წრფელი.

პოსტერიული+ლაბიალური ჯგუფი არა ჩანს წარმოდგენილი, მაგრამ ნახევრად-ხშულიანი ტიპი (B IV) დადასტურებულია რამდენიმე არქაულ სიტყვაში: წთ- სიტყვაში წთოლა <წვთოლა და ჯგუფი წვთ- აწმყოში წვთ-ების (წვეთი). ჯგუფი კთ- დადასტურებულია სიტყვაში მკთოლარე (? საბა).

საყურადღებოა ზმნური ფუძის ფორმებისათვის წვართ-, რომელიც დადასტურებულია სიტყვაში ნა-წვართ-ი. ამ ფუძის ინფინიტივი -ენ სუფიქსით ძვ. ქართულში არის წვრთნა, აწმყოში ვ-ხ-წვრთნ-ი და აორისტივი ვ-წვრთენ. ეს განსაკუთრებული კომბინაცია, რომელშიც ორი სონანტი ყოფს ორ ხშულს, ახალ ქართულში შეიცვალა მეტათეზისით: წრთვნა, აწმყო ვ-წრთვნი, აორისტივი ვ-წრთვენ-(ი). ზმნა წრთობა უეჭველად წარმოებულია იმავე ფუძისაგან <წვრთ-ობა (ინარჩუნებს პირველადსა და კონკრეტულ მნიშვნელობას).

ქვემომოცემული ცხრილი იძლევა მთლიან მიმოხილვას ხშულთა დადასტურებული კომბინაციებისა არაპოპოგენურ ჯგუფებში.

მ ზ ა რ დ ი ა რ ა ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი

	ა 1: მღღერი+ + ასპირატი	ა 2: მღღერი+ + გლოტალიზებული	ა 3: ასპირატი+ + გლოტალიზებული
AI	— —	— ღრკ- — ღრყ-	— —

II	—	—	—	ბრწ-	—	ფრტ-
	ბჩ	—	ბკ-	ბრკ-	—	—
III	—	—	—	ბრკ-	—	—
	ბხ-	—	—	ბრყ-	—	—
BI	ლთ-	—	—	გრკ-	ხტ-	ხრტ-
	—	ლრჩ-	ლწ-	ლრკ-	—	ხრწ-
II-IV	—	—	—	—	—	—

კლებადი არაპოზიტიური ჯგუფები

	პ 1: ასპირატი + + მელერი		პ2: გლოტალიზებული + + მელერი		პ3: გლოტალიზებული + + ასპირატი	
AI	—	თრგ-	—	—	—	კრხ-
II	—	ფრდ-	—	—	—	—
III	—	—	—	—	—	—
	—	—	კდ-	კრდ-	—	კრთ-
BI	—	—	კძ-	კრძ-	კც-	—
	ხდ-	ხრდ-	ყდ-	ყრდ-	ყც-	ყრჩ-
	თბ-	—	ტბ-	ტრბ-	ტფ-	ტრფ-
II	კბ-	—	წბ-	—	წფ-	წრფ-
	ჩბ-	—	—	—	—	—
III	—	—	კბ-	კრბ-	—	—
	ხბ-	—	ყბ-	ყრბ-	—	—
IV	ცდ-	—	წდ-	(წმდ-)	წთ-	წრთ-
	—	ჩრდ-	ქდ-	—	ქთ-	—

ამ ჯგუფებს უნდა დაემატოს ჯგუფი კრხ- სიტყვაში კრხია-
ლება (საბა), რომელიც სცილდება დადგენილ ნორმებს—ექსპრე-
სიული წარმოება. ეს არის ერთადერთი შემჩნეული ორხშულიანი
ჯგუფი, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეიცავს ერთ პოსტ-პა-
ლატალურს და ერთ ველარულს.

50. წარმოდგენილი ფაქტების განმარტება. ოთხ შევადარებთ,
ცხრილებს, რომლებიც საერთო წარმოდგენას იძლევიან არაპო-
ზიტიური ჯგუფების სხვადასხვა ტიპების განაწილებაზე, 42
უჯრედში შევამჩნევთ ჯგუფების განაწილებაში მნიშვნელოვან
უთანაბრობას. ფაქტების განმარტება, ჩანს, მაინც იძლევა სისტე-
მის აღწერის რეალური გამარტივების საშუალებას. ვფიქრობთ,
რომ, რამდენიმე იზოლირებული ჯგუფის გარდა, რომლებიც ცალკე
იქნება განხილული, ყველა არაპოზიტიური მზარდი ჯგუფი α 1

და α 2 შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ჰომოგენური ჯგუფების ვარიანტები.

ავილოთ ჯერ პირველი სვეტის მელერი+ასპირატის ჯგუფები (α 1): ბჩ- ბხ- ლთ- და ლ(რ)ჩ- ჯგუფები აშკარად ვარიანტებია ფჩ- ფხ- ხთ- და ხ(რ)ჩ- ჰომოგენური ჯგუფებისა. მართლაც, ყველა დადასტურებულ სიტყვაში არის მულშივი მერყეობა თავკიდურა ყრუ ასპირატსა და მელერს შორის—არასდროს არ არის ფონემატური დაპირისპირება თავკიდურა მელერისა და ყრუ ასპირატის ფორმებს შორის. ვინაიდან ჰომოგენურ ასპირატთა ჯგუფები წარმოადგენენ კარგად განსაზღვრულ ტიპს, რომელთაც აქვთ სისტემაში განსაზღვრული ადგილი მელერი და გლოტალიზებული ჯგუფების გვერდით, ბუნებრივია თავკიდურა ასპირატთა ფორმების განხილვა, როგორც ძირითადისა, რომელთა თავკიდურა მელერიანი ფორმები იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკული ვარიანტები.

იგივე ითქმის მეორე სვეტის (α 2) ზოგიერთი მელერი+გლოტალიზებული ჯგუფების შესახებ. ბ(რ)ჰ-სა და ბრკ-ს მქონე რამდენიმე სიტყვა აგრეთვე დადასტურებულია. ჩვენ ისინი შეგვხვდა პ(რ)ჰ-სა და პრკ-ს ფორმით, იმ განსხვავებით მაინც, რომ მელერიანი ჯგუფები ამ ტიპში მოიპოვება გაცილებით უფრო ხშირად. თუ სიტყვები, როგორიცაა ბ(რ)ჰე და ბრყვილი, ჩვენს მასალებში დადასტურებულია მხოლოდ თავკიდურა მელერით, ეს შეიძლება იყოს შემთხვევის გამო. გლოტალიზებულ ჯგუფებში ეს მონაცვლეობა მელერსა და გლოტალიზებულს შორის უკვე იყო აღნიშნული ე.წ. გაორმაგებული ჯგუფების განხილვის დროს. ბრწ-იანი ჯგუფებისათვის ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ამგვარი მონაცვლეობა და მწერლობაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ არსად არა გვაქვს დაპირისპირება ბრწ- და ფრწ- ჯგუფებს შორის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჰომოგენური გლოტალიზებული ჯგუფები, რომლებიც შეესატყვისება მელერთა და ასპირატთა ჯგუფებს (ბრძ- და ფრც-), ნამდვილად არ არსებობენ. ეს ხარვეზები ასე აიხსნება: ჰომოგენური გლოტალიზებული ჯგუფები მელავენდება როგორც არაჰომოგენური მელერი+გლოტალიზებული. იგივე შენიშვნა ეხება ჯგუფებს, რომლებიც შეიცავენ გრჩ- ლჩჰ-სა და ლწ-ს: ჩვენ ვერ ვიპოვეთ სიტყვა, რომლის თავკიდურა ჯგუფი იწერებოდეს ხან მელერით: გრჰ-, ხან კი გლოტალიზებულით: კრჰ-, მაგრამ ჩვენ ვერ ვიპოვეთ მით უფრო სიტყვები, რომელთათვის მხოლოდ კრჰ- იყოს დადასტურებული დაწერილობაში და ა. შ. არაფერი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ დადასტურებული არაჰომოგენური ჯგუ-

ფები /პრწ- კრკ- ყრკ და ყტ-/ამ აზრით გაგებულ იქნენ, ფონემატური თვალსაზრისით, როგორც ღირებული (valant). ეს გაგება შეიძლება დაფორმულდეს სხვადასხვაგვარად: შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი გლოტალიზებული ხშულის წინ (სულერთია უძღვის წინ სონანტი რ- თუ არა) ხშულ გლოტალიზებულსა და ხშულ მღერს შორის არის დაპირისპირების ნეიტრალიზაცია, ან რომ გლოტალიზებული ჯგუფები, ზოგიერთ შემთხვევაში, რეალიზდებიან ანუ მელავნდებიან ფონეტიკური თვალსაზრისით, როგორც პ 2 ტიპის არაპომოგენური ჯგუფები, ანდა შეიძლება დაკვამყოფლდეთ იმის თქმით, რომ ზოგიერთი არაპომოგენური ჯგუფი შეიძლება იყოს განხილული ისე, თითქოს ის იყოს პომოგენური ჯგუფი, რასაც არაფიზიკური გაუგებრობა არ მოჰყვება.

51. თუმცა ეს განმარტება პრინციპში დამოუკიდებელია ფონეტიკური ფაქტებისაგან, ის მაინც შეესატყვისება წარმოთქმის ზოგიერთ ფაქტს: ხდება, რომ ჯგუფში, სადაც ორი ხშული ასპირატია, თავიადურა წვერის ასპირაცია სუსტდება და ქრება კიდევ ისევე, როგორც ჯგუფში, რომელშიც ორი გლოტალიზებული ხშულია, ქრება პირველი წვერის გლოტალიზაცია. ამ შემთხვევებში თავიადურა წვერი ყრუ ხშულია—არც ასპირატი და არც გლოტალიზებული,—რომელიც წარმოთქმაში ძნელი გასარჩევია ე. წ. მღერი ხშულისაგან. მართლაც, ცნობილია, რომ ე. წ. მღერების მღერობა არ არის მუდმივი და რომ ისინი არ შეადგენენ ამ ფონემების განსხვავებულ ნიშნებს. მაშასადამე, მღერი—ასპირატისა და გლოტალიზებულის მიმართ—სამეულის ნეიტრალური არანაშანდებული წვერია და ხასიათდება ასპირაციისა და გლოტალიზაციის უქონლობით. ეს წვერი საკმაოდ ხშირად არის მღერი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში—არა. არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ დესონორიზებული, ე. ი. მღერობადაქარგული მღერი, ზოგიერთ შემთხვევაში მიემსგავსოს ან შეერიოს დეზასპირირებულ ასპირატს ან დეგლოტალიზებულ გლოტალიზებულს.

52. მესამე სვეტის (ა 3) ასპირატი+გლოტალიზებული ჯგუფებისათვის ყველაფერი არ შეიძლება იქნეს ზუსტად შედარებული. აქ ჩვენ არასდროს არა გვაქვს მერყეობა დაწერილობაში ან წარმოთქმაში,—მუდმივია ასპირატების დაწერილობა, რომელიც ხტ-ხტ- და ხრწ-სათვის მაინც შეესაბამება წარმოთქმას. მაგრამ წარმოთქმის ფაქტები არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი, და რადგანაც შესატყვისი პომოგენური ჯგუფები *ყტ- *ყრტ- და *ყრკ- არ არსებობენ, შეიძლება ვცადოთ მათი განხილვა როგორც ხსენე-

ბული /ყტ-/ /ყრტ-/ და /ყრჭ-/ ჯგუფებისა. სიმარტივის მხრივ ამ განმარტებას ეკნებოდა უპირატესობა: რადგანაც ჩვენ უკვე ამოვრიცხეთ სისტემიდან ორი პირველი სვეტის არაპომოგენური ჯგუფები, ამგვარადვე, მესამე სვეტის ამოღებით, ამოღებული იქნებოდა არაპომოგენური მხარდი ყველა ჯგუფი. ასეთი გაგება არ იწვევს გაურკვეველობას, რადგან არსად არაა დაპირისპირება ყტ- და ა. შ. ხტ- და ა. შ. არსებობს მხოლოდ ხტ- და ა. შ. ჯგუფები. მაგრამ ამ გაგებით ზედიზედ მოიშლებოდა შესატყვისობა ფონემატურ ნიშნეულობასა და ფონეტიკურ სინამდვილეს შორის. გლოტალიზებული ჯგუფის თავიკიდურა გლოტალიზებული წარმოთქმული იქნებოდა ხან როგორც ხშული გლოტალიზებული—ფონეტიკური ვარიანტით, რომელიც აღნიშნულია მელერით,—ხან როგორც ფრიკატივი; /ყწ-/ და /ყრწ-/ ჯგუფებში თავიკიდური რეალიზებული იქნებოდა როგორც ლ, მაშინ როცა ის რეალიზებულ იქნებოდა როგორც ხ- ჯგუფებში /ყრწ-/ /ყტ-/ და /ყრტ-/; ისე რომ ვერ შევძლებდით ჩამოგვეყალიბებინა ზოგადი წესი, რომელიც აგვიხსნიდა ფონეტიკური რეალიზაციის ამ განსხვავებას; სტრუქტურის სიმარტივე, რომელიც მიღებული იქნებოდა ჩვენი გაგებით—მხარდი არაპომოგენური ჯგუფების ყველა კატეგორიის მოშლა—მცდარად მოგვეჩვენებოდა, რადგან ის იგულისხმებდა, რომ ამავე დროს მოცემულია ყველა ამ ჯგუფის სია, თითოეული მათგანის ფონეტიკური ლირებულების მითითებით.

ჩვენ აღმოჩნდით სისტემის რეალური ასიმეტრიის წინაშე, რაც გამოწვეულია ველარული სერიის ასპირატისეული და მელერი წევრების თავისებურებით. არაპომოგენური მხარდი ჯგუფები პრაქტიკულად არ არსებობენ იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ხშულებს, რომლებიც ხორციელდებიან როგორც ფონეტიკური ხშულები; მაგრამ ტიპში ასპირატი + გლოტალიზებული საჭიროა დაეუშვათ გამონაკლისი ჯგუფებისათვის, სადაც პირველი წევრი ველარულია (B I, α 3). რომელიც წარმოითქმის როგორც ფრიკატივი. საჭირო იქნებოდა აქ დაგვემატებინა ფრტ- ჯგუფი (A II, α 3), რომელიც დადასტურებულია წმინდა ექსპარსიული ტიპის სიტყვაში და, მაშასადამე, ნაკლებად სიგნიფიკატური¹.

¹ მართალია, ჩვენ გვაქვს რამდენიმე შემთხვევა გლოტალიზებულისა და ასპირატის მონაცვლეობისა ფშე: ნიერ ჯგუფებში, მაგ., ფრჭ- სიტყვაში და-უ-ფრჭ-ენ-ელი (შოთა, 87.4). ამ ჯგუფის კავშირი უნდა ჰქონდეს იმავე მნიშვნელობის სიტყვასთან ჰენობა. რადგანაც ჩვენ გვაქვს ბოლოკიდურ ჯგუფებში მსგავსი მაგალითები (აფკი-აჰკი), ცდილობენ დაინახონ ამ მონაცვლეობაში ისეთი მონაცვლეობა, რომლისთვისაც დაჰაზასიათებულია მაჯილიანი ხმოვნის შემდგომი პოზიცია—და არა თავიკიდურა წევრისათვის დამახასიათებელი მონაცვლეობა.

53. ჩვენ გვჩნდება ახლა დრკ- და დრყ- ჯგუფები. ვფიქრობთ, რომ არაფერი არ ეწინააღმდეგება ამ ჯგუფების გაგებას, როგორც /ტრკ-/ და /ტრყ/-—მერყეობა მელერსა და გლოტალიზებულს შორის თითქმის კანონზომიერი ფაქტია. ის ფაქტი, რომ მათი ეტიმოლოგია გულისხმობს მელერ თავიკიდურს, ჩვენი აზრით, არ ქმნის დაბრკოლებას, თუმცა ზმნის დრეკა და დრკუ, დრკების სიახლოვის გრძობას შეეძლო შეენარჩუნებინა მელერი გრაფიკასა და წარმოთქმაში. ამ გაგების საწინააღმდეგო გადამწყვეტი არგუმენტი, ჩვენი აზრით, სხვა ხასიათისაა: ძვ. ქართულში, ამ ორი ჯგუფის გარდა, ჩვენ არა გვაქვს არც ერთი მაგალითი ჰომოგენური დენტალური+პოსტერიული ჯგუფებისა (A 1), სადაც ორი ხშული წვერი: გაყოფილი იყოს სონანტით, როგორც არ უნდა იყოს იგი (ნახეთ მაინც 32 შენიშვნა 1). შემთხვევითობას ვერ მიეწერება ეს ფაქტი, რადგანაც ეს ჯგუფები ძლიერ ხშირია. ჩვენ განვიხილავთ ორ ჯგუფს დრკ-სა და დრყ-ს, როგორც მზარდ არაჰომოგენურ ავთენტიკურ ჯგუფებს, თუმცა არ არსებობს არავითარი ფონემიკური დაპირისპირება ამ ჯგუფებსა და ჰომოგენურს *ტრკ- და *ტრყ- ჯგუფებს შორის—ეს იზოლირებული და თანამედროვე სისტემის გარეთა ჯგუფებია. უთუოდ ამ იზოლირებამ განაპირობა დღევანდელი ლექსიკონიდან იმ სიტყვებისა და ფორმების ამოღება, რომლებშიც ეს ჯგუფები თავს იჩენენ ხოლმე¹.

54. ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: არაჰომოგენური მზარდი ჯგუფები არ უპირისპირდებიან შესაბამის ჰომოგენურ ჯგუფებს, და ისინი, მაშასადამე, უნდა გავიგოთ, როგორც ასპირატთან გლოტალიზებულთა ჯგუფები, გარდა ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევისა: ასპირატი+გლოტალიზებული (α 3) და მელერი+გლოტალიზებული (α 2) ჯგუფები, სადაც პირველი წვერი ველარულია, რომელიც რეალიზდება როგორც ფრიკატივი—მელერი ან ყრუ.

55. შესწორებული ცხრილი. ჰომოგენური ჯგუფების ცხრილში (40) მესამე სვეტი—გლოტალიზებული ჯგუფებისა—შესასწორებელია არაჰომოგენური ჯგუფების შესაბამისად შემცირებული ცხრილის უჯრედები (A II—III და B 1). ვარსკვლავით აღვნიშნავთ იმ ჯგუფებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დადასტურებული:

¹ რთულ ფორმებში აშკარად გვხვდება შუალედური ჯგუფები, როგორცაა დყ- და ა. შ. მაგ., გავრცელებულ ზმნურ ფორმაში ღაღაღ-ყო, სადაც ადიშის ბელნაწერს, სხვათა შორის, მუდამ ასიმილირებული აქვს, მიუხედავად მორფოლოგიური ანალოგიებისა,—ღაღატყო (ეტიმოლოგიური ორთოგრაფია დაცულია ოპიზისა და ტბეთის ბელნაწერებში).

AlI:	ბტ-	*პრტ-	(ფრტ-)
	--	*პრწ-	(ბრწ-)
	პვ-	(ბვ-) პრვ-	(ბრვ-)
AlII:	პკ-	პრკ-	(ბრკ-)
	პყ-	*პრყ-	(ბრყ-)
B I:	—	კრტ-	
	—	კრწ-	
	—	*კრვ-	(გრვ-)

56. თუ გადავხედავთ ახლა არაპომოგენურ კლებად ჯგუფებს, გამოირკვევა, რომ ინტროვერტიული ჯგუფები ნაკლებად ხშირია. ეს ტიპი წარმოდგენილია თრგ- და ფრდ- ჯგუფებით, რომლებიც დადასტურებულია ხმარებიდან გამოსულ სიტყვებში (თრგუნვა შეიცვალა სიტყვით ქელვა, ფრდა — სიტყვით (გა)ყოფდა) და კრხ- ექსპრესული წარმოება, რომელიც ვერ შევძელი დამედასტურებინა ახალ ტექსტებში. ახალ ქართულში მხოლოდ ექსტროვერტიული ჯგუფებია ცოცხალი და არათანაბრობა მათი განაწილებისა, ალბათ, შემთხვევითია. ჯგუფებს ქდ- და კფ-, მაგალითად, როგორც ჩანს, შეიცავენ არსებული ჯგუფები სკდ- და კფდ- (იხ. ქვემოთ 68, 58). გლოტალიზებული ასპირატის ტიპში რ სონანტის არმქონე ჯგუფები ყველა არქაულია ან ექსპრესიული, თანამედროვე ენაში მეტ-ნაკლებად მოძველებული. სწორედ ამგვარად გადავიდა ჯგუფი ტფ- ასპირატი + მღღერის თბ- ჯგუფში, რომელიც ცბ- ჩბ- ჯგუფების პარალელურია¹. ცთ- და ცვთ- ჯგუფების ევოლუცია საინტერესოა. ისინი ეკუთნიან პომოგენურ ჯგუფების თითქმის არარსებულ ტიპს

¹ ა. ჩიქობავა ამ ფუძეს გულისხმობს ტბ- /ტბ- ფორმით, რომელიც დატულია მეგრულ-ქანურსა და სვანურში (გამონაკლისია ვოკალიზირი) და რომელსაც ასიმილაციისა და მეორეული ადაპტაციის მთელი სერიით უნდა მოეცაძე. ქართული ტფ- და ახალი ტბ- (ქანურ-მეგრულ-ქართული მედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 237, და კიდევ უფრო დაწვრილებით მისივე ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი, 1935, გვ. 91). მაგრამ თუ ლაბიალური მღღერი პირველადია, ძნელი ასახსნელია, თუ რატომ არ იქნა ხელუხლებლად შენარჩუნებული თავიკიდურა ჯგუფი ქართულშიც, რადგან ჯგუფი ტბ- სტაბილურია სიტყვებში ტბა, ტბორეთუ გამოსავლად ავილებთ ტფ-ს, აიხსნება, პირიქით, სისტემის ევოლუციაში. თბ-ში გადასვლა ახალ ქართულში. ამ შემთხვევაში უნდა გვეგულისხმა, რომ სხვა ქართველურ ენებში მღღერი ლაბიალური წარმოადგენს სიახლეს. ძნელია არ ვიფიქროთ ინდო-ევროპულ *tep-* ძირზე სანსკრიტულ *tapati-*ში ლათინური *tepidus* და ა. შ. თუ შემთხვევითს ომოფონიასთან არა გვაქვს საქმე, მაშინ ინდო-ევროპული ფორმები გაამაგრებდა თავდაპირველი ბოლოკიდური ყრუს ჰიპოთეზას.

(ექსტროვერტიული ჰომოგენური) და ექსტროვერტიულ არაჰომოგენურ ჯგუფებში (ცდ- ცვდ-) გადასვლით ისინი შეეგუვნენ კარგად წარმოდგენილ ტიპს.

57. დასკვნა ორბშულიანი ჯგუფების შესახებ. ჯგუფები ჰომოგენურია ან არაჰომოგენური, ექსტროვერტიული ან ინტროვერტიული. ჰომოგენურ ჯგუფებში ინტროვერტიულები კარგადაა წარმოდგენილი, მაშინ როცა ექსტროვერტიულები არ არის დადასტურებული ანა თუ იმ რეგულარობით და სიხშირით, გარდა ტიპისა პოსტერიული — დენტალური (B I). ასპირატთა და გლოტალიზებულითა ჯგუფებში შეიმჩნევა თავიკიდურა წვერის ერთგვარი მერყეობა გრაფიკაში ასპირატსა ან გლოტალიზებულსა და გეღერს შორის — ეს მერყეობა რეალური წარმოთქმის ფაქტების ანარეკლია. შენთხვევითს მტერიან ვარიანტებს აქვთ არაჰომოგენური ჯგუფების სახე.

არაჰომოგენური ჯგუფები ან ინტროვერტიულია, ან ექსტროვერტიული, მზარდი — და კლებადი, მაგრამ ამ უკანასკნელებს აქვთ ფონემიკური ღირებულება მხოლოდ ტიპში პოსტერიული ასპირატი + გლოტალიზებულ — დენტალური (B I β 3), სადაც პირველი წვერი ველარულია; სხვა მზარდი ჯგუფები გაგებული უნდა იქნეს როგორც შესატყვისი ჰომოგენური ჯგუფების ვარიანტები. იანაზედროვე ენაში მხოლოდ კლებადი ჯგუფებია კარგად წარმოდგენილი.

მხოლოდ პოსტერიული + დენტალურის ჯგუფები გვაწვდის თითქმის ყველა შესაძლებელ კომბინაციას არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით. თუ ჩვენ გამოვრიცხავთ არტიკულაციურ ტიპს B I, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰომოგენური ჯგუფები საერთოდ ინტროვერტიულია, არაჰომოგენური ჯგუფები — ექსტროვერტიული და კლებადი. ამგვარად, არის ზოგადი ერთობა ჰომოგენურობასა და ინტროვერსიას შორის, ერთი მხრივ, და არაჰომოგენურობასა და ექსტროვერსიას — კლებადობას შორის, მეორე მხრივ.

კომპლექსური ჯგუფები.

58. ორბშულიანი ჯგუფების გვერდით, რომლებიც ჩვენ ეს-ესაა განვიხილეთ, გვაქვს გარკვეული, უფრო შეზღუდული სამხშულიანი ჯგუფების გარკვეული რაოდენობა. მაგრამ ჯგუფებში ლაბიალური, დენტალური და პოსტერიული ხშულები არ მისდევენ ერთმანეთს ნებისმიერი რიგით. პართლაც, დადგენილია, რომ ყველა ეს ჯგუფი შეიცავს ჰომოგენურ სეგმენტს დენტალური + პოსტერიული. თუ ჩვენ აღვნიშნავთ X-ით ნებისმიერ ხშულს, გვექნება ორი ტიპი:

X + დენტალური + პოსტერიული

დენტალური + პოსტერიული + X

ამ ფორმულას აქვს მხოლოდ ერთი გამონაკლისი—ჯგუფი კფდ-, რომელსაც შეიცავს აორისტი გან-ვ-კფდ-ი (საბა); ეს კი ვარაუდობს აწმყოს ვ-კფდ-ები, რომელიც მოცემულია დ. ჩუბინაშვილის მიერ. საქმე ეხება დ-იან ენებითს კაფ- ფუძიდან, რომლის ნორმალური ენებითი სრული ვოკალიზმით არის ამგვარად ფორმა ვ-ი-კაფ-ები.

აღნიშნული ჯგუფების ორივე ტიპი შეიძლება შეიცავდეს ს.ა-ნანტს, ყველაზე უფრო ხშირად რ-ს, რომელიც მოსდევს ან წინ უძღვის სეგმენტს დენტალური + პოსტერიული.

მაშასადამე, ჩვენ გვექნება თეორიულად შესაძლებელი ექვსი შემდეგი კომბინაცია:

- | | | |
|---------------------------------------|---|------------------------|
| 1. დენტალური + პოსტერიული + ლაბიალური | | |
| 2. — — — — — | + | დენტალური |
| 3. — — — — — | + | პოსტერიული |
| 4. ლაბიალური — — — — — | + | დენტალური + პოსტერიული |
| 5. დენტალური — — — — — | — | — |
| 6. პოსტერიული — — — — — | — | — |

3 და 5 ტიპები არაა დადასტურებული. მათ ის აქვთ საერთო, რომ ისინი შეიცავენ ერთი და იმავე არტიკულაციური სერიის ორი ხშულის თანმიმდევრობას. ამასთანავე, ყველა დადასტურებული ჯგუფის განხილვისას ჩანს, რომ, მეორე ტიპში ერთ-ერთი დენტალური არის წმინდა ხშული, მეორე—ნახევრად ხშული, ხოლო მეექვსე ტიპში პოსტერიულთაგან ერთია პოსტ-პალატალური, მეორე—ველარული.

სამხშულიანი ჯგუფების სტრუქტურა შეიძლება, მაშასადამე, ამგვარად იქნეს განსაზღვრული: ისინი კუთვნიან შეიცავენ სეგმენტს დენტალური + პოსტერიული, ისინი არ შეიცავენ ერთი და იმავე არტიკულაციური სერიის ორი ხშულის თანმიმდევრობას, და თუ თავკიდურა და ბოლოკიდურა წევრები მიეკუთვნება ერთსა და იმავე არტიკულაციურ სერიას, ისინი ეკუთვნიან ორ განსხვავებულ ქვეკლასს (წმინდა ხშული-ნახევრად-ხშული, როდესაც საქმე ეხება დენტალურებს, აოსტ-პალატალური ხშული და ველარული ხშული, როდესაც საქმე ეხება აოსტერიულებს).

59. თუ განვიხილავთ სეგმენტს დენტალური + პოსტერიული როგორც მთლიან წევრს, რომელსაც ჩვენ დავარქმევთ კომპლექსურ ხშულს, ჩვენ შევძლებთ სამხშულიანი ჯგუფები გავუტოლოთ

ორხშულიან ჯგუფებს. მაშასადამე, ჩვენ ვიტყვი, რომ ორხშულიანი ჯგუფები შეიცავენ იმ ჯგუფების ქვეკლასს, რომელთა ერთ-ერთი წევრი რთული ხბულია. ამ ჯგუფებს დავარქმევთ კომპლექსურ ჯგუფებს. ამ ტერმინოლოგიური შეთანხმებით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, რომ რთული ხბული იყოს ერთი ფონემა იმავე საფეხურისა, როგორცაა სისტემის კონსონანტურ ფონემათა სხვა ფონემები. ეს აღნიშნავს მხოლოდ, რომ ყველა ორხშულიან ჯგუფებს შორის ჰომოგენურ ჯგუფებს დენტალური+პოსტერიული აქვთ ის ერთი თავისებურება, რომ შეუძლიათ შეადგინონ მესამე ხშულთან ერთად ჯგუფები მკაცრად განსაზღვრული წესისამებრ. ჰომოგენური ჯგუფების დენტალური+პოსტერიული ეს თავისება არ არის ერთადერთი, რომელიც ახასიათებს ამ ჯგუფებს. ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ამ ჯგუფების მეორე თავისება: ორივე წევრი არასდროს არ არის გათიშული სონანტით და არ არსებობს იმავე ხშულების არაჰომოგენური კომბინაციები—გამონაკლისს შეადგენენ ძვ. ქართულში დამოწმებული ჯგუფები დრკ-დრყ-თრგ-კრხ¹.

რადგანაც ერთ-ერთი წევრი ამ ჯგუფებისა—კომპლექსური ხშული—თვითონ არის ინტროვერტიული ჯგუფი, განსხვავება ექსტროვერტიულსა და ინტროვერტიულ ჯგუფებს შორის არ შეიძლება პირდაპირ მივუყვნოთ მთლიანად კომპლექსურ ჯგუფებს. ეს განსხვავება შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ ტერმინოლოგიური შეთანხმებით, სახელდობრ: კომპლექსური ხშულების გატოლებისას დენტალურ ხშულთან, როდესაც ის მოსდევს თავკიდურა ხშულს, და პოსტერიულ ხშულთან, როდესაც იგი წინ უძღვის ჯგუფის ბოლოკიდურა ხშულს,—ეს შეთანხმება საკმარისად ბუნებრივი ჩანს.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ჯგუფები ლაბიალური+კომპლექსური, როგორც ლაბიალური+დენტალური ტიპის; ქვეკლასი (A II), ჯგუფები კომპლექსური+დენტალური და პოსტერიული+კომპლექსური, როგორც პოსტერიული+დენტალური ტიპის ქვეკლასები (B I), ჯგუფები კომპლექსური+ლაბიალური, როგორც პოსტერიული+ლაბიალური ტიპის ქვეკლასი (B III).

კომპლექსური ჯგუფები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ ამ რიგით, შეიძლება იყვნენ, მარტივი ჯგუფების მსგავსად, ჰომოგე-

¹ მეკლანითან არის ხმნა ფრჩკვა: არ ვყოყმანობ მივიჩნიო ეს შეუძლებლად ძველ თუ ახალ ქართულში. ალბათ, საქმე ეხება ბეჭდურ შეცდომას ფრჭკვა-ში (*ფრჭკნობა?), რომელიც მოგვაგონებს მიმღობას დაუფრჭვენლო (შენიშნა. 47 გვ.) და ხმნას ჭკნობა ლიტერატურულ ენაში.

ნურნი და არაპომოგენურნი, მაგრამ არაპომოგენური ჯგუფები ყველა კლებადია.

ლაზიური + კომპლექსური (A II)

ნა. მეღერი ჰომოგენური ჯგუფები შემდეგია:

ბღღ- ბ(რ)ღღვ- ბ(რ)ღღვნ- ბღღვრ- ბ(რ)ჯჯ- ბ(რ)ჯღ-

სონანტი რ ფაკულტატიური ჩანს ამ ჯგუფებში. შემთხვევითობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ბღღ- ცნობილია ჩვენთვის მხოლოდ რ-ს გარეშე (სიტყვაში ბღღაილი, გ. წერეთელი 50), რომ სიტყვა ბრჯჯუ ცნობილია ჩვენთვის მხოლოდ სონანტით: XVIII საუკუნის ავტორი ბესიკი იძლევა ვარიანტს ბრჯჯუ (გვ. 108). ზმნაში ბრღღვნა და უთუოდ მონათესავე ზმნაში ბრღღვინვა, ისევე როგორც სიტყვაში ბრძალი (საბა და ვაჟა. I, 11), ეპოქულობთ ფორმებს სონანტითა და უმისოდ — მნიშვნელობის განუხსნავებლად. რ-ს გარეშე ერთადერთი ვარიანტი დამოწმებულია სიტყვაში ბღღვერი (ვაჟა, IV. 20) და ბღღვირი (საბა), სადაც სიტყვა შეიცავს პოსტეოკალურ რ-ს. ბრღღვ- და ბღღვ- ჯგუფისათვის გვაქვს მესამე ვარიანტი ბღღვრ-, რ-ს მეტათეზისით, სიტყვაში ბღღვრიალი (არაგვისპირელი, გვ. 389).

ნ1. ასპირატა ჯგუფები საკმარისად მრავალრიცხოვანია:

ფრთქ-	ფრთქვ-	—	—
ფრთხ-	ფრთხვ-	—	ფრთხნ-
ფრცქ-	ფრცქვ-	ფრცქვნ-	—
ფრცხ-	—	—	—
ფრჩხ-	ფრჩხვ-	ფრჩხვნ-	—

ჯგუფი ფთხნ- ჩანს ზმნაში მთ-ფთხნა უსონანტოდ, მაგრამ რ ფაკულტატურია ჯგუფებში ფრთხ- ფრთხვ-. უსონანტო ვარიანტის გვერდით გვაქვს მეტათეზისიანი ფორმები, როგორც მეღერი ჯგუფებში. ამგვარად, ფრთქიალი-ს გვერდით გვაქვს იმავე ფუძიდან შეფუთქიალება (შ. დადიანი, 33) იმავე მნიშვნელობით (ფთხრიალი M. იმავე მნიშვნელობით). ჯგუფი ფრთქვ- დადასტურებულია სიტყვაში ფრთქვინვა (ჭავჭავაძე. I, გვ. 251) და ფრჩხვნ-, ბერიძე sub voce გამოფრჩხვნა. ყველა ეს სიტყვა ექსპრესიულია, რითაც უნდა აიხსნას თავიღურა ჯგუფების არასტაბილურობა და არაკანონზომიერი ვარიანტების რაოდენობა. უსონანტო ფორმებში მონაცვლეობა ბ/ფ- თავიღურაში ძლიერ ხშირია (ბცქვნ- ბჩხ- ვაჟა. IV.310).

62. გლოტალიზებულ ჯგუფებში ჩანს ცნობილი მონაცვლეობა მეღერი + გლოტალიზებული თავკიდურში. რადგანაც დამწერლობაში ყველაზე მეტად გამოიყენებულა მეღერი, ჩვენ მათ ვიძლეით ამ ფორმით:

—	ბრტკვ-	ბრტკვნ-	—
ბრტყ-	ბრტყვ-	ბრტყვნ-	ბრტყლ-
ბრწყ-	—	—	ბრწყმ-
ბრწყ-	--	—	—
ბრკყ-	ბრკყვ-	—	ბკყვრ-

ბშირია თავკიდურში მონაცვლეობა, რომელიც ხშირად კომბინირებულია რ-ს მონაცვლეობასთან სონანტი ~ ნული: ზედსართავისათვის ბრტყელი გვაქვს აგრეთვე დამწერლობა ბტყელი, პრტყელი და პტყელი (ჯავახიშვილი, I, 354), საბას აქვს ბრწყენა და პწყენა, მაშინ როცა დ. ჩუბინაშვილს აქვს პრწყენა, და იმავე ჯგუფს აქვს ფორმა ბწყ- სიტყვაში ბწყალი (ვაეა, I, 53). ჯგუფს ბრწყ- (პწყ- M.) ზმნაში ბრწყინვა აქვს შიშინა ფორმა ბკყ- ბრკყ- სიტყვაში ბრკყვინვა (პკყვ- M.) და მეტათეზისით ბკყვრ- სიტყვაში ბკყვრიალი (M. პკყვრიალი (ვაეა. III. 212) იმავე მნიშვნელობით.

კომპლექსური + დენტალური (B I).

63. ჰომოგენური ჯგუფები შემდეგია: ჯღრდ- სიტყვაში ჯღრდე (ვაეა. III. 56, იგივე I. 178), წკრტ- სიტყვაში წკრტიალი (იგივე III, 98, დ. გურამიშვილი, გვ. 83 და 140), რომელიც უნდა წარმოადგენდეს წკრ-ს ექსპრესიულ გავრცობილ სიტყვაში წკრიალი (საბა) იმავე მნიშვნელობით; წყლტ- სიტყვაში წყლტუ (ძვ. ქართ., საბა), ჰყრტ- სიტყვაში ჰყრტიალი (საბა), რომელსაც არ დასცილდება ჰრტიალი (იგივე), და ჰყლტ- სიტყვაში და-ჰყლტა (და-ჰყლდა), რაც უდრის და-ი-ჰყლიტა-ს (ა. შანიძე, 292). შეიძინევა, რომ თავკიდური ყოველთვის ნახევრად-ხშულია, ხოლო ბოლოკიდური—წმინდა დენტალური ხშული. უმრავლესობა ამ სიტყვებისა, როგორც ჩანს, ძველი ქართულია ან დიალექტალური.

64. კლებადი ტიპის არაჰომოგენური ჯგუფები ყველა კარგადაა წარმოდგენილი.

პირველი ტიპიდან (პ1) გვაქვს ჯგუფი ჩხნდ- სიტყვაში ჩხნდე (საბა) და ჯგუფი ცხდ- სიტყვაში ცხდა (გურული ფორმა წყრტა?) და ჯგუფი თქდ-, რომელიც შედის აორისტში გან-ხ-თქდ-ა ძვ. ქართ. იხ. იოანე XXI, 11).

მეორე ტიპიდან—გლოტალიზებული +მეღერი (პ 2) —გვაქვს რამდენიმე ჯგუფი, რომელთაგან ყველა იჩენს თავს ძველი ენების-თვის ფორმებში: გ-ტყდ-ები (სიტყვიდან ტეხა, იხ. დ. ჩუბინაშვილი), გ-წყდ-ები (დ. ჩუბინაშვილი) *სიხ სიხი მოწყდ-ობა*, გ-წყმდ-ები (საბა), გ-წყნდ-ები (აქ. შანიძე, 292) და ჯგუფები წყვდ- და ქვვდ- სიტყ-ვებში წყვდ-ევა, წყვდ-იადი და ქვვდ-ევა დიალექტალური ფორმის წყვდევა-ს ვარიანტი (ბერიძე, იხ. მკვლევარა).

ტიპიდან გლოტალიზებული+ასპირატი (პ 3) გვაქვს თავი-დურა ჯგუფები სიტყვებში ტკრც-იალი, ტკრც-ოლა (საბა, წყრთ-ა (სიგრძის საზომი) და წყრთილი. საჭიროა დავუმატოთ ჯგუფი ჰკრთ- სიტყვისა ჰკრთიალი (Λ1), თუ აქ საქმე არა გვაქვს უბრალო შეცდომასთან სიტყვისა ჰკრთიალი (შეადარეთ ჯგუფი წკრტ-, რომელიც ზემოთაა მოცემული 63-ში).

თუ გამოვრიცხავთ ჯგუფს ტყდ-, რომელშიც მორფოლოგი-ურმა ანალოგიებმა შეასრულა დიდი როლი, შევნიშნავთ, რომ, ისევე როგორც შესატყვის ჰომოგენურ ჯგუფებშიც, ერთ-ერთი დენ-ტალური ყოველთვის ნახევრად-ხშულია, მეორე—წმინდა ხშული.

პოსტერიული + კომპლექსური (B I)

65. წარმოდგენილია ყველა ჰომოგენური ტიპი. მეღერი ტიპი დამოწმებულია სიტყვაში გრძლ-აბი (აქ. შანიძე, ქრესტომათია 61.4) და გძლარბი (საბა), გრძღვ- სიტყვაში გრძღვამლი (იხ. ზე-მთ 31), გრჯღლ- სიტყვაში გრჯღლა (საბა), რომელიც ძნელად გამო-ეყოფა გრჯღლ-ს (იხ. დ. ჩუბინაშვილი გრჯო) და კრჩხა-ს (საბა).

ასპირატის ტიპი წარმოდგენილია ჯგუფებით: ქრცხ- და ქცხ- სიტყვებში ქრცხილი, ქრცხემლი (საბა) და ქცხალა (ადგილის სა-ხელი) (ივ. ჯავახიშვილი, 1. 55). ერთადერთი გლოტალიზებული ჯგუფი, რომელიც ჩვენ შევამჩნიეთ, არის კრწყ- სიტყვაში კრწყილი (წმ. შუშანიკის წამება, XII. 12), ვარიანტით გრწყილი (საბა)— ახალ ქართულში არის უფრო მარტივი ფორმა რწყილი.

არაჰომოგენურ ტიპებს შორის შეიძლება მიუუთითოთ კრცხ- და კრჩხ-, ორივე პ 3, სიტყვებში კრცხალი და კრჩხა და კრჩხია-ლება.

შენიშნულია, რომ ყველა ამ ჯგუფებში კომპლექსური ხშულის პოსტერიული ელემენტი ყოველთვის ველარულია, მაშინ როცა მარტივი პოსტერიული ხშული ყოველთვის პოსტ-პალატალურია.

კომპლექსური + ლაბიალური

66. ეს ჯგუფები ყველა არაჰომოგენურია. ესენია: ტპბ- ტპბ- წკბ- (პ 2) და ტყფ- (პ 3). მხოლოდ პირველი ჩანს თანამედროვე

ლიტერატურული ენის ერთ სიტყვაში, სახელდობრ ტყბილი თავისი წარმოებულებით. ჯგუფი ტყბ- სიტყვაში ტყბილი (საბა), რასაკვირველია, მის ვარიანტს წარმოადგენს. სხვა ჯგუფები დამოწმებულია სიტყვაში წკბერვა (ვარიანტია წბერვა, ბერიძე) და ტყფ- სიტყვაში შტყფოლვარე (დ. ჩუბინაშვილი). ეს ჯგუფი უნდა მომდინარეობდეს ჯგუფიდან ტყჟფ- აორიანტის გამო-გ-ტყუფა (საბა) მიხედვით ფუძიდან ტყვეფ- (იხ. საბა შტყვეფრობა და ნ=ტყვეფი).

შემდეგი ცხრილები აჯამებენ ზემონათქვამს სონანტის ფაქტორისა და თავკიდურში მონაცვლეობის ფაქტორის გაუთვალისწინებლად:

პ ო მ ო გ ე ნ უ რ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი

	მეღერები	ასპირატები	გლოტალიზებულნი
A II	—	ფთქ-	პტქ-
ლაბიალური + კომპლექსური	ბღღ-	ფთხ-	პტყ-
	—	ფტქ-	პწკ-
	—	ფტხ-	პწყ-
	ბჯგ-	—	—
	ბჯღ-	ფჩხ-	პჭყ-
B I	—	—	წყრტ-
კომპლექსური + დენტალური	—	—	წყლტ-
	ჯღრღ-	—	ჭყრტ-(ჭყლტ-)
პოსტერიული + კომპლექსური	გრძღ-	ქრცხ-	კრწყ-
	გრჯღ-	—	—

ა რ ა პ ო მ ო გ ე ნ უ რ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი

პ 1: ასპირატი + მეღერი პ 2: გლოტალიზებული + მეღერი პ 3: გლოტალიზებული + ასპირატი

B I	თქღ-	—	ტქრც-
კომპლექსური +	—	ტყღ-	—
დენტალური	ცხღ-	წყღ-	წყრთ-
	ჩხნღ-	ჭყვღ-	(ჭკრთ-)

პოსტერიული + კომპლექსური	--	--	კრცხ- კრჩხ-
-----------------------------	----	----	----------------

B III	—	ტკბ-	ტკფ-
კომპლექსური + ლაბიალური	—	ტყბ-	—
	—	წკბ-	—

ამ ცხრილების შედარება ჰომოგენურ და არაჰომოგენურ ორბუნელებს შორის შესატყვის მარტივ ჯგუფებთან საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ განსაკუთრებელი პარალელიზმი შემჩნეულ ჯგუფთა განაწილებაში. კომპლექსური ჯგუფების ნაკლები სიხშირის გამო ცარიელი უჯრედების რიცხვი კომპლექსური ჯგუფებისათვის შედარებით უფრო დიდია, რაშიც არაფერია მოულოდნელი.

67. რადგანაც კომპლექსურ ხშულებს შეუძლიათ შეადგინონ ჯგუფები სხვა ხშულთან, მათ შეუძლიათ აგრეთვე, ისევე როგორც მარტივ ხშულებს, შეადგინონ ჯგუფები სიბილანტებთან, თუმცა იშვიათად. ჩვენ შევამჩნიეთ დღჯ-სიტყვაში დღჯოლა (ილ. ჭავჭავაძე), ტყრშ-სიტყვაში ტყრშიალი (ყაზბეგი, II), თხჯ- და თხჯვ- ზმნაში ვ-თხჯვ და ინფინიტივი თხჯვა- ფუძიდან თხჯ-, წყხ- და წყხვ-სიტყვაში მწყყხელთა (საბა), და მწყყხვა (დ. ჩუბინაშვილი) ფუძიდან (მ)წყყ(მ)ს. მხოლოდ თხჯ- და თხჯვ- ჯგუფების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებობენ თანამედროვე ენაში და გვაგონებენ ზემოხსენებულ (19) მარტივ ჯგუფს ხჯ-.

**სიბილანტიანი და ხშულებიანი
აბერაციული ჯგუფები**

68. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ჯგუფი სიბილანტი+პოსტერიული+დენტალური, სადაც დენტალური გაყოფილია ან არ არის გაყოფილი პოსტერიულისაგან სონანტით. მხოლოდ ერთი ჰომოგენური მაგალითია Ⴢსრთ-სიტყვაში Ⴢსრთიალი (ვ. ბარნოვი, 176), ალბათ, სიტყვა Ⴢსრთიალი-ს ექსპრესიული ვარიანტი. არაჰომოგენური ჯგუფებია ა 3 ტიპისა: სხლტ- და სხრტ-სიტყვებში— სხლტე (ი. კყონია) სხრტე (საბა) (სხლტე- ფუძისაგან) და სხრტო (დ. გურამიშვილი, 137,5, სიტყვა შტო-ს საინტერესო ვარიანტი?),

ბ 1 ტიპისა: სქდ- სიტყვაში სქდომა და სხდ- სიტყვაში სხდომა და
ბ 2 ტიპისა: სკდ- სიტყვაში სკდომა—სიტყვა სქდომა-ს ვარიანტი¹.

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს რამდენიმე ჯგუფი ლაბიალური+სი-
ბილანტი+ველარული. ჰომოგენური მაგალითები შემდეგია: ბზღ-
და ბულ-, ფსხ- ფსხრ- ფწხ- ფშხგ- ფშხვნ. მკლერი ჯგუფები უთუოდ
დიალექტალურია, დადასტურებულია სიტყვებში ბჟილი და
ბჟლარტი (ლიტ. ქართ. ბარტყი). ჯგუფი ფხხრ- დადასტურებულია
ზმნაში ფხხრიცვა (?) ბერიძესთან, სადაც იგი მოცემულია გარკვე-
ულად, როგორც სიტყვა მხხრიცვა-ს ვარიანტი. ლაბიალური თავ-
კიდურა ხშული შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ფორმა, რომელ-
საც იღებს სიბილანტის წინ ლაბიალური ცხვირისმიერი, რომელიც
ჩნდება ასე ხშირად, როგორც უცნობი ღირებულების ერთგვარი
კონსონანტური პროთეზისი, განსაკუთრებით დასავლურ დია-
ლექტებში. სამი უკანასკნელი ჯგუფი დადასტურებულია სიტყვაში,
ფშხალული, ფშხვნა, ძლიერი აორისტი ვ-ფშხვენ (დ. ჩუბინა-
შვილი)—იმავე მნიშვნელობის ფხვ(ნ)-ს ვარიანტები.

ფსკ- ფსკვ- ფსკვნ- ჯგუფებში ლაბიალური ელემენტი უთუოდ
იმავე წარმოშობისაა. ისინი დადასტურებულია სიტყვაში ფსკვნა,
აწმყო ვ-ფსკვნ-ი, აორისტი ვ-ფსკვენ, აშკარა დიალექტური ვა-
რიანტებია სიტყვისა სკვნა. ძველ ქართულ სიტყვაში ფსკერი თავ-
კიდურა ლაბიალურის მნიშვნელობის დაზუსტება ძნელია, რადგან
სიტყვის ეტიმოლოგია ჩემთვის უცნობია.

ბოლოკიდურდენტალურიანი, პოსტერიულიანის მაგიერ, გვაქვს
ჯგუფები ფსტვ- და ფშტვ-სიტყვაში ფსტვირი, ფშტვირი (გურული
ფორმა), სიტყვა ხტვირი-ს ვარიანტები. ფუძე სტვ- თავს იჩენს ზმნაში
სტვენა, სტვინვა და წარმოებულში ნესტვი, რომელიც მიუთითებს
ფ-ს მეორეულობაზე. ვარაუდობენ ფ-ს იმავე წარმოშობას ზმნაში—
ფსტლობა (ეპ. კირიონი).

ჩვენ დავგრაჩა ორი იზოლირებული ჯგუფი: ჯგუფი ხსნდ-
სიტყვაში და-ჯსნდ-ა (M. VIII, 3) და გან-ჯსნდ-ა (საბა) < ხსენ- ფუ-
ძისაგან; წარმოებული ფორმები: ვ-ხსნ-ი, აორისტი ვ-ხსენ; ჯგუფი
ხსტ- სიტყვაში ხსტე (დ. შენგ., სან. გვ. 13); აქ უეჭველად დიალექ-

¹ ფორმებს სქდ-ომა და სკდ-ომა ჩვეულებრივ ხსნიან სიტყვებით ზეტქა
(Deeters, მოხსენ. შრომა. გვ. 204), რომლის დონიანი ვნებითი ნულოვანი ვო-
კალიზმით იქნებოდა ზოქდებოხ, რომელიც გარდაიქმნა ფორმად ზოქდებოხ,
ზოქდებოხ (ყველა ფორმა დადასტურებულია) განმარტივდა ახალ ქართულში
სქდ-დან სკდ-დ.

ტალური გადაგვარებაა სიტყვისა სხლტე. ეტიმოლოგიურად მხოლოდ უკანასკნელი ფორმაა გამართლებული.

სონანტის მნიშვნელობა თავკიდურა სეგმენტში

69. როგორც ენახეთ, ბევრი ორ- ან სამხშულიანი ჯგუფი შეიცავს ხშულ სეგმენტში სონანტს, რომელიც ყოფს ორ ხშულს (რომელთაგანაც ერთი შეიძლება იყოს კომპლექსური ხშული). ყველა სონანტმა შეიძლება იჩინოს თავი ამ პოზიციაში, მაგრამ ერთი მათგანი ღირსია ცალკე განხილვისა.

მართლაც, რ-ს გარდა, სხვა სონანტები სტაბილურია, ე. ი. ისინი შეადგენენ თავკიდურა ჯგუფის ნაწილს, ისევე როგორც ჯგუფის სხვა წევრები. ამ ჯგუფებში შეინიშნება აგრეთვე, რომ ბოლოკიდურა სონანტური სეგმენტი აკლია. ისეთ ჯგუფებს, როგორცაა ცნდ-, კლდ- და ა. შ., ყოველთვის მოჰყვებათ ხმოვანი—ერთადერთი ცნობილი გამონაკლისია მკვდრ- (იხ. 48). როცა პირველ სეგმენტში არის სონანტი რ, სიტუაცია სხვაგვარია; მისი არსებობა ხელს არ უშლის ბოლოკიდურა სონანტური სეგმენტის არსებობას. ისეთი ჯგუფები, როგორცაა ბრტყლ- გრძლ- ფრცკვნ-, ნორმალურია და ხმარებაშია. აღსანიშნავია ერთი რამ: თუ პირველი სეგმენტი შეიცავს რ-ს, ბოლოკიდურა სონანტური სეგმენტი შეიძლება შეიცავდეს ყველა სონანტს, გარდა რ-სა.

მაგრამ ის, რაც განსაკუთრებით ახასიათებს რ სონანტს პირველ სეგმენტში, ეს ის არის, რომ ზოგიერთ ჯგუფში მისი არსებობა ფაქულტატურია, როგორც, მაგალითად, ზემოაღნიშნულ სამ ჯგუფში, მაშინ როცა სხვა ჯგუფებში იგი საეალდებულოა.

ჩვენ შეგვიძლია შესწავლილი მასალების საფუძველზე განვასხვაოთ 5 სხვადასხვა შემთხვევა:

1. ყველა აღნიშნულ თავკიდურჯგუფიან სიტყვაში სეგმენტს, სადაც შედის ორი ხშული X და Y, აქვს ფორმა $X+r+Y$. ესაა იზოლირებული ჯგუფების თრგ- ფრდ- დრკ- და დრყ- შემთხვევები. ჩვენ არსად არა გვაქვს იმავე ჯგუფების *თგ- *ფდ- *დკ- ან *დყ- ფორმები.

2. ყველა აღნიშნულ თავკიდურჯგუფიან სიტყვაში თავკიდურა სეგმენტს აქვს ფორმა $X+r-Y$ უ-რ-სონანტოდ. ესაა შემთხვევა ყველა ჰომოგენური ჯგუფებისა დენტალური+პოსტერიული (ჯგუფებისა, რომლებსაც ამის გამო აღნიშნავენ სახელწოდებით კომპლექსური ხშულები).

3. ზოგიერთ სიტყვაში თავკიდურა სეგმენტს აქვს ყოველთვის ფორმა $X+r+Y$, სხვა სიტყვებში იგივე ხშულები ერთმანეთს მისდევნენ უსონანტოდ. ეს არის ყ-დ-ს შემთხვევა, სადაც ერთი მხრივ, გვაქვს ფორმა ყდა და არასდროს არ გვაქვს ყრდა; მეორე მხრივ, ყრდნობა, სადაც ვერ დავადასტურებთ ყდნობა.

4. ზოგიერთ სიტყვაში თავკიდურა სეგმენტს აქვს ფორმა $X+r+Y$ და $X+Y$ თავისუფალი მონაცვლეობით, ზოგიერთ სიტყვაში კი არის მხოლოდ ფორმა $X+r+Y$ ან მხოლოდ ფორმა $X+Y$; ეს, როგორც ჩანს, არის ფ-თ-ს შემთხვევა სიტყვაში ფრთა~ფთა, მაგრამ ფრთფინვა; ხ- და დ-ს შემთხვევა სიტყვაში, (მ)ხრღალი (მ)ხღალი-ს გვერდით, მაგრამ ხდა, ხღომა.

5. ამ ჯგუფიან ყველა აღნიშნულ სიტყვაში ჯგუფს აქვს ორივე ფორმა $X+r+Y$ ან $X+Y$ მნიშვნელობის განუსხვავებლად. ეს არის ფ(რ)თხობა-ს, ფ(რ)თხნა-ს და სხვა შემთხვევები.

დადგენილ განსხვავებებს აქვს მხოლოდ ერთი შეფარდებითი მნიშვნელობა: მას ექნებოდა აბსოლუტური მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ მასალები შეიცავენ ენაში რეალურად არსებულ ყველა ფორმას. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მასალები არ უნდა იყოს ამ მხრივ სრული და რომ ისინი ბევრ სარეზს წარმოგვიდგენენ. მისი სიხშირის გამო შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ ზმნა გდება არ იძლევა რ-იან დუბლეტს, მაგრამ ისეთი სიტყვის მიმართ, როგორცაა გრდემლი, ჩვენ ვერ შევძლებდით დარწმუნებით იმის მტკიცებას, რომ არ არსებობს ფორმა რ-ს გარეშე და რომ, მაშასადამე, ეს შემთხვევა მიეკუთვნება მე-3 ტიპს და არა მე-4-ს. იგივე ითქმის ფ-სა და თ-ს შესახებაც: ახალი ტექსტი რომ გვაძლევდეს ფორმას ფთფინვა, ფორმა ფრთფინვა-ს გვერდით, შემთხვევა უნდა მიგვეკუთვნებია მე-5 ტიპისათვის და არა მე-4-სათვის.

70. ამ პირობებში თითქოს უნდა დავემყოფილდეთ წინასწარი ინტერპრეტაციის ცდით, რაც შესაძლებელი გახდება ახალ მონაცემთა შუქზე. ორი ინტერპრეტაცია მიმაჩნია თანაბრად შესაძლებლად ახალის აღმოჩენამდე.

1. სონანტი რ უნდა იქნეს გაგებული მუდამ, როგორც ფონემა. ფონემატური დაპირისპირება არსებობს გდ- და გდრ-ს შორის სიტყვებში გდება და გრდემლი (თუ ჩვენი მასალები ამ საკითხის შესახებ დამარწმუნებელია) და თუ ჩვენ გვაქვს დუბლეტები ბრტყელი და ბტყელი, გრძელი და გძელი, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებთან, საესებით ისე, როგორც ფრანგულში გვაქვს ორი სიტყვა /pwaro/ და /pairo/ ერთი ბოსტნეულის poireau-ს აღსანიშნავად.

II. მეორე გადაწყვეტა იქნებოდა ორი სხვადასხვაგვარი რ-ს ვარაუდი, ერთი მყარი სონანტი რ-სი, რომლის კომუტაცია (შენაცვლება) ნულთან ფონემატურია, და ერთი არამყარი რ-სი, რომელიც მონაცვლეობს ნულთან მნიშვნელობის ყოველგვარი განსხვავების გარეშე. მისი არსებობა ან არ არსებობა დამოკიდებული იქნებოდა სტილზე, წარმოთქმის სისწრაფეზე და პირად ამორჩევაზე. ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა გაგვესხვაებინა რ სიტყვაში ღრკუ, რომელიც ისეთივე იქნებოდა, როგორცაა რ სიტყვაში ღრეკა, და რ სიტყვაში გრძნობა, რომელიც მონაცვლეობს ნულთან.

ეს ორი გადაწყვეტა არათანაბარია, რადგანაც ის არ ეკუთვნის ფონემატური ანალიზის ერთსა და იმავე დონეს. პირველ მონაცვლეობაში ჩვენ გამოვყოფთ ელემენტებს მეტყველების ნაკადიდან, რათა ისინი დაეაჯგუფოთ ერთად, როგორც ფონემატური რ კლასის ინდივიდები, და ჩვენ მხოლოდ უფრო გვიან შევძლებთ შევადგინოთ სინონიმური დუბლეტების სია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ რ-ს ქონა-არქონით. მეორე მონაცვლეობაში ჩვენ არ შეგვიძლია, როცა მეტყველების ნაკადში ვიპოვოთ რ-ს, გავიგოთ, საქმე გვაქვს /რ/-სთან თუ /რ~ნულს/-სთან; და უფრო მეტიც: შემთხვევათა უმრავლესობაში ჩვენ არ უნდა გექონდეს საბოლოო გადაწყვეტის იმედი, რადგანაც, როგორც არ უნდა იყოს ჩვენი ტექსტის მოცულობა, ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ახალმა მონაცემებმა გვაიძულონ ხელახლა გავუქეთოთ რეინტერპრეტაცია ჩვენს მაგალითებს.

71. პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, არ იქნებოდა პრობლემა, რომ ფონეტიკური განხილვა ნებას გვაძლევდეს გაგვესხვაებინა მყარი რ და არამყარი რ. მაგრამ ჩვენ არაფერი არ გვაიძულებს ვიფიქროთ პრობლემის ამგვარი ელიმინაციის შესაძლებლობაზე. უფრო სრული მონაცემების უქონლობის გამო ჩვენ ვყოყმანობთ მივემხროთ ერთსა თუ მეორე ალტერნატივას, თუმცა პირველი ჩვენ უფრო მოხდენილი თუ არა, უფრო მარტივი მაინც გვეჩვენება. აღენიშნოთ განაწილების ერთი ფაქტი: რ-ს ბუნების პრობლემა, როგორც ჩანს, მეტწილად ისმება B I ტიპის (პოსტერიული+დენტალური) ექსტროვერტიულ ჯგუფებში და განსაკუთრებით, როცა დენტალური წარმოდგენილია ნახევრად-ხშულით.

ეტიმოლოგიური ანალიზი, სადაც იგი შესაძლებელია, გვიჩვენებს, რომ რ-ს მყარობა ან არამყარობა არ არის ერთნაირად პირობადებული სიტყვის წარმოშობით. სიტყვაში ხრჩობა ხჩობა < შტ-ლობა რ არის მეორეული, მაშინ როცა სიტყვაში ფრთა, ფთა

(ძვ. ქართული ფრთე) რ ეკუთვნის ფუძეს, თუ ეს სიტყვა შეიძლება დაეუახლოთ სიტყვას ფრ-ენა.

თავკიდურა ჯგუფების სტრუქტურის
სქემატური გამოსახვა

72. იდეალურ სქემად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი, რომელზეც შეიძლება თავკიდურა ჯგუფების უმრავლესობის ასახვა. ეს სქემა შედგენილი იქნება სიმბოლეებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ ფონემათა კლასებს, მაგ.: O — მარტივი ან კომპლექსური ხშულებისათვის (სისინა ან შიშინა ნახევრად-ხშულებისა და ველარული ფრიკატივების ჩათვლით); S — სისინა და შიშინა სიბილანტიებისათვის, R — ბოლოკიდურა სეგმენტის სონანტიებისათვის და r — თავკიდურა სეგმენტის სონანტისათვის, და მასში შევა იმდენი სიმბოლო, რამდენი წევრიცაა მაქსიმალურად ვრცელ ჯგუფებში. ამ სქემას ექნებოდა შემდეგი ფორმა:

$$\begin{array}{cc} \text{თავკიდურა სეგმენტი} & \text{ბოლოკიდურა სეგმენტი} \\ \left. \begin{array}{l} O_1 \\ S_1 \end{array} \right\} + r + \left\{ \begin{array}{l} O_2 \\ S_2 \end{array} \right\} \parallel & + R_1 + R_2 + \text{ხმოვანი} \end{array}$$

სქემიდან ჩანს, რომ მაქსიმალური ჯგუფი შედგება ერთი ხშულისა ან ერთი სიბილანტისაგან, რომელსაც მოსდევს სონანტი, ამას მოსდევს ხშული ან სიბილანტი, ამას კი — ორი სონანტი. თუ ამ სიმბოლოებით აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე ადგილს ცარიელს დავტოვებთ, ჩვენ მივიღებთ მეტნაკლებად ვრცელ სხვა ჯგუფებს.

ამ სქემაზე ვერ აისახება მხოლოდ ის ჯგუფები, რომლებიც თავკიდურა სეგმენტში შეიცავენ ორ ხშულსა და ერთ სიბილანტს შემდეგი თანმიმდევრობით: ხშული+სიბილანტი+ხშული ან სიბილანტი+ხშული+ხშული (იხ. 68), მაგრამ ამ ჯგუფთა დიდი რაოდენობა შეიცავს სეგმენტს სიბილანტი+ველარული ხშული. თუ მივმართავთ ჯგუფებს სიბილანტი+პოსტერიული, გავვაოცებს ზღ-სხ და შხ- ჯგუფების სიხშირე შედარებით სიბილანტების ჯგუფებთან, რომელთაც მოსდევს ლაბიალური, დენტალური ან პოსტ-პალატალური. მაქსიმალურად, სიბილანტი+ველარულის ეს ოთხი კომბინაცია უნდა გავიგოთ, როგორც კომპლექსური სიბილანტები, რომლებიც თანაბარია კომპლექსური ხშულებისა. სხლტ-სხრტ-შხრტ-სხლ-ხზლ-ხულ ფსხ და ფშხ- ჯგუფები შეიძლება გაგვეტოლებოდა ჯგუფებთან სიბილანტი+ხშული და ხშული+სიბილანტი -- იმ განსხვავებით, რომ მარტივი სიბილანტი იცვლება კომპლექსური სიბი-

ლანტით. მაგრამ ამ შეთანხმებითაც კი, რომელიც რამდენადმე გაა-
 მარტივებდა ჯგუფთა სტრუქტურის აღწერას, ჩვენ დაგვრჩებოდა
 ჯგუფთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც სქემით არ და-
 იფარებოდა, სახელდობრ: ხსტ-, ფსტვ-, ფსტლ-, ფსკვ-, სქდ-,
 სქლ- და ხსნდ-. ამ ჯგუფთაგან პირველი აწკარად დიალექტუალუ-
 რია. სამი ჯგუფი ფ- თავკიდურით, ალბათ, გაგებული უნდა იქნეს,
 როგორც იმავე ჯგუფების არადისტინქტური დიალექტალური ვა-
 რიანტები ფ-ს გარეშე. სამი უკანასკნელი ჯგუფი შეიცავს ბოლო-
 კიდურ დ-ს, ზორფოლოგიურ ელემენტს, და შესაძლებელია იგი შე-
 ნარჩუნებულ იქნეს ანალოგიის ძალით, მიუხედავად იმისა, რომ მათი
 სტრუქტურა ნაკლებად შეფერვაბა სისტემისათვის დამახასიათებელ
 თვისებებს. როგორც შეუთანხმებლობაც არ უნდა მოხდეს მორფო-
 ლოგიასა და ფონემატურობას შორის, იგი მხოლოდ მოსალოდნე-
 ლია.

73. ამ იდეალური სქემის ღირებულებას წარმოადგენს მხო-
 ლოდ ის, რომ ემსახუროს რთული სისტემის აღწერის მიზნებს. ამ
 სქემის მოცემისას ჩვენ მხოლოდ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: ყო-
 ველი დამოწმებული ჯგუფი—ზოგიერთი მცირე გამონაკლისით
 ჯგუფების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით—შეიძლება იყოს
 ასახული ამ სქემაზე წევრთა თანმიმდევრობის შენარჩუნებით და
 ფონემათა ზოგიერთი კომბინაციების, როგორც კომპლექსური ფო-
 ნემების გაგებით; ამ ფონემებს შეუძლიათ დაიკაონ სქემაში მარ-
 ტივი ფონემების ადგილი. სქემა არ გულისხმობს, რომ ყოველი
 ჯგუფი, რომელიც შეიძლება მასზე ასახულიყო, დასაშვები იყოს
 სისტემით. თუ შევეცლით სქემის ხუთი სიმბოლოდან ერთ-ერთს
 განსაზღვრული ფონემით, ჩვენ ამით ეუქმნით ძალიან მკაცრ შე-
 ზღუდვებს იმ განსაკუთრებული ფონემების არჩევანს, რომლებშიც
 შეიძლება შევუნაცვლოთ ოთხ დანარჩენ სიმბოლოს. თუ ჩვენ სო-
 ნანტ მ-ს შევუნაცვლებთ R_2 -ს, R_1 -ის ადგილი შეიძლება დაიკაოს
 მხოლოდ რ-მ ან ლ-მ, ხოლო O_1 -სა და r-ს ადგილები—მხოლოდ
 ნულმა. თუ O_1 -ის ადგილი დაკავებულია კომპლექსური ხშულით,
 O_2 -ს ადგილი არ შეიძლება დაკავებულ იქნეს კომპლექსურით და
 ა. შ.

ძართლაც, წარმოდგენილი შრომის უდიდესი ნაწილი მიეძღვნა
 სწორედ დისტრიბუციის ყველა ამ შეზღუდვების აღმოჩენას ანუ,
 სხვანაირად რომ ვთქვათ, ნიედლენა ძართვის აღმოჩენას იმ წევრებს
 შორის, რომლებიც ძეადგენენ ჯგუფს.

დისტრიბუციის ეს შეზღუდვები ანუ ძართვის ფაქტები შე-
 იძლება დაფორმულდეს სიმბოლოებით $O S r$ და R , საჭიროების

შემთხვევაში დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით ქვეკლასების აღსანიშნავად: კომპლექსურ ხშულთა ქვეკლასის აღსანიშნავად ხშულთა კლასის შიგნით, სისინა და შიშინა ნახევრად-ხშულებისა, ლაბიალებისა, დენტალებისა, პოსტერიულებისა, პოსტალატალურებისა, ველარულებისა და სხვა კლასების აღსანიშნავად. რაც უფრო სპეციალიზებულია მარტივ სიმბოლოთა ადგილზე გამოყენებული სიმბოლო, მით უფრო ძნელი ხდება სტრუქტურის ფაქტებსა და შემთხვევით ხარვეზებს შორის განსხვავების დადგენა. ის ფაქტი, რომ ζ -ს არ შეიძლება წინ უძლოდეს κ -ს გარდა სხვა სონანტი, უნდა იყოს სტრუქტურის ფაქტი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფრცკვ-ს 'ნივლილება მოსდევდეს მხოლოდ η , არ უნდა იყოს სტრუქტურის ფაქტი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯგუფი *ფრცკვმ- დაუშვებელია, რადგან სეგმენტი ვმ არ დასტურდება ახალ ქართულში თავი-დურა ჯგუფში, და ჩვენ შეგვიძლია ვამტყიცოთ, რომ ფრცკვ- დაუშვებელია, რადგან ფაქტობრივ ახალი ქართულის არც ერთი ჯგუფი არ შეიცავს ორ ერთნაირ სონანტს. მაგრამ არაფერი არ გვაძლევს იმის ნებას, რომ დაუშვებლად მივიჩნიოთ ჯგუფები *ფცკვ- ან *ფრცკვლ-, რადგანაც ჩვენ ზოგადი ტერმინებით არ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ დისტრიბუციის რაიმე წესი, რომელიც გვაუწყებდეს ასეთი ჯგუფის დაუშვებლობას.

74. ისტორიული მოსაზრებანი. მეგრულსა და ქართულს შორის მკიდრო ნათესაობის მიუხედავად, მათი კონსონანტური ჯგუფების სტრუქტურული სხვაობანი განსაცვიფრებელია.

ჩვენ აღენიშნავთ მათ შორის რამდენიმეს. უპირველეს ყოვლისა მეგრულში თავი-დურა ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ აღემატება ოთხს. ოთხწევრიანი ჯგუფის შემთხვევაში ორი წევრი არის ჩვენ მიერ კომპლექსურ ხშულად წოდებული. რადგანაც კომპლექსურად წოდებული ხშულები არსებითად ჰომოგენურია, ჩვენ ეხედავთ, რომ არაჰომოგენური ჯგუფები უცნობია.

ჯგუფებს აქვთ შედარებით შემდეგი მარტივი სტრუქტურა:

1. (რ)+ხშული (მარტივი ან კომპლექსური)+სონანტი
2. (რ)+სიბილანტი+სონანტი
3. (რ)+სიბილანტი+მარტივი ხშული+სონანტი

(4. ხშული+სიბილანტი).

უკანასკნელი ტიპი წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი ჯგუფით: ბზ- ფს- ბუ- ფშ- და, მაშასადამე, არ ასრულებს არავითარ შნი-შენელოვან როლს. შეინიშნება, რომ ტიპი 2 რ თავი-დურით ქართულში არ არის. ქართულისაგან განსხვავებით, სონანტები რ ლ მ

და ნ თითქმის არასდროს არ მისდევენ თავიიდურა ხშულებს ან სიბილანტებს. იქ, სადაც ქართულს აქვს ასეთი თავიიდურა ჯგუფი, მეგრულთან მონათესავე სიტყვა შეიცავს ხმოვანს, რომელიც ერთბანეთისაგან ყოფს თავიიდურა თანხმოვანსა და სონანტს. თავი რომ დაეანებოთ დეტალებს, შეიძლება დავუშვათ, რამდენადაც გვიკარნახებს ეს განსხვავებანი, რომ მეგრულს შემონახული აქვს საერთო ქართველურის ხმოვანი, მაშინ როდესაც ქართულმა იგი დაკარგა. ამგვარად, ქართულში, როგორც ჩანს, ფუძეშიც და სუფიქსებშიც თავიიდურა ჯგუფების დიდი ნაწილი წარმოშვა ნულოვანმა ეოკალიზმმა. რადგანაც მეგრულის თავიიდურა ჯგუფებში სონანტი ვ მაინც გვხვდება თავიიდურა თანხმოვანის შემდეგ ისეთივე სიხშირით, როგორც ქართულში, ბუნებრივია, რომ ეს სონანტი მივიჩნიოთ არა ძველი დამოუკიდებელი სონანტის წარმომადგენლად, არამედ, მრავალ შემთხვევაში, თავდაპირველი თავიიდურა კონსონანტიზმის ლაბიალურ ელემენტებად, ე. ი., სხვანაირად რომ ეთქვათ, თავიიდურა ჯგუფი (ხშული, რომელსაც მოსდევს ვ) მივიჩნიოთ ძველი ლაბიალიზებული ან ლაბიო-ველარიზებული ხშულის სეგმენტაციის შედეგად. ასევე, ჩვენ მიერ კომპლექსურ ხშულებად წოდებულ ხშულთა ჯგუფების ბუნება და მათი განსაკუთრებული როლი სისტემაში შთაგვაგონებს პიპოთეზას, რომ კომპლექსური ხშულები, რომლებიც ძველი ქართულიდან მოყოლებული გვევლინებიან განსაკუთრებულ მჭიდრო ჯგუფებად, ანარეკლია საერთო ქართველური ენის სპეციფიკური ძველი ფონემებისა, რომელთა ბუნების დაზუსტება შეუძლებელია¹.

75. თუ ქართულის თავიიდურა კონსონანტიზმის სირთულე ნაწილობრივ დამოკიდებულია კომპლექსურ ხშულეზზე (შესაძლებელია, კომპლექსურ სიბილანტებზეც), ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მორფოლოგიური რიგის რამდენიმე ფაქტორიც.

1. ზოგიერთი თავიიდურა ჯგუფი შეიცავს ძველ კონსონანტურ პრეფიქსებს, რომლებიც საბოლოოდ შეერწყნენ ძირს: ხ-ს პრეფიქსალური ბუნება სიტყვაში ხრბოლა—რბოლა-ს გვერდით; სიტყვაში სყიდვა—ყიდულობ და ვ-იყიდ-ის გვერდით აშკარაა.

¹ როგორც ჩანს, ეს არ გულისხმობს, რომ ქართულს ყველა კომპლექსურ ხშულს ასეთი წარმოშობა ჰქონდეს: ბევრი მათგანი წარმოიშვა ორი ხშულის შეხვედრის შედეგად—ხმოვნის ამოვარდნის შემდეგ. ამგვარად, კომპლექსური ხშული დგ- სიტყვაში დგომა მიღებულია ძირიდან დგ-, როგორც ეს ჩანს აორისტში აღ-ვ-დგა. ჯგუფი ძლ- სიტყვაში (გა-)ძლომა—ძირიდან ძლ-, როგორც ეს ჩანს აორისტში გა-ვ-ძელ (გა-ვძებ).

მაგრამ უნდა არსებულებოდა ძველი პრეფიქსი რ-ც: ძნელია გავთიშოთ რ-წყ-ვა, უ-რ-წყ-ო სიტყვისაგან წყ-ალი. მე შეუძლებლად არ მეჩვენება არც ის, რომ გვქონოდა ძველი პრეფიქსები ზგერებით ბ-ფ, რაც დაგვეხმარებოდა აგვეხსნა ზოგიერთი თავკიდურა ლაბიალურებიანი მეტად მძიმე ჯგუფები.

2. ფუძისა და სუფიქსის ვოკალიზმის ნულოვანი ხარისხი მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ ფუძეს აქვს სტრუქტურა: C (თანხმოვანი) + V (ხმოვანი) + C (თანხმოვანი), ხოლო სუფიქსს სტრუქტურა: V + C, ჩვენ ძალიან ხშირად ვიღებთ ქართულში:

$$C \div V + C + V + C > C + C + V \div C$$

ძირის ხმოვნის დაკარგვითა და იმავე სტრუქტურის მეორე სუფიქსით:

$$C + C + V \div C + V + C > C + C \div V + C$$

თუ სწორია ჰიპოთეზა კომპლექსური ხშულებისა და იმ თანხმოვნების წარმოშობის შესახებ, რომლებსაც მოსდევს -ვ, თუ დავუშვებთ ძველი კონსონანტური პრეფიქსების არსებობას და თუ ჩვენ მართებულად ვფიქრობთ, რომ მრავალ მძიმე ჯგუფში სონანტი რ არის ძველი გარდამავალი ბგერა, გასაგები გახდება, თუ როგორ შეძლო ქართულმა განეფითარებინა უკიდურესად რთული ჯგუფები თავკიდურში ძირის მეტად მარტივი სტრუქტურის მიუხედავად. რამდენადმე შეიძლება ითქვას, რომ ქართულისათვის დიდი პრობლემა კონსონანტიზმი კი არაა, არამედ პირიქით, ვოკალიზმია, რადგანაც სწორედ ნულოვანი ვოკალიზმი არის ქართულში სპეციფიკურ სირთულეთა საფუძველი. ამ ნულოვანი ვოკალიზმის მიზეზები და ფუნქცია მეტწილად უცნობია.

ბოლოკიდური კონსონანტური ჯგუფები

76. მომდევნო მსჯელობაში ჩვენ ანგარიშს არ გავუწევთ ბოლოკიდურა -ხ და -თ თანხმოვნებს, რომლებიც ფონემიკური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად ჩნდებიან ზოგიერთ ჯგუფებში, როგორც გრამატიკული დაბოლოებანი. ჩვენ ვიხილავთ ჯგუფს თქ-სიტყვაში ვ-ხეთქ, მაგრამ არ ვიხილავთ -თქთ- და -თქს- ჯგუფებს სიტყვებში: ვ-ხეთქ-თ და ხეთქ-ს. საბელის კონსონანტურ ფუძეში ძირის ბოლოკიდურა თანხმოვანი ჩნდება მხოლოდითი რიცხვის შიცემითს ბრუნვაში (ძვ. ქართულში მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვებ-

შიც), როდესაც დაბოლოებას აქვს მოკლე ფორმა-ხ-(თ). მაგ., სიტყვაში ბარტყ-თ ძირის ბოლოკიდურა ჯგუფი, როცა მას ემატება -ხ, არის სიტყვის ბოლო პოზიციაში, მხოლოდ დატიეში — ბარტყ-ხ. ჩვენ ამ შემთხვევებში განვიხილავთ -რტყ ჯგუფს, როგორც ბოლოკიდურში დამოწმებულს, თუმცა სინამდვილეში დამოწმებულია ჯგუფი რტყს-.

ჯგუფები იყოფა შემდეგ ტიპებად:

1. ხშულისა და სონანტის კომბინაციები.
2. სიბილანტისა და სონანტის კომბინაციები.
3. ხშულისა და სიბილანტის კომბინაციები.
4. სონანტთა კომბინაციები.
5. კომბინაციები, რომლებიც არ შედიან ამ ოთხი ჯგუფიდან არც ერთში.

ხ შ უ ლ ი ს ა და ს ო ნ ა ნ ტ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი
 77 (78). შემჩნეულ იქნა შემდეგი ხშული+სონანტის ჯგუფები.

—	-ბნ	-ბრ	-ბლ	—
—	-ფნ	-ფრ	-ფლ	—
—	—	-პრ	-პლ	—
—	—	-ღრ	-ღლ	—
—	—	-თრ	-თლ	-თვ
—	—	-ტრ	-ტლ	-ტვ
—	—	—	-ძლ	-ძვ
—	—	-ცრ	—	-ცვ
—	-წნ	—	-წლ	-წვ
—	—	—	-ჯლ	—
—	-ჩნ	—	—	-ჩვ
—	—	—	-პლ	-პვ
—	—	-გრ	-გლ	-გვ
-ქმ	—	-ქრ	-ქლ	-ქვ
-კმ	—	-კრ	-კლ	-კვ
-ღმ	-ღნ	-ღრ	-ღლ	-ღვ
-პმ	-პნ	-პრ	-პლ	-პვ
—	—	-ყრ	-ყლ	-ყვ

ცხრილის ზოგიერთი ხარვეზი გამომდინარეობს სისტემაშიდან, მაგ.: ისეთი ხშული+ლაბიალური ჯგუფების უქონლობა, რომელთაც მოსდევს -ვ. როგორც გვახსოვს, იგივე ჯგუფები არ მოეპოვება

თავკიდურებსაც. აღსანიშნავია იმ დენტალური ჯგუფების უქონლობა, რომელთაც მოსდევს -მ, მაგრამ ძნელია იმის დამტკიცება, რომ ამის მიზეზი ფონემატური ფაქტორები იყოს.

ხდება ხოლმე, მხოლოდ გამონაკლისის სახით, რომ ხშულს მოსდევს ერთზე მეტი სონანტი. შეიძლება დავასახელოთ სიტყვა დაკვლ- (საბა).

79. სონანტი-ხშული ჯგუფებია შემდეგი:

-მბ	—	-რბ	-ლბ
—	—	-რფ	-ლფ
-მპ	—	-რპ	-ლპ
—	-ნდ	-რდ	-ლდ
—	-ნთ	-რთ	-ლთ
—	-ნტ	-რტ	-ლტ
—	-ნძ	-რძ	—
—	-ნც	-რც	—
—	-ნწ	-რწ	-ლწ
-მჯ	-ნჯ	-რჯ	—
—	-ნჩ	-რჩ	-ლჩ
—	-ნკ	-რკ	-ლკ
—	-ნგ	-რგ	-लग
—	-ნქ	-რქ	—
—	-ნკ	-რკ	-ლკ
—	—	-რღ	-ლღ
—	—	-რხ	-ლხ
—	-ნყ	—	--

სისტემის მთავარი თვისებები აქ მკაფიოდაა გამოსახული. ჩვენს მასალებში სრულებით არაა ჯგუფები, რომელთა პირველ წევრს წარმოადგენდეს გ-. ისინი გვაქვს ნასესხებ სიტყვებში და ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ნავთ-ი, რომლის ჩვეულებრივი ვარიანტი არის ნავთ-ი. სონანტები რ და ლ წინ უძღვიან ყოველი კლასის ხშულებს და თუ ისინი არ უძღვიან წინ ყოველი კლასის ყოველ წევრს, ეს, რასაკვირველია, შემთხვევითია. დავასახელოთ მხოლოდ ერთი მაგალითი: ლექსიკონები არ იძლევიან სიტყვას -ყალყ-ე, რომელიც იხმარება გაქვავებულ გამოთქმაში ყალყ-ზე დგომა. მიცემითი ბრუნვა *ყალყ-ხ ნაგულისხმევეია ფორმით ყალყზე; რომლის საფუძველი მართლაც არის *ყალყ-ხ ზე(და).

სონანტი ნ- წინ უძღვის ყოველი კლასის ხშულებს, გარდა ლაბიალურებისა. სონანტი მ-, რომელიც, პირიქით, ხშირია ლაბიალური ხშულის წინ, სპორადიულად ჩნდება დენტალური ან პოსტერიული ხშულის წინ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმე გვაქვს ერთმარცვლიანი (ნულოვანი ვოკალიზმის მქონე) ფუძეებიდან ნა-თი ნაწარმოებ სიტყვებთან, როგორიცაა: ნა-მკ-ი, ნა-მჭ-ი (საბა)— მნებითი გვარის მიმღებობები ზმნებიდან მკ-ა და მჭ-ობა. მაშასადამე, ჯგუფები -მკ და -მჭ თავიიდურა ჯგუფებია, რომლებიც მორფოლოგიური შემთხვევითობის გამო აღმოჩნდნენ ბოლოკიდურა პოზიციაში. ამ ჯგუფებს ჩვენ დავარკმევთ გადაადგილებულ თავიიდურა ჯგუფებს.

80. განხილული ტიპების კომბინირების შედეგად ჩვენ ვიღებთ შერეულ ტიპს: სონანტი+ხშული+სონანტი:

-მბრ	-მთრ	-მწვ	—							
-ნტლ	-ნძვ	-ნწლ	-ნჯლ	-ნჩლ	-ნჩვ	-ნგვ	-ნგლ	-ნქლ	-ნლლ	
-რბლ	-რფლ	-რპლ	-რდლ	-რდნ	-რთლ	-რთვ	-რტვ	-რტლ	-რძნ	
	-რცვ	-რცლ	-რჯვ	-რჩვ	-რგვ	-რგლ	-რქლ	-რქნ	-რღვ	
	-რხვ	-რხლ								

და გამონაკლისის სახით ორ ბოლოკიდურა სონანტიან ჯგუფებს ნჯვლ- და -ნჯმნ. ეს ჯგუფები, ალბათ, წარმოადგენენ არსებულ ჯგუფთა მხოლოდ ერთ ნაწილს. ერთი მხრივ, -ნტ ჯგუფისა და, მეორე მხრივ, -ტრ -ტვ ჯგუფების არსებობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ არსებობს *-ნტრ ან *-ნტვ ან დასაშვებია სისტემის მიხედვით. ასევე ცხრილში -ნჯვლ ჯგუფის არსებობა ყოველგვარი ექვის გარეშე გულისხმობს *-ნჯვ (და *ჯვლ)-ს არსებობას.

81. კომპლექსური ხშულების უმრავლესობა დამოწმებულია ბოლოკიდურში—ჩვენ ვერ გამოვამტლავებთ გამოყენებულ ლექსიკონებში ჯგუფები -ღვ -ღლ -ძვ -ძლ და ჯგ-—და ისინი შედიან სონანტი+ხშულის ტიპის ჯგუფებში:

-რთბ	-რტყ	-რცბ	-რჩბ
-ნცბ	-ნჩბ		
-რჯლ	-ნჯლ		

და ხშული+სონანტის ტიპის ჯგუფებში:

-ოქვ	-ტაგ	-წკვ
-ცქნ	-ჩქნ	
-ტაღ	-წაღ	

და შერეული ტიპის ჯგუფებში.

-რთქლ -რთხლ -რტყლ -რცხლ -რცხვ -რწყვ
-ნცხვ -ნჩხლ -ნწკლ -ნქყლ

ამ ჯგუფების უმრავლესობა შეიცავს სეგმენტებს, რომლებიც არ არიან დამოწმებული როგორც დამოუკიდებელი ჯგუფები ბოლო-კიდურში, მაგრამ რომლებიც დაშვებული უნდა იქნენ სისტემაში, როგორც, მაგ.:

*-რთქ და *-რწყ.

შეიმჩნევა მგლერი ჯგუფებისა და პოსტ-პალატალურ კომპლექსურხშულიან ჯგუფთა შედარებითი იშვიათობა. ყველა ჯგუფი პომოგენურია (არსებითად), რადგანაც კომპლექსური ხშულები პომოგენური ჯგუფებია. არაპომოგენური ჯგუფი ძკ- მოცემულია დ. ჩუბინაშვილის მიერ ზმნაში ჩა-ძეძკა—აწმყო ჩა-ვ-ი-ძეძკ, მაგრამ მარტივი ზმნისათვის უზმნისწინოდ იგი იძლევა ძეწკვა-ს, აწმყო ვ-ხ-ძეწკ-ავ და ვ-ი-ძეწკ. უთუოდ არაპომოგენური ჯგუფი -ძკ, როგორც ჩანს, უნდა განვიხილოთ როგორც ჯგუფი /-წკ/ მგლერისა და გლოტალიზებული სონობილი მონაცვლეობით გლოტალიზებულ ჯგუფებში.

ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი ს ა და ს ო ნ ა ნ ტ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი

82. ჯგუფები სიბილანტი+სონანტი, რომლებიც ჩვენ მოვანახეთ, შემდეგია:

-ზმ	—	-ზრ	-ზლ	-ზვ
—	—	-სრ	-სლ	-სვ
—	—	—	—	-შვ
-შმ	-შნ	—	-შლ	-შვ

და ჯგუფები სონანტი+სიბილანტი:

—	-მს	-მშ
—	—	-ნშ
-რზ	-რხ	-რშ
-ვზ	-ვხ	-ვშ

ეს ჯგუფები ძალიან იშვიათია; რაც შეეხება ჯგუფებს, რომლებშიც შედის -რჟ, ეს შეიძლება აიხსნას ჟ ფონემის იშვიათობით. ჯგუფები, რომელთა პირველი წევრი არის -გ-, დამახასიათელია, როგორც უკვე ვთქვით, ნასესხები სიტყვებისათვის. მეორე მხრივ, საკვირველია პირველ წევრად ლ-ს სრული უქონლობა.

ორივე ტიპის კომბინაცია დამოწმებულია მხოლოდ ჯგუფისათვის -ნზლ, რომელიც, უეპველია, გულისხმობს *-ნზ-ს შესაძლებელ არსებობას.

ბ შ უ ლ ი ს ა და ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი

83. ტიპი სიბილანტი+ხშული საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი:

—	-სბ	-ხთ	-ხტ	—	-სკ	-ხხ
—	-შფ	-შთ	-შტ	—	-შკ	-შხ

შეიმჩნევა უქონლობა ჯგუფებისა, რომელთაც აქვთ -ფ -ქ და -ყ; ამ ფაქტს აქვს თავისი პარალელი თავიადურა ჯგუფებში. ამ ჯგუფებს უნდა დაემატოს სპორადული მტლერი ჯგუფები -ზბ -ზდ -ზლ და -ჟლ.

ტიპი ხშული+სიბილანტი დამოწმებულია მხოლოდ ჯგუფებით: -ფშ -პს -ხს -ხშ.

კომპლექსური ხშულით ჩვენ გვაქვს ერთადერთი ჯგუფი -მწყხ სიტყვაში უმწყხ-ი; იგი წარმოქმნილია გ-პ-მწყხ-ი-დან; მაშასადამე, ლაპარაკია გადაადგილებულ თავიადურა ჯგუფზე.

ამ ჯგუფებს მხოლოდ იშვიათად მოსდევს სონანტი: -ხტრ -შხრ -ხხლ -შკვ და -ქხვ და ოთხწევრიანი ჯგუფი -ნულლ.

ს ო ნ ა ნ ტ თ ა კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი

84. ჩვენ მოენახეთ შემდეგი ჯგუფები:

—	-მბ	-მრ	-მლ	—
—	—	-ნრ	—	—
-რმ	რნ-	—	რლ	-რვ
—	—	—	—	-ლვ
—	-ვნ	-ვრ	ვლ	—

არც ერთი ამ ჯგუფთაგანი არ არის ხშირი. მხოლოდ -მვ და ვმ-ს უქონლობა წარმოადგენს, უეპველია, სტრუქტურის ფაქტს.

დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი

85. არის განსაზღვრული რაოდენობის ბოლოკიდურა ჯგუფები, რომლებიც შეიცავენ სხვა ორ ხშულს, და არა იმ ხშულსაც, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ კომპლექსური.

ტიბი ლაბიალური+დენტალური წარმოდგენილია ჯგუფით -ფთ და ნასესხებ სიტყვებში ჯგუფით -ფჩ.

ლაბიალური+პოსტერიული ტიპი მოვანახეთ, პირიქით, მკვიდრ სიტყვებში: -ფჟ-პჟ-ფხ და -პჟ და მომდევნო მტლერით -ფქლ-ფხვ და -ფხლ. არაპოზიტიური ჯგუფები -ბჟ და -ფჟ, უქვეელია, გაგებული უნდა იქნეს როგორც /-პჟ/, მაგალითად, სიტყვებში აპჟი და აფჟი (საბა).

ტიპი დენტალური+ლაბიალური წარმოდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადაც საქმე ეხება გადაადგილებულ თავკიდურა ჯგუფებს. ასე, მაგალითად, -დბ სიტყვაში უ-დბ-ი ძირიდან დებ- და უ-ც-ი ძირიდან ცებ-. უნდა დავეუბნოთ, როგორც ჩანს, დიალექტალური სიტყვა ხეჟბ-ი, რომელშიც. ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა ბოლოკიდური ჯგუფი გაგვეხილა, როგორც -ჟფ, თუ ეს სიტყვა შეიძლება დავეახლოვოთ მეგრულ სიტყვაში ჟოფ-ური, რომელიც შეესატყვისება ქართულ სიტყვას წაბ-ლი. განსახილველი ჯგუფების მცირე რიცხვი არასაიმედოს ხდის ყოველგვარ დასკვნას.

ტიპი პოსტერიული+დენტალური წარმოდგენილია მრავალ ნასესხობაში: -ლდ-ხჩ-ლჩ-ხჟ და -ხტ. ჯგუფი ლჩ, უქვეელია, ხჩ-ს ვარიანტია: გვხვდება თურქულ სიტყვებში, რომელნიც შეიცავენ სუჟიქსს -ჩი. ჯგუფი -ხშ გვხვდება, მაგალითად, სიტყვაში ნახშ-ი ვარიანტებით ნახჩი და ნახჟი, არაბული სიტყვიდან იადჯ. ჯგუფი -ხტ გვხვდება, მაგალითად, სიტყვაში აპოხტ- <სომხური აპოხტ. შეიძლება აღვნიშნათ, რომ ჯგუფი (-ქთ) ლათინურ-ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში გადმოცემულია ყოველთვის ჯგუფით -ქტ: აქტ-ი (შეად. დირექტორი, აქტორი).

სპორადულად ვპოულობთ ჯგუფების სხვა ტიპებს, როგორცაა -თხზ სიტყვაში ნა-თხზ-ი (სიტყვიდან თხზვა). ერთადერთი ჯგუფი, რომელიც არ წარმოადგენს თავკიდურა ჯგუფის გადაადგილების უშუალო შედეგს, ესაა ჯგუფი ექვს-ი.

მნ. დასკვნა. მაშასადამე, ბოლოკიდურში ვხვდებით ხშულეებისა და სიბილიანტების ჯგუფებს, რომელთაც წინ უძღვის ან მოსდევს სონანტები. მათი აღნიშვნა შეიქმნება სქემით:

$$-R_1 + \left\{ \begin{array}{c} 0+S \\ +0 \end{array} \right\} -R_2 (-R_3)$$

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ განსაკუთრებული ფონემების არჩევანი შეზღუდულია. გამონაკლისებს შეადგენენ საერთოდ გადაადგილებული ჯგუფები.

წევრთა რაოდენობა, როგორც სქემიდან ჩანს, თეორიულად ხუთია. ფაქტობრივ იგი იშვიათად აჭარბებს სამს. ოთხწევრიანი ჯგუფები გამოწვეულია. ხუთწევრიანი ჯგუფები არ არის დამოწმებული. რადგანაც თავიკიდურა ჯგუფების წევრთა რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს ექვსს, ერთმარცვლიანისათვის შეიძლებოდა დაგვეშვა თეორიული შესაძლებლობა ათი (შესაძლებელია თერთმეტი) თანხმონისა ხმონის გარშემო. ეს შემთხვევა სინამდვილეში არ ხორციელდება: საერთოდ, ბოლოკიდური ჯგუფის წევრთა რაოდენობა უკუპროპორციულია თავიკიდურა ჯგუფის წევრთა რაოდენობის მიმართ იმგვარად, რომ თანხმონურ წევრთა ჯამი თავიკიდურსა და ბოლოკიდურში თითქმის არასდროს არ აჭარბებს ერთმარცვლიან სიტყვაში ექვსს (მაგ., მსხვერპლ-, სადაც თავიკიდურა მ და ბოლოკიდურა მიცემითი ბრუნვის ს არ ჩავთვალეთ შემოგადმოცემული მიზეზების გამო). J

რიცხოვრივი მონაცემები

87. წევრთა მონაცემების მიხედვით შესწავლილი ჯგუფების კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთაყვანილ ცხრილში. ცხრილი შეიცავს მხოლოდ ჯგუფებს, რომლებიც დამოწმებულია უშუალოდ თუ შუალობითად: მაგ., თავიკიდურა ჯგუფი კრბ- შეყვანილია მასში, რადგანაც ჯგუფი შუალობითად არის დამოწმებული აორისტში შე-კრბეს, მაგრამ ჯგუფი სრს- არ არის დამოწმებული, თუმცა სრსვ-ს არსებობა გულისხმობს უეჭველად *სრს- ჯგუფის შესაძლებელ არსებობას. ხმულეებიან ჯგუფებში ჩვენ ჩავთვალეთ დუბლეტები არასტაბილური რ-თი ან რ-ს გარეშე როგორც ორი განსხვავებული ჯგუფი: მაგ., სიტყვაში გრძელი ან გძელი ჯგუფი გრძ- ჩათვლილია როგორც სამწევრიანი ჯგუფი, ჯგუფი გძ- როგორც ორწევრიანი ჯგუფი. აშკარად არაპროგნოზირებადი ჯგუფებში, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ როგორც შესატყვისი პროგნოზირებადი ჯგუფების ვარიანტები ან როგორც გრაფიკული გამოსახულებანი, ჩვენ მითვალეთ მხოლოდ პროგნოზირებადი ჯგუფი; მაშ., სიტყვებში ბრტყელი~პრტყელი ჩვენ ვთვლით მხოლოდ /პრტყ-ს/.

მწკრივი მარცხნივ მიუთითებს ჯგუფის პირველ წევრზე.

თავიკიდურა თანხმონი	წევრთა რაოდენობა					
	2	3	4	5	6	
ბ.....	10	21	10	4	1	46
ფ.....	8	23	27	10	2	70
კ.....	5	11	11	3	1	31

ღ	8	12	2	—	—	22
ფ	8	17	3	—	—	28
ტ	9	15	6	—	—	30
ძ	7	10	4	—	—	21
ც	10	13	5	—	—	28
წ	12	23	12	2	—	49
ჯ	7	6	3	—	—	16
ჩ	8	14	3	—	—	25
კ	10	12	5	—	—	27
გ	10	13	8	1	—	32
ქ	9	11	3	—	—	23
ყ	9	17	7	—	—	33
ღ	7	8	3	—	—	18
ხ	14	20	4	—	—	38
ყ	10	7	1	—	—	18
ზ	8	9	4	—	—	21
ს	16	23	8	—	—	47
ძ	6	7	1	—	—	14
შ	14	15	3	—	—	32
ვ	4	5	1	—	—	10
რ	15	18	10	1	—	44
ლ	7	2	—	—	—	9
ნ	2	2	4	—	—	8
სულ...	233	334	148	21	4	740

ჩაოდენობაში არ არის შეტანილი მ- თავკიდურიანი ჯგუფები იმ მიზეზების გამო, რაც ზემოთ აღენიშნეთ.

ჩადგანაც ყოველ თანხმომიანს შეუძლია თვითონ შეადგინოს კონსონანტური თავკიდური, ჩვენ გვექნება, ამ სტატიაში განხილული მასალების მიხედვით, სულ 768 სხვადასხვა კონსონანტური თავკიდური.

ბოლოკიდურა ჯგუფებისთვის მივიღეთ შემდეგი რიცხვები:

ორწევრიანი ჯგუფები	148
სამწევრიანი	82
ოთხწევრიანი	14
სულ	244

რადგანაც ყველა თანხმობიანს, ზ-ს გამოკლებით, შეუძლია თვითონ შეადგინოს კონსონანტური ბოლოკიდური, სულ გვექნება 271 სხვადასხვა კონსონანტური ბოლოკიდური. ეს რიცხვი უდავოდ მეტად დაბალია და ზუსტად არ შეეთარდება თავკიდურა ჯგუფების შესატყვის რიცხვს, რადგანაც ბოლოკიდურის შესახებ ჩვენი ცნობები, ამ ჯგუფების მიმართ ნაკლები ინტერესის გამო, ნაკლებად სრულია.

